სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 22 სექტემბერი 1999 №181 (954) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი-ყურის ვიალის ჰერტა 2:1 ჩელსი

ბერლინის „ჰერტამ“ ირანელი თავდამსხმელის ალი დაეის დუბლით ჯანლუკა ვიალის „ჩელსის“ 2:1 მოუგო



REUTERS ბერლინიდან

ალი დაეიმ ინგლისელებს ორი გოლი გაუტანა



REUTERS ბერლინიდან

დაღონებულა ვიალი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

II ტური

E ჯგუფი

პორტუ	2
ოლიმპიაკოსი	0
რეალი	4
მიოლდე	1

F ჯგუფი

ეინდჰოვენი	1
ვალენსია	1
რეინჯერსი	1
ბაიერნი	1

G ჯგუფი

სპარტაკი	1
სპარტა	1
ბორდო	3
ტილბურგი	2

H ჯგუფი

მილანი	2
გალათასარაი	1
ჰერტა	2
ჩელსი	1

იხილეთ მეორე გვერდი





ყიფიანი თუ ჩიფაძე?

ორი მწვრთნელი და ერთი ადგილი

მიქაელ ლაუდრუპი დანიის ნაკრებში ბრუნდება

მომავალი ზაფხულიდან ის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს მორტენ ოლსენს დაეხმარება

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები



წარმოგიდგენთ ლაურეატებს

პეტრე მშვენიერაძე

ალი-ყური ვიალლის

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური

მილანი — გალათასარაი 2:1. მილანელი ანდრეი შევჩენკო სტამბოლელ აქილ ფათიჰზე სწრაფი გამოდგა

REUTERS მილანიდან

„პორტუს“ ორის ტურის შემდეგ ექვსი ქულა რომ აქვს, ანუ წუხელ შინ პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ რომ მოუგო, ბრაზილიელების, ჟანუარიო ესკერდინიასა და მარიო ჟარდელის დამსახურება გახლავთ. ესკერდინიამ ანგარიში შეხვედრის დასაწყისშივე, დაახლოებით 15 მეტრიდან ზუსტი დარტყმით გახსნა, ხოლო პორტუგალიის გასული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ჟარდელმა, იმავე ესკერდინიას პასით ბურთი ბერძენ მეკარეს, დიმიტრიოს ელეფთეროპულოსს ფეხებს შორის გაუძვრინა. დაცვით გართულ პირეოსელებს მთელი შეხვედრის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ შეუწუხებიათ მასპინძელთა გოლკიპერი, ხოლო საკუთარ კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი იხილეს.

იმავე E ჯგუფში მადრიდის „რეალმა“ შთამბეჭდავად სძლია ნორვეგიული „მიოლდეს“ ძალისმიერ წინააღმდეგობას. აღსანიშნავია, რომ წუხელ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთგვარი ანტირეკორდი დამყარდა: ჩემპიონთა ლიგის ბოლო ოთხ სეზონში „სამეფო გუნდის“ თამაშის სანახავად ასე ცოტა მაყურებელი არ მისულა.

F ჯგუფის ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. გლაზგოში, „იბროქს პარკზე“, დიკ ადვოკაატის დარაზმული „რეინჯერსი“, როგორც ძლიერ მასპინძელს შეფერის, უპირატესობას ფლობდა „ბაიერნთან“ შეხვედრაში. პირველ ტაიმში იორგ ალბერტცმა დაახლოებით 18 მეტრიდან გაუტანა ბავარიელთა გამოუცდელ მეკარეს შტეფან ვესელსს, რომელიც ოლივერ კანისა და ბერნდ დრეჰერის ტრავმების გამო იცავდა ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში გერმანიის ჩემპიონის კარს. ვესელსმა თავი არ შეირცხვინა — მიხაელ მოსსა და ჯონატან იოჰანსონს დიდებულად ჩაუშალა საგოლე დარტყმები, თანაგუნდელებმა კი გოლკიპერს ამაგი დაუფასეს და შეხვედრის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს: მიხაელ ტარნატმა საჯარიმო დაარტყა, ბურთი ჭაბუკ სანტა კრუზს მოხვდა და მიმართულებაშეცვლილი შევარდა მასპინძელთა კარში.

ეინდჰოვენურ შეხვედრაში მასპინძელი რუუდ ვან ნისტელროის მიერ საეჭვო პენალტით გატანილმა გოლმა ქულები თანაბრად გაანაწილა. „ვალენსია“, რომელიც ესპანურ პრიმერა დივიზიონში ჯერჯერობით კარგი შედეგებით ვერ დაიკვეხნის, ჩემპიონთა ლიგაში ჩინებულად ასპარეზობს, რისი დასტურიც კლაუდიო ლოპესის მიერ ანგარიშის გახსნა გახლდათ. ის, რომ ეპიზოდი ძალიან ჰგავდა ოფსაიდს, ამჯერად მნიშვნელოვანი არ გახლავთ. „ეინდჰოვენს“ 30-ე წუთზეც შეეძლო გაქვითვა, მაგრამ ვან ნისტელროიმ ძელს გაარტყა ბურთი.

G ჯგუფში „სპარტაკმა“ ცხრა კაცით დაასრულა შეხვედრა, რომელიც, მოსკოვში გაიმართა და ფრედ დასრულდა. ანგარიში პრაღის „სპარტას“ ფორვარდმა ვრატისლავ ლოკვენცმა თავური დარტყმით გახსნა. მეორე ნახევარში ჯერ იური კოვტუნმა მიიღო მეორე ყვითელი ბარათი, მერე შეცვლაზე შესულმა არტიომ ბეზროდნიმ გაათანაბრა, ბოლოს კი რუსთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ლუის რობსონმა ლიბორ სიონკოს მუჯლუგუნი ჰკრა და მანაც მინდორი დასტოვა.

იმავე ჯგუფელებმა, „ბორდომ“ და „ტილბურგმა“ საფრანგეთში ხუთი გოლი გაიტანეს — სამი მასპინძლებმა, ორი სტუმრებმა. აქ აღსანიშნავი პირველი და ბოლო გოლებია. პირველი, ჰოლანდიელმა მცველმა რაიმონდ ვიქტორიამ ინგლისური ყაიდის თავურით შეაგდო საკუთარ კარში, ხოლო ბოლო ბორდოელმა ფეინდუნომ ერთობ ტექნიკურად და რაც მთავარია სწორი მიმართულებით გაიტანა.

H ჯგუფის გუნდები მილანსა და ბერლინში თამაშობდნენ. მილანში იტალიის ჩემპიონმა 2:1 სძლია თურქულ „გალათასარაის“. შეხვედრის მიწურულს ერდემ არიფის დარტყმას მასპინძელთა მეკარე კრისტიან აბიატი ჩინებულად რომ არ დახვედროდა, იქნებ საბოლოო შედეგი ფრეც ყოფილიყო.

ბერლინში ირანელმა თავდამსხმელმა ალი დაეიმ თითო ტაიმში თითო გოლით გამოიჩინა თავი— „ჰერტამ“ „ჩელსის“ 2:1 მოუგო. მეორე ნახევარში, მართალია, უპირატესობას ლონდონელები ფლობდნენ, მაგრამ საგოლე მომენტი ფაქტობრივად ვერ შექმნეს. ეს შეხვედრა „ჰერტასთვის“ ისტორიული გახლდათ. ამ გუნდმა ხომ ბოლო ევრომატჩი შინ 20 წლის წინ ჩაატარა, როდესაც უეფას თასის ნახევარფინალში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ უმასპინძლა.

ბორდო — ტილბურგი 3:2. მასპინძელ პასკალ ფეინდუნოს (№27) გოლი ჰოლანდიელთა კარში

REUTERS ბორდოდან

ჰერტა — ჩელსი 2:1. ბერლინელი მიხაელ პრეეტცი სელესტინ ბაბაიაროს (№3) გაურბის

REUTERS ბერლინიდან

E ჯგუფი

პორტუ 2:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ესკერდინია (6), 2:0 ჟარდელი (47)

პორტუ: ბაია, სეკრეტარიუ, კოშტა, ჟუქსი, პეიშუ, დრულოვიჩი, ჟარდელი, ჩანინო (ბარუში 77), ნუნო კაპუჩო (ოლივეირა 61), დეკო (ალვეში 88), ესკერდინია

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ამპონსა (გოგიჩი 58), ამანატიდისი, პურსანიდისი, ნინიადისი, ოლივეირა, ჯორჯევიჩი (ალექსანდრისი 89), კუაე, ზაპოვიჩი (სოუზა 75), ანატოლაკისი

მსაჯი: დ. ილერი (ინგლისი)

რეალი 4:1 მიოლდე

1:0 მორიენტესი (27), 2:0, 3:0 სავიო (60, 69პ), 3:1 ლილებეკი (79), 4:1 გუტი (80)

რეალი: კასილასი, სალგადო, კამპო, ჟულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ივანი, რედონდო, მაკმანამანი (ბალიჩი 64), ანელკა (გუტი 55), სავიო (ეტო 73), მორიენტესი

მიოლდე: ბაკე, სტრანდე, ტესემი, ლიდერსონი (სინგაასი 84), ფოსტერვოლდი, ოლსენი, ბერგი, ფიორტოფტი, ჰოსეთი (მორკი 66), ლილებეკი (სუნდგოტი 89), ლუნდი

მსაჯი: ჰ. სტრამპე (გერმანია)

პორტუ	2	2	0	0	3:0	6
რეალი	2	1	1	0	7:4	4
ოლიმპიაკოსი	2	0	1	1	3:5	1
მიოლდე	2	0	0	2	1:5	0

28 სექტემბერი. რეალი — პორტუ; ოლიმპიაკოსი — მიოლდე

F ჯგუფი

რეინჯერსი 1:1 ბაიერნი

1:0 ალბერტცი (22), 1:1 ტარნატი (89)

რეინჯერსი: შარბონიე, პორინი, ამორუზო, მური, ნუმანი, რეინა, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, ალბერტცი, მოლსი (ჰენდრი 83), იოჰანსონი (მაკკენი 90)

ბაიერნი: ვესელსი, ლინკე, მათეუსი (ციკლერი 85), კუფური, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, ლიზარაზუ (იანკერი 46), შოლი, ელბერი (სანტა კრუზი 72), სალიჰამიჯიჩი

მსაჯი: რ. ვოიჩიკი (პოლონეთი)

ეინდჰოვენი 1:1 ვალენსია

0:1 კ. ლოპესი (4), 1:1 ვან ნისტელროი (71პ)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, დირკსი, ფაბერი (ვიელაერტი 55), ჰაინცი, ხოხლოვი, ვან ნისტელროი, ბრუგინკი, ფოგელი, რომედალი (კოლკა 74), ნიკიფოროვი, სტინგა (ბომბა 69)

ვალენსია: კანისარესი (პალოპი 63), პელეგრინო, ბიორკლუნდი, მენდიეტა, კ. ლოპესი (ოსკარი 90), ხ. ლოპესი, კარბონი, სანჩესი (ანგულო 74), გონსალესი, ანგლომა, ალბედა

მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

ვალენსია	2	1	1	0	3:1	4
ბაიერნი	2	1	1	0	3:2	4
ეინდჰოვენი	2	0	1	1	2:3	1
რეინჯერსი	2	0	1	1	1:3	1

28 სექტემბერი. ეინდჰოვენი — რეინჯერსი; ბაიერნი — ვალენსია

G ჯგუფი

სპარტაკი 1:1 სპარტა

0:1 ლოკვენცი (16), 1:1 ბეზროდნი (73)

სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ხლესტოვი, ციმბალარი (შირკო 54), ბუშმანოვი, ბარანოვი (კეჩინოვი 63), ბულატოვი (ბეზროდნი 70), ტიტოვი, ტიხონოვი, პარფიონოვი, რობსონი

სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ლაბანტი, ჰაშეკი, ჰორნიაკი, ნოვოტნი, ლოკვენცი, სიონკო, ბარანეკი (პროპაზკა 85), როსიკი (ობაიდინი 75), ფუკალი

გაძევება: კოვტუნი (63), რობსონი (83)

მსაჯი: კ. ე. ნილსონი (შვედეთი)

ბორდო 3:2 ტილბურგი

1:0 ვიქტორია (16 ს.კ.), 2:0 ლასლანდი (22), 2:1 აბდელაუი (40), 2:2 სანუ (70), 3:2 ფეინდუნო (83)

ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, საველიჩი, ბონისელი, მარტინსი (ბატლი 63), რუვიერი, დიაბატე, მიკუ, ვილტორდი (ფეინდუნო 63), ლასლანდი

ტილბურგი: მამპეი, ვალკი, იალენსი, ვიქტორია, ჰილი, შუკოვი, გალაშეკი, არტსი, კესაი, ბომბარდა (შენინგი 74), აბდელაუ (სანუ 58)

მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი)

სპარტაკი	2	1	1	0	4:2	4
ბორდო	2	1	1	0	3:2	4
სპარტა	2	0	2	0	1:1	2
ტილბურგი	2	0	0	2	3:6	0

28 სექტემბერი. ბორდო — სპარტაკი; სპარტა — ტილბურგი

H ჯგუფი

ჰერტა 2:1 ჩელსი

1:0, 2:0 დაეი (2, 70), 2:1 ლებეფი (86პ)

ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, ვან ბურაკი, შმიდტი, სანე (ვაიტი 66), დარდაი (ჰელმერი 80), დეისლერი, ტრეტშოკი (მიკალე 12), ვოში, დაეი, პრეეტცი

ჩელსი: დე გუი, ფერერი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლე სო (მორისი 71), დესაი, დეშამპი, ლებეფი, უაიზი, ძოლა, ფლო (სატონი 64)

მსაჯი: მ. პირო (ბელგია)

მილანი 2:1 გალათასარაი

1:0 ლეონარდო (44), 2:0 შევჩენკო (45), 2:1 უმითი (49)

მილანი: აბიატი, კოსტაკურტა (გნოტი 83), აიალა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, გატუზო, სერჯინიო, ლეონარდო (გიუნტი 69), ბირჰოფი, შევჩენკო (განცი 88)

გალათასარაი: ტაფარელი, უნსალი, ოლივეირა, პოპესკუ, ფათიჰი (ჰენბე 49), ილდირიმი, კაია, ევერტონი (არიფი 46), უმითი, ჰაჯი (ურუკი 46), ჰაქან შუქური

მსაჯი: ჰ. დალასი (შოტლანდია)

ჰერტა	2	1	1	0	4:3	4
მილანი	2	1	1	0	2:1	4
გალათასარაი	2	0	1	1	3:4	1
ჩელსი	2	0	1	1	1:2	1

28 სექტემბერი. მილანი — ჰერტა; ჩელსი — გალათასარაი

ყიფიანი თუ ჩივაძე?

ორი მწვრთნელი და ერთი ადგილი

ვინ იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი? აი, კითხვა, რომელიც ბევრ ქართველს აწუხებს.

ამ კითხვამ მოსვენება დაუკარგა ფეხბურთის ქართველ ქომაგებს, მწვრთნელებს ხომ მოთმინება აღარ ჰყოფნით, მათი უმრავლესობა რას არ გაიღებდა, ოღონდ თავი კაცის ვინაობა დღესვე შეიტყოს. ფეხბურთელები, როგორც ადრე, იმას დაუჭერენ მხარს, ვის ხელშიც ნაკრებში გამოძახება დაბეჭდილი ექნებათ.

ბუნებრივია, კითხვაზე პასუხი გვაინტერესებს ჩვენც, რადგან ჩვენთვის მთავარი ეროვნული გუნდის შედეგიანობა და თამაშის ხარისხია, ხოლო ამაში მწვრთნელის უდიდეს როლს ვანიჭებთ უპირატესობას.

ოფიციალურად ნაკრების მწვრთნელის საკითხი ფეხბურთის ფედერაციას არ განუხილავს, მაგრამ თუ იქიდან გამოსულ ხმებს ვერწმუნებით, ეროვნული გუნდის თავკაცი არაოფიციალურად უკვე დანიშნულია.

მაშ, ვინ არის იგი?

მწვრთნელობის კანდიდატი რამდენიმე იყო, რაოდენობა ფეხბურთის ფედერაციას ფორმალურადღა სჭირდება, თორემ აქედანვე ცხადია, ყველა მათგანთან ან არ ისურვებს, ანაც არ იკადრებს მოლაპარაკებას, მაგრამ რახან კანდიდატებად მაინც მოიხსენიებიან, მაშინ სავალდებულოც კია ჩვენც ვახსენოთ.

ეროვნული გუნდის მომავალი მწვრთნელი ვერაფრით იქნება ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი. მან აჯანყებულ და გატუტუცებულ ფეხბურთელებთან გაფუჭებული ურთიერთობებიც რომ გამოასწოროს, ნაკრების სათავეში დარჩენის არანაირი შანსი არ გააჩნია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთის ფედერაცია თავისი ყადაღადადებული ანგარიშით ბოსკამპს ხელფასს ვერ გადაუხდის. შეკრებაზე და ამხანაგური მატჩების მოწყობაზე ხომ ზედმეტია საუბარი.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ფეხბურთის მოყვარულები უცხოელი სპეციალისტის მოწვევას ტყუილუბრალოდ ელოდებიან. ეს ახლა გამორიცხულია, რამდენიმე წლის შემდეგ კი ვნახოთ...

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „ბათუმის“ იტალიელ მწვრთნელ კარნევალეზე, მაგრამ სინიორ კარნევალეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ ენდობა, მან ჯერ თავისი პროფესიული გაქანების მასშტაბები დაამტკიცოს და კანდიდატთა სიაშიც მერე შევიტანთო — უთქვამთ.

ჯანი კარნევალეს ნაკრების მწვრთნელობის ერთადერთი შანსიღა დარჩენია, მაგრამ სანამ ის შანსი რეალობას მიუახლოვდება, რისიც პირადად მე ნაკლებად მჯერა, მანამ ეროვნული გუნდის მწვრთნელი დანიშნული იქნება.

რაკი უცხოელი სპეციალისტის მოწვევის ვარიანტი გამორიცხა, ისღა დაგვრჩენია, მწვრთნელი საქართველოში ვეძებოთ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი არჩევანი არ გვაქვს (არც ოდესმე გვქონია), მაინც ექვსმა მწვრთნელმა მოიყარა თავი — რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, მურთაზ ხურცილავა, თემურ მახარაძე, ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი.

აქედან ოთხი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მხოლოდ რაოდენობის შეკრებისთვის გახლავთ სიაში ჩაწერილი, თორემ ფედერაცია არც ერთ მათგანს კონტრაქტს რომ არ შესთავაზებს, ცხადზე უცხადესია.

ნაკრების მწვრთნელად არ დანიშნავენ რევაზ ძოძუაშვილს, რადგანაც მიხიჩა და ფეხბურთის ფედერაცია ისე უყურებენ ერომანეთს, როგორც კატა ძაღლს. გაფუჭებულ ურთიერთობებზე თუ არას ვიტყვით, მაშინ ძოძუაშვილი ისეთ სამსახურში მოეწყო, ქართველი მწვრთნელი ამჟამად უკეთესს რომ ვერ ინატრებს. ბატონი რევაზი ნაკრების მწვრთნელობას (რა თქმა უნდა, არსებულ პირობებში) არც ითხოვს, არც მოითხოვს და არც ფედერაცია შესთავაზებს — მობრძანდი და იმუშავეო.

ჯერჯერობით ნაკრებში ვერც გივი ნოდიას მომავალს ვხედავთ. მართალია, ნოდიას სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივში“ ურთიერთობები გაურთულდა, მაგრამ არა ისე, იქიდან გამოსაქცევად ჰქონდეს საქმე. ვერც ფეხბურთის ფედერაციის მონდომებას ვამჩნევთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ასე რომ, ნოდიას კანდიდატურაც გამოირიცხა.

მურთაზ ხურცილავამ თავისი ხელით მოჭრა ის ტოტი, რომელზეც მყარად უნდა მოკალათებულიყო. „ლოკომოტივის“ ფიასკომ ახლა უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ხურცილავას ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობის საკითხიც. დღეს ყველაფერი შედეგით იზომება, ხოლო ბატონი მურთაზის ბოლოდროინდელი მიღწევები სრულებითაც არ არის შთამბეჭდავი.

ფეხბურთის ფედერაციას, რა თქმა უნდა, შეუძლია, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს მწვრთნელის საკითხი, არავის არ გაუწიოს ანგარიში და დანიშნოს მურთაზ ხურცილავა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას ვერ გაბედავს. ფედერაციას ბევრი ადამიანი აუჯანყდება, მათ შორის სპორტული პრესა და გულშემატკივარიც.

ამათთან ურთიერთობების გამწვავება კი პირველ რიგში თავად ფედერაციას არ აძლევს ხელს. ასე რომ, მურთაზ ხურცილავაც თამაშგარეთ დარჩა.

რაც შეეხება თემურ მახარაძეს, ფეხბურთის ფედერაცია მას სხვა დანარჩენებს ვერ ამჯობინებს, მათთან შედარებით მახარაძეს ნაკლებმქუხარე სახელი აქვს ქართულ ფეხბურთში და ვერც ტიტულებით დაიკვეხნის. მახარაძის უდიდესი მიღწევა გასული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალია. არა, ბატონ თემურს ჯერაც ცდა მოუწევს.

დარჩა ორი კანდიდატი — დავით ყიფიანი და ალექსანდრე ჩივაძე.

ფეხბურთის ფედერაციისთვის ორივე სასურველია, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადგილია ერთი. მეორეობას არც ერთი მათგანი იკადრებს და ისურვებს, ფედერაციამაც, რა თქმა უნდა, ამათგან საუკეთესო უნდა აირჩიოს.

დავით ყიფიანი

ალექსანდრე ჩივაძე

ბაბრი კეთილაძის ფოტოები

რადგანაც სხვა ვარიანტი არ არსებობს, ჩვენც ამ ვარიანტით და ამ ირგვლივ უნდა ვიტრიალოთ.

ზემოთ შედეგი ვახსენეთ, რითაც ქართული ფეხბურთი დიდად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ჩვენ ჩივაძისა და ყიფიანის მიღწევებიდან მაქსიმუმი გამოვწუროთ და გადათვლას შევუდგეთ...

ნაკრების თავკაცობის ჟამს ალექსანდრე ჩივაძემ ეროვნული გუნდის ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია — შესარჩევ ციკლში მესამე ადგილი მერე არ გვღირსებია.

ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილებმა ორ-ორი მატჩი წააგეს გერმანიასთან და მოლდოვასთან, ერთი მარცხი სტუმრად ბულგარელებთან, რასაც იმავე ბულგარელების თბილისში დამარცხება და უელს-ალბანეთის ორ-ორჯერ ძლევა ემატება.

მომდევნო შესარჩევი ციკლიც ჩივაძემ დაიწყო, წააგო იტალიაში და შინ ინგლისთან, მერე კი ნაკრებსაც გამოეთხოვა.

ის შესარჩევი ციკლი დავით ყიფიანმა გააგრძელა. წააგო ინგლისში და პოლონეთში, ორჯერ მოუგო მოლდოვას, სახლში წააქცია პოლონეთი და ქულა დაატოვებინა ჩეზარე მალდინის იტალიას.

გინდა არ გინდა, უნდა აღიარო, საქართველომ სწორედ ყიფიანის დროს გააკეთა სოლიდური ნახტომი ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგში.

თუ საკლუბო დონეზე მუშაობის გამოცდილებაზე ვინებებთ საუბარს, მაშინ დავით ყიფიანის უპირატესობა თვალნათელია. მიზეზიც სულ უბრალო — ალექსანდრე ჩივაძეს ნაკრებამდე და მის შემდეგ მწვრთნელად არ უმუშავია, ყიფიანი პირიქით, ჯერ „შინიკი“, მერე ბელგიური „რასინგ მეხელენი“, ახლა კი „ტორპედო“.

ფეხბურთის ფედერაციაში ზოგი ალექსანდრე ჩივაძის მწვრთნელობას უჭერს მხარს, ზოგიც დავით ყიფიანის მომხრეა.

არ არის გამორიცხული, ამ საკითხის ირგვლივ აღმასკომის წევრთა აზრებიც გაიყოს და ამიტომ არ გაგიკვირდეთ, ეროვნული გუნდის თავკაცის დანიშვნა საგანგებო კომიტეტმა ითავოს, რომელსაც თავად ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ხელმძღვანელობს. საგანგებო კომიტეტს მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების უფლება თავად აღმასკომმა მიანიჭა.

თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, მაშინ ფედერაციას უკვე შეუთავაზებია მწვრთნელობა ალექსანდრე ჩივაძისთვის, რაზეც, როგორც ამბობენ, ბატონ საშას უარი უთქვამს.

რას ფიქრობს ბატონი დავითი და შესთავაზეს თუ არა მწვრთნელობა, ჯერაც უცნობია, მაგრამ სასწორი ჯერჯერობით მის მხარეს იხრება.

საფეხბურთო წრეებში კი ჩურჩულებენ, ნაკრების მწვრთნელი დანიშნულია და ფედერაციაც მისი ვინაობის გამხელას ბოლო მომენტამდე არ აპირებსო.

როგორც არ უნდა მოინდომოს ფეხბურთის ფედერაციამ, მწვრთნელის ვინაობის მიჩქმალვას 7 დეკემბერზე გვიან ვერ შეძლებს. ტოკიოში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრაზე ხომ ნაკრების მწვრთნელიც უნდა გაემგზავროს.

ისე, მწვრთნელი ან დავით ყიფიანი იქნება, ანაც ალექსანდრე ჩივაძე. სხვა ვარიანტი არც არსებობს.

მამუკა კვანტალიანი

გერმანელთა ვარაუდი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველ მცველ ლევან ცქიტიშვილს თავისი კლუბის ძირითად შემადგენლობაში ბოლო დროს დაკარგული ადგილის დაბრუნების შანსი გაუჩნდა. გუშინ „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობამ კლუბის სლოვენიელი ლეგიონერი მირიან პავლინი მიმდინარე სეზონის ბოლომდე მეორე ბუნდესლიგის „კარლსრუეში“ გაანათხოვრა. ალბათ იკითხავთ, 27 წლის პავლინის წასვლით ცქიტიშვილს რა ხეირიო. საქმე ისაა, რომ პავლინი ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველი გახლავთ. იგი (ბოლო მატჩებს თუ არ ჩავთვლით) „ფრაიბურგის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლებოდა. მინდორზე მისი, ბაიასა და გიუნეშის ყოფნის დროს კი გუნდის მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე მარცხენა მცველად, ანუ ცქიტიშვილის ადგილას მეორე ჩვენებურს, ლევან კობიაშვილს აყენებდა. სპეციალისტთა ვარაუდით, ახლა ფინკეს ფეხბურთელთა გადაადგილება მოუწევს. კერძოდ, კობიაშვილი სავარაუდოდ შტეფან მიულერს ამოაგდებს ძირითადიდან (მიულერი ისედაც იშვიათად ხვდება სასტარტო შემადგელობაში) და მინდვრის ცენტრში ბაიას ან გიუნეშს შეეწყვილება. მარცხენა მცველის პოზიციას კი ძველებურად ცქიტიშვილი დაიკავებს.

იზიარებს თუ არა ფინკე ამ აზრს, ეს ბუნდესლიგის ჩემპიონატის უახლოეს ტურში გამოჩნდება. ჩვენ კი ჩვენსას დავამატებთ. ლევან ცქიტიშვილის „ფრაიბურგის“ (და ალბათ საქართველოს ნაკრებისაც) ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად გვარიანი შრომა მოუწევს. ლატვიის ნაკრებთან ამასწინანდელმა მატჩმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ცქიტოს სასურველ ფორმამდე ჯერაც ბევრი უკლია.

ვანო ოძროპირიძე

მახარაძის პირველი მსხვერპლი

ბადრი კვითელაძის ფოტო

სოსო ბარამიძე „ლინფილდთან“ თბილისური მატჩისას

გუნდში ახალი მწვრთნელის მისვლას ბევრი სიახლე მოსდევს. იცვლება ტაქტიკა, ვარჯიშის მეთოდი... იცვლებიან ფეხბურთელებიც.

უეფას თასზე ბერძნულ პაოკ-თან განადგურების შემდეგ თბილისის „ლოკომოტივი“ რომ თემურ მახარაძემ ჩაიბარა, უკვე გეცოდინებათ. ჰოდა, მახარაძეც უმალ „ლოკომოტივის“ განახლება-გადახალისებას შეუდგა.

რკინიგზელთა გუნდში ახალი მწვრთნელის მისვლას გუშინ პირველი ფეხბურთელი შეეწირა. კლუბის პრესცენტრის ცნობით, სოსო ბარამიძისთვის მახარაძეს უთქვამს, ერთად ვერ ვიმუშავებთო. 28 წლის ცენტრალური ნახევარმცველიც იძულებული გახდა, „ლოკომოტივი“ დაეტოვებინა და ახალი კლუბის ძიებას შესდგომოდა. თუმც სქართელოს ფეხბურთის ფედერაციის დებულების მიხედვით, იგი სხვა ქთულ გუნდში გაზაფხულამდე ვერ ითამაშებს. აქედან გამომდინარე, ბარამიძეს ან სამ-ოთხ თვეს შესვენება, ანაც უცხოური კლუბის მოძებნა მოუწევს.

ხვიჩა სანიკიძე

Under 18 ერნშოუს დუბლმა უელსს გაამარჯვებინა

ახალგაზრდა უელსელებმა უეფას მერვე შესარჩევ ჯგუფში მოულოდნელი სტარტი აიღეს — წუხელ „ჰენდერენ პარკზე“ ქართველები დამარცხეს.

ახალგაზრდა „დრაკონები“ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ გემანია 2000-ს. ეს სენსაციურ მეორე ტაიმში მოხდა, როდრი ჯონსის და რობ ერნშოუს გოლებით და ახლა უელსი მეტი შანსით ხვდება შვეიცარიასთან ოთხშაბათის მატჩს.

უელსელთა ძირითადში ორი პრემიერლიგელი ჭაბუკი ირიცხებოდა — ცენტრალური მცველი როდრი ჯონსი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ და კაპიტანი რაიან ვალენტაინი „ევერტონიდან“.

უელსელებმა შესანიშნავი სტარტი აიღეს — კარდიფელმა ერნშოუმ 27-ე წამზევე გაიტანა.

მაღალი ბურთი ქართველთა საჯარიმოში აფართხალდა და ზამბიაში დაბადებული ერნშოუ ედიკ საჯაიას გასცდა და ზურაბ მამალაძესაც გაუტანა.

საქართველო თავიდან იშვიათად უტევდა, მაგრამ ნახევარი საათის მერე ნახევარმცველი მალხაზ ასათიანი ორჯერ სახიფათოდ დამუქრა მასპინძლებს, თუმც ერთხელ ვალენტაინი გადაეღობა ბურთს, მეორედ კი 20 იარდიდან დარტყმული ლი კენდალის კარის ხარიხას გადასცდა.

კანდალმა 35-ე წუთზე ცეზარ ხუროძის შესანიშნავი დარტყმა მოიგერია, მაგრამ 60 წამში მისგანვე მიიღო ბურთი კარში — ქართველთა მოხეტიალე ნახევარმცველმა, რომელიც რიგის „სკონტის“ თინეიჯერია, 30 იარდიდან მარჯვენა ფეხით აუღებელი დაარტყა.

თამაშის განახლებას უელსი იღბლიანად შეეგება. 58-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან მაიკლ ფაულერის ჩაწოდებულმა საჯარიმომ ქართველთა გაყინული დაცვა მოაჯადოვა და ჯონსმა 6 იარდიდან გაიტანა.

შოკირებული საქართველო თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ხელმეორედ გატყდა, როცა ერნშოუმ მესამე (თავისი მეორე) გოლი გაიტანა. მეორე შესარჩევ მატჩში იტალიამ შვეიცარიასთან ფრედ 0:0 ითამაშა ბერიში, „ჯენერ პარკზე“.

21 სექტემბრის „ვესტერნ მეილ & ეკო“

პაოკმა მეტი გაიტანა, მაგრამ მაინც ვერ მოიგო

სალონიკი
20 სექტემბერი
21 საათი
ტუბასი
22 226 (ტევადობა 41 000)

პაოკ 4:4 აეკ

0:1 ჩირიჩი (23), 1:1 მარაგოსი (16), 1:2 ნიკოლაიდისი (20), 1:3 დოლბერგი (ს.კ.24), 2:3 დოლბერგი (36), 2:4 დელასი (46), 3:4 გეორგიადისი (64), ვალენსია 4:4 (89)
პაოკ: მიხოპულოსი, ბანდოვიჩი, ვენეტიდისი, კაცაბისი, მარანგოსი, დოლბერგი (ვრიზასი 69), თეთრაძე (ფრანცესკოსი 54), ნაგბე, საბრი (ვალენსია 54), გეორგიადისი, ფრუსოსი
აეკ: ატმაციდისი, ლაკისი, კასაპისი (კოპიტისი 77), დელასი, პეტრიჩი, ზიკოსი (მატიასევიჩი 66), მალადენისი, ჩირიჩი (კალიცაკისი 73), ნიკოლაიდისი, ბიეკოვიჩი, მარკოსი
გაფრთხილება: ზიკოსი, კასაპისი, ბიეკოვიჩი
გაძევება: ბიეკოვიჩი (51)
მსაჯი: დუროსი (კორინთო)

მართლაც საინტერესო გამოდგა ქართული გუნდების ბერძენ მეტოქეთა მატჩი, რომელიც სალონიკის 41-ათასიან „ტუბასის“ ნახევრადსავსე სტადიონზე ორშაბათს გაიმართა.

მაყურებელმა ჯამში 8 გოლი და კიდევ მრავალი აღსანიშნავი მომენტი იხილა.

აეკ-მა მოგებაზე პრეტენზია მეორე წუთზევე განაცხადა, როცა ნიკოლაიდისი საჯარიმოში დაეცა და დრაგან ჩირიჩმა სტუმრები თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დააწინაურა. 16 წუთში პაოკ-ელმა კოსტას მარანგოსმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მალე დემის ნიკოლაიდისმა ათენელები ისევ წინ გაიყვანა.

24-ე წუთზე აეკ-ის შეტევისას დოლბერგი შეცდა და თანაგუნდელები კიდევ უფრო უკან დახია — არგენტინის მოქალაქე გერმანელმა ბურთი საკუთარ კარში გაიტანა, მაგრამ ცოტა ხანში მანვე ჩინებული თავურით გამოასწორა შეცდომა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე დელასმა აეკ-ი ერთხელაც დააშვიდა.

სანერვიულო, ალბათ, არც აღარაფერი იქნებოდა, 51-ე წუთზე აეკ-ის სერბ თავდამსხმელს ნენად ბიეკოვიჩს კორინთიელი არბიტრისთვის მეორე გაფრთხილება არ გამოეტყუებინა და თანაგუნდელები ათინი არ დაეტოვებინა.

რიცხობრივი უპირატესობით გულმოცემულმა პაოკ-მა შეტევები გააძლიერა, 66-ე წუთზე კი თბილისში დუბლის გამტანმა გეორგოს გეორგიადისმა ილიას ატმაციდისსაც გაუტანა.

ანგარიში კი შეცვლაზე მოთამაშე ადოლფო ვალენსიამ გაათანაბრა, მასჯის წამატებულ დროში, შეაგდო რა პაოკ-ის მეხუთე გოლი.

სეზონის იმედი

მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელებს საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დამატებითი სტიმული მისცა. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ბატონ ჯანო ბაგრატიონის გადაწყვეტილებით ახალი პრიზი დაწესდა.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის 13 აგვისტოს სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით და ზაფხულის XXVIII ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად, აგრეთვე ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრთა დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დააწესა სპეციალური პრიზი „სეზონის იმედი“ — წერია ამ ორგანიზაციის მიერ ფეხბურთის ფედერაციის სახელზე გაგზავნილ წერილში.

ჯილდო ჩემპიონატის 20 წლამდე საუკეთესო ფეხბურთელს გადაეცემა.

ვანო ოძრობირიძე

რეგიონალური ლიგა

ქართული ბიბლიოთეკა

დასავლეთი

„ა“ ზონა

II ტური

18 სექტემბერი

გურია 2:3 სულორი

მაღაროელი 3:4 გაგრა

1:0 მენაბდიშვილი (2), 1:1 მუშკუდიანი (11), 2:1 კვთელაძე (27), 2:2 მუშკუდიანი (30), 3:2 მენაბდიშვილი (34), 3:3 უგულავა (47), 3:4 მუშკუდიანი (55)
გაფრთხილება: თირქია, გორდაძე (გაგრა), ჯ. გველესიანი, გოლეთიანი, გურული (მაღაროელი)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

19 სექტემბერი

რწმენა 0:0 რაჭა

გ. შავგულიძემ (რწმენა) ვერ გაიტანა პენალტი (75)
გაფრთხილება: გ. შავგულიძე (რწმენა), ძაგნიძე (რაჭა)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

იბერია 2 2:0 ოკეანე

1:0, 2:0 ოდიკაძე (19, 38)
გაფრთხილება: ზ. ჯანელიძე, ხელაძე (ოკეანე), ჟვანია, ხმალაძე (იბერია 2)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

მეტალურგი 0:3 მარგვეთი

0:1, 0:2 ენდელაძე (18, 30), 0:3 დ. ჩხეტია (77)
გაფრთხილება: მალაღურაძე, გავაშელი, გობრონიძე (მეტალურგი), ჯღარკავა, ბოჭორიშვილი, ბარდაველიძე, მერკვილიშვილი (მარგვეთი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

ინტერი — მეშახტე გადაიდო

მარგვეთი	2	2	0	0	5:1	6
სულორი	2	1	1	0	4:3	4
გაგრა	2	1	1	0	4:3	4
რწმენა	2	1	1	0	1:0	4
იბერია 2	2	1	0	1	3:2	3
ოკეანე	2	1	0	1	4:4	3
რაჭა	2	0	2	0	2:2	2
მეშახტე	1	0	1	0	2:2	1
ინტერი	1	0	1	0	0:0	1
მეტალურგი	2	0	1	1	1:4	1
გურია	2	0	0	2	2:4	0
მაღაროელი	2	0	0	2	5:8	0

„ბ“ ზონა

II ტური

18 სექტემბერი

ჩელა 1:1 ფაზისი

1:0 ესართია (15), 1:1 მაკალათია (60)
გაფრთხილება: აბსნაძე (ჩელა), ნაცვლიშვილი (ფაზისი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

მერცხალი 1:1 ზუგდიდი

1:0 წივწივაძე (13), 1:1 ბერულავა (67)
გაფრთხილება: კ. სიჭინავა (მერცხალი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

19 სექტემბერი

მეგრი 4:1 ბახმარო

1:0 კუტალია (16), 2:0 ჭარღულია (53), 3:0 კუტალია (73), 3:1 ა. გიორგაძე (75), 4:1 ვაზგანავა (86)
გაფრთხილება: თავაძე (ბახმარო)
გაძევება: თავაძე (67)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სამეგრელო 1:1 ლაზიკა

0:1 ლიპარტია (43), 1:1 ფირცხალავა (69)
გაფრთხილება: ქიქია (ლაზიკა)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

სქური 1:1 ბათუმი 2

0:1 ფირცხალაიშვილი (47), 1:1 კვირკვია (88)
ჯოლოხავამ (სქური) ვერ გაიტანა. პენალტი (54)
გაფრთხილება: ჯოლოხავა, როგავა (სქური), ფირცხალაიშვილი (ბათუმი 2)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

კოლხეთი 2 0:2 შუქურა

0:1 ჯიჯავაძე (24), 0:2 ყულეჯიშვილი (57)
გაფრთხილება: ი. ქუტიძე (შუქურა)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

შუქურა	2	2	0	0	12:0	6
მეგრი	2	2	0	0	5:1	6
ზუგდიდი	2	1	1	0	6:2	4
ლაზიკა	2	1	1	0	5:2	4
ფაზისი	2	1	1	0	3:2	4
ბათუმი 2	2	0	2	0	2:2	2
სამეგრელო	2	0	1	1	2:3	1
მერცხალი	2	0	1	1	1:2	1
კოლხეთი 2	2	0	1	1	1:3	1
სქური	2	0	1	1	2:6	1
ჩელა	2	0	1	1	1:11	1
ბახმარო	2	0	0	2	2:8	0

აღმოსავლეთი

„ა“ ზონა

II ტური

18 სექტემბერი

ვარძია 0:1 ცხუმი

0:1 არეშიძე (7)
გაფრთხილება: ნარმანია (ცხუმი)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

19 სექტემბერი

მესხეთი 1:4 საუ

0:1 კიბირია (44), 1:1 მოდებაძე (59), 1:2 პ. მესხი (85), 1:3 ალანია (87), 1:4 მაჭარაშვილი (90)
გაფრთხილება: ჯოგლიძე (მესხეთი), მერებაშვილი, მაჭარაშვილი, ბაბაშვილი, კიბირია (საუ)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

იბერია 1:1 თორი

0:1 ქობესაშვილი (28), 1:1 კოჩაძე (40)
გაფრთხილება: შოშიტაშვილი, მიშელაძე (იბერია), გლუნჩაძე, ლომიძე (თორი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

არაგვი 2:4 ივერია

1:0 ა. ქეთელაური (17), 1:1 ხმალაძე (42), 2:1 ა. ქეთელაური (44), 2:2, 2:3 ხმალაძე (72, 81), 2:4 ტოკლიკიშვილი (85)
გაფრთხილება: ა. წიკლაური, ტოკლიკიშვილი (ივერია), დავითური, ნარიმანიძე, ი. ქეთელაური (არაგვი)
გაძევება: ა. ქეთელაური (82), ნარიმანიძე (84)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

მრეტები 1:1 ცხინვალი

1:0 ბალაძე (29), 1:1 ბოჭორაძე (85)
გაფრთხილება: ჩარკვიანი, ამაშუკელი (მრეტები), გრიგალაშვილი, ტყემალაძე, გ. ტუღუში (ცხინვალი)
გაძევება: გ. ტუღუში (74)
მსაჯი: ნ. კილაძე (თბილისი)

ივერია	2	2	0	0	7:2	6
ცხუმი	2	2	0	0	5:1	6
თორი	2	1	1	0	6:2	4
ცხინვალი	2	1	1	0	4:1	4
საუ	2	1	0	1	5:3	3
განთიადი	1	1	0	0	2:1	3
მრეტები	1	0	1	0	1:1	1
ს.ა. იბერია	2	0	1	1	2:5	1
ვარძია	2	0	0	2	0:4	0
არაგვი	2	0	0	2	2:7	0
მესხეთი	2	0	0	2	2:9	0

„ბ“ ზონა

II ტური

18 სექტემბერი

ზოოვეტი 7:2 ენერგეტიკოსი

1:0, 2:0 მახარობლიშვილი (24, 30), 3:0 ლ. კვარაცხელია (33), 4:0 შუკაკიძე (49), 5:0 გუგუშვილი (52), 5:1 კიკნაველიძე (57), 6:1 მიგრიაული (78), 7:1 შელეგია (84), 7:2 კალანდაძე (90)
გაფრთხილება: გუგუშვილი, ზაკუტაშვილი (ზოოვეტი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

19 სექტემბერი

არსენალი 2 5:1 ყვარელი

1:0 ნ. ჩალაძე (2), 2:0 მანწკავა (36), 3:0 ნ. ჩალაძე (47), 4:0 გოლეთიანი (55), 4:1 ოსეფაშვილი (58), 5:1 ნ. ჩალაძე (60)
გაფრთხილება: მანწკავა, აბაშიძე (არსენალი 2), დავითაშვილი (ყვარელი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

ამირანი 0:1 ჭაბუკიანი

0:1 ომანიშვილი (25)
გ. მეტრეველმა (ჭაბუკიანი) ვერ გაიტანა პენალტი (32)
გაფრთხილება: ე. მარეხაშვილი, შეყელაძე (ჭაბუკიანი), ი. თოლორდავა, არულაშვილი (ამირანი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

20 სექტემბერი

თბილისი 2 0:0 ხალიბი

გაფრთხილება: ვ. ჩხაიძე, სახურია (თბილისი 2), დ. წიკლაური (ხალიბი)
გაძევება: სახურია (87)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

ალაზანი 1:3 ლოკომოტივი 2

1:0 ყალიბეგაშვილი (54), 1:1 გ. ჯანელიძე (57), 1:2 სოსელია (70), 1:3 გილაური (80)
გაფრთხილება: დ. ბურდული (ალაზანი), შავშიშვილი (ლოკომოტივი 2)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

ზოოვეტი	2	2	0	0	10:2	6
ლოკომოტივი 2	2	2	0	0	8:2	6
არსენალი 2	2	2	0	0	7:2	6
აკადემია	1	1	0	0	1:0	3
ჭაბუკიანი	2	1	0	1	2:2	3
თბილისი 2	2	0	2	0	1:1	2
ხალიბი	2	0	1	1	0:3	1
ყვარელი	2	0	1	1	2:6	1
ალაზანი	1	0	0	1	1:3	0
ამირანი	2	0	0	2	1:6	0
ენერგეტიკოსი	2	0	0	2	2:8	0

ღამენათევი და ნაწვალები

ის, რაც ქუთაისში ხდება...

„ტორპედო“ — აეკ 0:1. ზურაბ იონანიძე (მარცხნივ) ქუთაისელ გულშემატკივართა რჩეული გახდა

ბერძნების ჩამოსვლამდე 11 დღით ადრე ქუთაისის „გივი კილაძის“ სტადიონი დაიწვა. ბერძნების ჩამოსვლამდე 11 დღით ადრე ქუთაისში დიდი ფეხბურთის სტუმრობა საეჭვო გახდა. ხმები დაირხა, „ტორპედო“ თბილისში ან ბათუმში ითამაშებსო. სხვა გამოსავალი თითქოს არც ჩანდა.

არადა, 9 წელი ელოდა ქუთაისი დიდ ფეხბურთს, 9 წელი ნატრობდა მასთან ზიარებას... 9 წელი კი ძალიან ბევრია საფეხბურთო ტრადიციებით ცნობილი ქალაქისთვის, 9 წელი ამ ტრადიციების მივიწყებასა და გარდაცვალებას მოასწავებდა... და წლეულს, როცა მაისში მოზეიმე სავარდო ქალაქი ლადო მესხიშვილის თეატრში საქართველოს თასისა და ვერცხლის მედლის მფლობელ „ტორპედოს“ შეხვედრას უწყობდა, პირველად გაისმა ხმამაღალი ფრაზა — გაისად „ტორპედომ“ უნდა იჩემპიონოსო! ამ სიტყვებს კი ძნელად თუ უწოდებს ვინმე ნაადრევად თქმულსა და უაზროდ დანაქადნევს. პირდაპირ გეტყვით — ის, რაც დღეს საფეხბურთო ქუთაისში ხდება, საქართველოს ყველა კუთხესა თუ ქალაქში უნდა ხდებოდეს...

ისევ იმ 11 დღეს და ღამეს დავუბრუნდეთ, დამწვარი სტადიონის ადგილზე რომ გაატარეს ქუთათურებმა. და ეს იმიტომ, რომ დიდი ფეხბურთისთვის ემასპინძლათ. ბევრი ამბობდა, ვერ მოასწრებენო. ისეთი ხალხი შეეპყრო პესიმიზმს, საკუთარი თვალით რომ არ ენახა „გივი კილაძეზე“ დატრიალებული ტრაგედიის ნაკვალევი. არც გაემტყუნებოდათ, რადგან ვერავინ წარმოიდგენდა, თუ დღევანდელ საქართველოში ვინმე ფეხბურთისთვის სისხლს გამოუშვებდა, ფეხბურთისთვის მოუცლელ ქვეყანაში მის გამო თავს დადებდა. შემზარავი ტრაგედიის თვითმხილველი ქალაქი სხვაგვარად ფიქრობდა, უფრო სწორად კი, არ სურდა, სხვებივით ეფიქრა, არ სურდა, სხვაგან გაეშვა საკუთარი კლუბი. დამწვარ შენობას ნუ გადაიღებთო, უთქვამთ შემთხვევის ადგილას მისული ტელეოპერატორისთვის და ვინც ამ სიტყვებს ამბობდა, მას ერთი მიზანი ამოძრავებდა — მიზანი ბერძნების უცილობლად ქუთაისში მასპინძლობისა... 16 სექტემბრისთვის ყველაფერს აღვადგენთ — მოჭრილად განუცხადებია „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილს. 16 სექტემბერს ღამენათევმა და ნაწვალებმა ქუთაისმა დიდ ფეხბურთს გაუღო კარიბჭე-

ისინი

ისინი 10 თვის წინ მოვიდნენ ქართულ ფეხბურთში. მოვიდნენ, ნახეს და გაიმარჯვეს, ქართული ფეხბურთისადმი გამოცხადებულ ცივ ომში გაიმარჯვეს. 20 ათასი ფეხბურთის ქომაგი მოიყვანეს ჩემპიონატის რიგითი კალენდარული შეხვედრის საყურებლად. 20 ათასი ქართველი ქომაგი ეროვნულ ნაკრებს ენატრება დღეს...

მართლაც უცნაურია ეს ყველაფერი, ისეთივე უცნაური, როგორიც 16 სექტემბრის დღე იყო „ტორპედოს“ სტადიონზე. თამაშიც უცნაური გამოდგა, ისეთი, მსგავსის გახსენება რომ გაუჭირდებათ ქუთაისელ გულშემატკივრებს. უსაზღვრო დაძაბულობა და დაწყვეტილი ნერვები — აი, ამგვარად შეიძლება შეფასდეს „ტორპედო“ — აეკ-ის მატჩი. მის დაწყებამდე 30 წუთით ადრე ფეხბურთელები გასახდელებიდან გამოვიდნენ. უმალ იღრიალა ამ დროისათვის უკვე გადაჭედილმა აღმოსავლეთ ტრიბუნამ. აღელვებული სახეები ჰქონდათ ტორპედოელებს. არა, შიშს ვერ დავარქმევ, ვერც ზუსტად განგიმარტავთ მათ მდგომარეობას. ეს რომ შეიგრძნო, თავად უნდა გამოსცადო ყოველივე.

მიხეილ ქორქიას, „ტორპედოს“ პრეზიდენტს, არ გასჭირვებია იმის გამოცნობა, თუ რა დღეშიც იყვნენ ბიჭები. იდგა იგი სარბენ ბილიკებზე და თვალმოუშორებლივ უცქერდა მოვარჯიშე ფეხბურთელებს. ალბათ, წუთები ახსენდებოდა, თავისი სპორტული კარიერის ყველაზე დაძაბული და ამაღელვებელი წუთები. ყველასგან განმარტოებული, ფიქრებში გართული მიახლოებულმა ნორჩმა „აუტჩიკმა“ გამოაფხიზლა. ქორქიამ, რაღაც გადაულაპარაკა ბიჭუნას და კვლავ მოვარჯიშე „ტორპედოელებს“ მიაპყრო მზერა...

შეხვედრის მერე სიგარეტის კვამლში გახვეული მიდი-მოდიოდა სტადიონის აღმინისტრაციული კორპუსის წინ. ადგილს ვერ პოულობდა, თითქოს საუბარიც არავისთან სურდა, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენა ეწადა, მაგრამ... არ გაუმართლა მიხეილ ქორქიას. შენობიდან გამოსული აეკ-ის მოღიმარ პრეზიდენტ სტეფანოს მამაციასს შეეჩეხა, რომელმაც მას თარჯიმნის დახმარებით რამდენიმე ტკბილი სიტყვა უთხრა. ქორქიამ თავს ძალა დაატანა, სტუმარს არ აგრძნობინა, იმედგაკარგული ვარო, სიცილით უპასუხა ბერძენს. აქ კი აღმოხდა ემოციებისგან დატყვევებულ მამაციასს, ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთო... ღია ჭრილობაზე მარილის დაყრასავით იყო ეს სიტყვები. თუმცა „ტორპედოს“ პრეზიდენტი, მაინც თავაზიანად დაემშვიდობა სტუმარს და ნაცნობი სახეების თვალიერება დაიწყო. ახლობლების გარეგრამ... არ გაუმართლა მიხეილ ქორქიას. შენობიდან გამოსული აეკ-ის მოღიმარ პრეზიდენტ სტეფანოს მამაციასს შეეჩეხა, რომელმაც მას თარჯიმნის დახმარებით რამდენიმე ტკბილი სიტყვა უთხრა. ქორქიამ თავს ძალა დაატანა, სტუმარს არ აგრძნობინა, იმედგაკარგული ვარო, სიცილით უპასუხა ბერძენს. აქ კი აღმოხდა ემოციებისგან დატყვევებულ მამაციასს, ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთო... ღია ჭრილობაზე მარილის დაყრასავით იყო ეს სიტყვები. თუმცა „ტორპედოს“ პრეზიდენტი, მაინც თავაზიანად დაემშვიდობა სტუმარს და ნაცნობი სახეების თვალიერება დაიწყო. ახლობლების გარეგანმოცვის აუცილებლობა იგრძნო, მათთვის გულისნადების გაზიარება მოუნდა, სათქმელი აუცილებლად უნდა ეთქვა... თქვა კიდეც რა ვქნა, ვინ დავადანაშაულო. ბიჭებმა იომეს. ალბათ, ამ ეტაპზე მეტი არ ძალგვიძს. თუმცა არაუშავს, ყველაფერი თავის დროზე მოვა. ის კი მწამს, თუ „ტორპედო“ ეროვნულ ჩემპიონატშიც ასეთი მონდომებით ითამაშებს, წარმოუდგენელია, ქულა ვინმესთან დაკარგოს“ — მიხეილ ქორქიამ შორს გაიხედა, ბოლომდე ირწმუნა გუნდის, ერთი წამითაც არ უნანია, რომ ათი თვის წინ „ტორპედოს“ პრეზიდენტობას დათანხმდა.

„ტორპედოს“ პრეზიდენტი მიხეილ ქორქია

თემურ ჯავახაძის ფოტო

უიმედობა და ხელის ჩაქნევა არც შედან ნანიკაშვილსა და კიდევ ერთ კაცს არ ეტყობოდათ. ეს ის კაცია, ვინც „ტორპედოს“ ფინანსურად ეხმარება — ისმოდა ირგვლივ. თუ არ ვცდები, ზურაბი ჰქვია. არ სურს ყურადღების ცენტრში ყოფნა, ჩრდილში დარჩენასა და საქმის კეთებას ამჯობინებს. ქუთაისის სტადიონისა და კლუბის აღმშენებლობაში უზარმაზარი წვლილი შეაქვს. მიხეილ ქორქიასთან და შედან ნანიკაშვილთან ერთად სიხარულსა და დაუვიწყარ წუთებს ჩუქნის „ტორპედოს“ გულშემატკივრებს და სანაცვლოდ ხალხისგან პატივისცემის მიღებას არ ჩქარობს. არ არის საჭირო — თავაზიანად აჩერებს მისკენ ობიექტივით მიმართულ ფოტორეპორტიორებს და მიდის თავის გზაზე, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს ქუთაისური ფეხბურთი დუპყრობელი მწვერვალისკენ...

მიუხედავად ყველაფრისა, „ტორპედოს“ სტადიონი ბოლომდე მოირთვება ინდივიდუალური სკამებით, თანამედროვე განათებით აღიჭურვება, კიდევ უფრო გაკოხტავდება და გალამაზდება — თამამად აცხადებენ კლუბის ხელმძღვანელები. მათი სწამთ და სჯერათ ქუთაისელ ქომაგებს, ისევე, როგორც უკეთესი მომავლის.

ქომაგები

16 სექტემბერს მათ ვერ იცნობდით. ძველებური შემართება აკლდათ ქუთაისელ გულშემატკივრებს. რაღაც ვერ დასჭექეს ჩვეულად და ჩაბყენეულად. ღელავდნენ, „ტორპედოელებიც“ ალოლოდნენ, ნერვებს ეშალებოდათ, თქოს თითოეული მათგანი მინდორზე თამაშობსო ბიჭების გვერდით. ყოველ მომენტზე რეაგირებდნენ, მსაჯსა და ბერძნებს უბღვერდნენ, საკუთარ ფეხბურთელებს თამაშს კარნახობდნენ და მათ საბრძოლო შეძახილებით ამხნევებდნენ. და მაინც... დაღლილნი ჩანდნენ, ღამენათევნი და ნაწვალებნი.

წინა დღით ეკლესიაში წასულან და უფლისთვის „ტორპედოს“ გამარჯვება შეუვედრებიათ. ღამე ძილი არ გაჰკარებია ბევრ მათგანს, ვისაც წასთვლიმა ისიც გაუთავებელმა სიზმრებმა (ცხადია, ფეხბურთი ესიზმრებოდათ) არ მოასვენა თურმე.

— სასწრაფოდ მომეცით ბილეთის ფული, 3 ლარი, თორემ შინ აღარ მოვალო— ემუქრებოდა ერთი ჩემი ნაცნობი თავის ოჯახის წევრებს — ტელევიზორში რა მაყურებინებს „ტორპედოს“ თამაშსო. ერთმა კიდევ 3 ზოშით დიდი გვარდიელის ფორმა მოირგო და ამგვარად მოახერხა სტადიონზე შეღწევა... მსგავსი ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, შორს ძველი საფეხბურთო დროებისკენ. არა, ეს სულაც არ არის დაუჯერებელი, მერწმუნეთ, ყოველივე საქართველოში, ქუთაისში ხდება.

და კიდევ. პრიზი უყიდიათ „ტორპედოს“ ქომაგებს. სამოცდაათლარიანი გრაალის მაგვარი სუვენირი. ბიჭებიდან საუკეთესოდ ვინც ითამაშებს, იმას გადავცემთო — განაცხადეს მატჩის წინ. შეხვედრის მიწურულს კი გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩენილან. ვერა და ვერ გამოურჩევიათ ფავორიტი. ყველასი კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ მაინც იონანიძეზე შევჩერდითო. ისე ჩუმად, უხმაუროდ გადასცეს თასი თავიანთ რჩეულს, ამ მომენტის შემხედვარეს გული გეტკინებოდათ.

ასევე ჩუმად შეეგება ტრიბუნები მატჩის დამთავრებას. მდუმარედ გააცილეს გასახდელისკენ მიმავალი ფეხბურთელები. ერთი ზედმეტი სიტყვაც არ თქმულა ვინმეს მიმართ.

— როგორი საცოდავები არიან. არა, ძმაო, წასაგები არაფერი ჰქონდათ. შვილებს გეფიცები, საშინლად დამწყდა გული. არადა, ვერ წარმომედგინა, თუ ამდენი სამარცხვინო წაგების მერე ასე იბრძოლებდა რომელიმე ქართული გუნდი — ამ სიტყვებს ჩემს ზურგს უკან მდგომი თბილისელი გულშემატკივრები ამბობდნენ და თავაწეული გასცქეროდნენ ტორპედოელებს. თამაშის მსვლელობის დროს კი ხშირად კითხულობდნენ — №2 რა გვარია, №5, №6, №24 და ასე დაუსრულებლად...

გუნდი

პირადად მე მწვრთნელი დავით ყიფიანი არასოდეს მინახავს ასეთი აღელვებული. თითქმის მთელი შეხვედრა ფეხზე მდგომმა გაატარა. ერთი მომენტი განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

მეორე ნახევარი იწყებოდა. გადაღლილი ტორპედოელები მაინც მედგრად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის შეტევებს. მათ კართან კუთხური დაინიშნა და საჯარიმოში ლამის 18 ფეხბურთელი გაწყდა. უცებ ყიფანი სკამიდან ყვირილით წამოიჭრა — ბადრისთან ვინ დგას, ბადრის შეენაცვლეთ! ტანმორჩილ ბადრი ახალდიანთან კი ორმეტრიანი ბერძენი ფეხბურთელი აღმართულიყო. ყიფიანის ხმა ვეღარ მისწვდა „ტორპედოს“ საჯარიმოს... ის იყო, ბურთი კარის მიმართულებით დაარტყეს, რომ ქუთაისელთა მწვრთნელმა თავში ხელები წაიშინა და შებრუნდა.

...და „ტორპედო“. მის შესახებ ერთს გეტყვით. შეხვედრის წინა საღამოს მოვარჯიშე ტორპედოელებისთვის ფოტო უჩვენებიათ, რომელზეც ეკლესიაში მლოცველი ქომაგები აღებეჭდათ. ბიჭებს თვალებზე ცრემლები მოსდგომიათ, პირჯვარი გადაუწერიათ და ლამის ერთხმად უთქვამთ — ამ ხალხს მადლობა უთხარით, გადაეცით, რომ თავს არ დავზოგავთ, ბერძნებს მოედანზე ომს გავუმართავთო.

აი, ძირითადად ეს იყო, რის თქმაც მსურდა, ვფიქრობ, დაგაინტერესეთ კიდეც. ეს ხომ ტელევიზორის ეკრანიდან არ ჩანს. ყოველივე „ტორპედო“ — აეკ-ის შეხვედრამდე, შეხვედრის დროს და მერე მოხდა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ის, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, საქართველოს ყველა კუთხესა თუ ქალაქში უნდა ხდებოდეს.

ხვიჩა სანიკიძე

ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲒᲐᲙᲕᲓᲐ ᲡᲣᲚᲨᲘᲝ...

ᲕᲐᲮ, ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ ᲕᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠᲗ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲮᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘᲗ. ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲙᲝᲜᲙᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲝᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲜᲥᲔᲨᲘᲜᲘ?! ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲮᲣᲗᲘ ᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲐ ᲜᲐᲑᲘᲡᲙᲐᲛᲐᲠ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“, ᲠᲐᲗᲐ „Ა“ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ (ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ) ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲚᲘᲓᲔᲠ „ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ ᲙᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛ „ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲕᲘᲐᲡ“ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲗ ᲖᲔᲢᲧᲕᲘᲗ — ᲩᲐᲘᲬᲘᲔ, „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲛᲝᲡᲣᲚᲐᲝ.

ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲙᲐᲪᲣᲠᲐᲓ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲐᲮᲝᲡᲐᲕᲘᲗ, „ᲞᲠᲐᲕᲐ-ᲠᲐᲛᲙᲔᲑᲘᲗ“ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲔ. ᲰᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲝᲗᲝ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ „ᲞᲠᲐᲕᲐᲡ ᲐᲙᲐᲩᲐᲕᲔᲑᲘ“, ᲘᲥ ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲡᲐᲓᲐᲐ... ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲛ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲙᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲑᲔᲙᲔᲙᲐᲡ ᲪᲐᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲣᲚᲛᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲙᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲩᲥᲐᲠᲘᲡ (ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲒᲐᲜᲬᲘᲗ), ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲐᲜ ᲛᲐᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ ᲓᲐᲓᲚᲘᲗ ᲔᲕᲠᲝ�პᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲣᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲐ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲣᲙᲘ ᲕᲘᲜᲛᲔᲯ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲛᲘᲐᲥᲝᲚᲔᲑᲔᲜ — ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲒᲐᲙᲕᲓᲐ ᲡᲣᲚᲨᲘᲝ, ᲜᲣ ᲔᲤᲧᲘᲜᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲔᲗ ᲩᲐᲡ — ᲛᲝᲜᲘᲒᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲩᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ, ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ“ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ? ᲛᲔ ᲨᲔᲜ ᲒᲔᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ, ᲪᲮᲝᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ?

ᲐᲮᲚᲐᲪ „ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲛᲐ“ ᲡᲣᲚ ᲮᲘᲗᲮᲘᲗᲝᲜ ᲘᲒᲔᲠᲘᲐ ᲨᲔᲖᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲑᲚᲝ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲚᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ. „ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘᲡ“ ᲡᲘᲩᲥᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲠᲣᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲡᲚᲐᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲒᲐᲐᲒᲔᲑᲘᲜᲐ (ᲒᲐᲘᲒᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲣᲨᲚᲘᲡ), ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲑᲣᲠᲐᲓ ᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲗᲜᲐᲚᲐᲥᲐᲚᲔᲚᲗᲐᲜ. ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲛᲐᲜᲪ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ (ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ, ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲗ ᲥᲣᲚᲐ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲐ ᲛᲔᲢᲔᲠᲘᲗ) ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐᲪ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲐ ᲛᲔᲢᲔᲠᲘᲗ.

„ᲓᲘᲚᲐ“ „ᲑᲘ“ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲛᲐᲡ ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ ᲡᲬᲧᲐᲚᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲠᲝᲜᲐ, ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲓᲒᲜᲔᲡ ᲒᲝᲠᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲛᲘᲘᲪᲘᲝᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲗᲝᲠᲛᲔ... ᲯᲔᲠ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲠᲐᲡ ᲨᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲣᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲝᲛ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲭᲜᲐ.

ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲐᲕᲭᲐᲚᲐᲨᲘ „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲛᲐᲥᲠᲐᲕᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲤᲝᲗᲘᲡ „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲗᲝᲜᲗᲐᲜ“ ᲓᲐᲗᲓᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ. ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ ᲑᲐᲠᲘᲝᲠᲖᲔ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲑᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲓᲛᲧᲧᲐᲠᲔ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲗᲐᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲓᲠᲝᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲤᲐᲠᲛᲙᲚᲣᲑᲘᲗ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲡᲘᲩᲐᲣᲤᲘᲗ ᲢᲝᲚᲡ ᲐᲠ ᲣᲓᲔᲑᲡ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲙᲝᲢᲠᲘᲙᲐᲫᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲡ ᲓᲐ ᲐᲙᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲣᲠᲜᲘᲗᲪ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲔᲡ — 2:1 ᲛᲝᲣᲒᲝ ᲐᲥᲛᲓᲔ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ. ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲠᲘ ᲢᲣᲠᲘᲐ, ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲗᲜᲐᲚᲐᲥᲐᲚᲔᲚᲗᲐᲜᲗ. ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲠᲣᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲡᲚᲐᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲒᲐᲐᲒᲔᲑᲘᲜᲐ (ᲒᲐᲘᲒᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲣᲨᲚᲘᲡ), ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲑᲣᲠᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲨᲔᲡᲫᲐᲑᲓᲐ — ᲐᲘᲓᲐ, ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔᲛ. ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲘᲐᲮ, ᲗᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲛᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲠᲘᲐᲜᲗᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲝ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲤᲠᲔᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ.

ᲛᲐᲢᲩᲐᲛᲓᲔ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ „ᲓᲘᲚᲐᲡ“ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲨᲝᲠᲔᲡ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲘᲒᲔᲡ ᲒᲝᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲘᲛ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲤᲔᲮᲘ ᲣᲠᲔᲕᲘᲐ, ᲐᲠᲪ ᲮᲔᲚᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲮᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲐᲘᲐᲜᲘᲓᲛᲐ ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲐ (ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ, ᲢᲣᲠᲐᲛᲨᲐᲪ ᲒᲐᲐᲥᲪᲗ) ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐᲪ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲐ ᲛᲔᲢᲔᲠᲘᲗ.

„ᲓᲘᲚᲐ“ „ᲒᲘ“ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘ ᲓᲐᲐᲨᲝᲠᲔᲡ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲝᲘᲒᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲝᲠᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲔᲗᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲘᲑᲣᲠᲐᲓ ᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲒᲐᲠᲜᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲣᲗᲝᲕᲐᲚᲝᲗ — „ᲛᲐᲠᲗᲝᲓᲛᲐᲠᲗᲝ ᲙᲐᲪᲘᲭᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ „ᲘᲑᲔᲠᲘᲐᲡ“ ᲜᲘᲜᲘᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲪᲐᲚᲝᲡ, ᲜᲣᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲘᲓᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲮᲩᲘᲪ (ᲒᲐᲠᲜᲔᲡᲙᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲐᲮᲩᲘᲐ) ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲔᲚ ᲒᲣᲚᲨᲘᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘᲜᲝᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲛᲘ „ᲔᲠᲝᲡᲘ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲘᲡ“ ᲘᲐᲕᲐᲠᲯᲘᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲖᲔ.

„ᲓᲐᲗᲣᲛᲨᲘ“ ᲘᲛᲓᲒᲐᲠᲘ „ᲙᲐᲢᲔᲜᲩᲘᲠᲘ“ ᲨᲔᲔᲧᲐᲠᲐ, ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘᲐ 0:0 ᲗᲐᲛᲐᲨᲗᲘᲡ. ᲒᲐᲘᲒᲡᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲮᲒᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲜᲝᲚᲔᲑᲘᲗ. ᲙᲐᲪᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑ, ᲐᲛᲐᲡ ᲠᲐ ᲡᲯᲝᲜᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲔᲠᲗᲑᲔᲚ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ, ᲠᲐ, ᲒᲣᲚᲨᲘᲛᲐᲢᲪᲘᲕᲐᲠᲘ ᲪᲝᲓᲕᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ? ᲛᲔ ᲨᲔᲜ ᲒᲔᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ, ᲪᲮᲝᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ?

ᲐᲮᲚᲐᲪ „ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲛᲐ“ ᲡᲣᲚ ᲮᲘᲗᲮᲘᲗᲝᲜ ᲘᲒᲔᲠᲘᲐ ᲨᲔᲖᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲑᲚᲝ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲚᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ. „ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘᲡ“ ᲡᲘᲩᲥᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲠᲣᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲡᲚᲐᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲒᲐᲐᲒᲔᲑᲘᲜᲐ (ᲒᲐᲘᲒᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲣᲨᲚᲘᲡ), ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲑᲣᲠᲐᲓ ᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲒᲐᲠᲜᲔᲡᲙᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲣᲗᲝᲕᲐᲚᲝᲗ — „ᲛᲐᲠᲗᲝᲓᲛᲐᲠᲗᲝ ᲙᲐᲪᲘᲭᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ „ᲘᲑᲔᲠᲘᲐᲡ“ ᲜᲘᲜᲘᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲪᲐᲚᲝᲡ, ᲜᲣᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲘᲓᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲮᲩᲘᲪ (ᲒᲐᲠᲜᲔᲡᲙᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲐᲮᲩᲘᲐ) ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲔᲚ ᲒᲣᲚᲨᲘᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘᲜᲝᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲛᲘ „ᲔᲠᲝᲡᲘ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲘᲡ“ ᲘᲐᲕᲐᲠᲯᲘᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲖᲔ.

„ᲡᲘᲜᲝᲜᲘ“ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ �გᲣᲜᲓᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲣᲠᲦᲕᲘᲐ ᲡᲐᲓᲔᲛᲐᲠᲙᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲖᲘ „ᲐᲦᲐᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ.

ᲡᲚᲝᲪᲐᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲙᲘᲜᲙᲘᲚᲐ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ „Ა“ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲜᲘᲡᲐᲜ �გᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ, ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐᲐ. „ᲙᲝᲙᲐ ᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲛᲝᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ „ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ“ ᲒᲐᲒᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲡᲔᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲐᲛ ᲒᲐᲒᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲪᲐᲚᲝᲡ, ᲜᲣᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲣᲤᲚᲔᲑᲔᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲔᲑᲡ. ᲘᲥ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, „ᲡᲘᲝᲜᲗᲐᲜ“ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲪᲐᲚᲐ. ᲘᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲡᲙᲐᲛᲘ ᲐᲪᲐᲚᲝ, ᲜᲣᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲘᲓᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲮᲩᲘᲪ (ᲒᲐᲠᲜᲔᲡᲙᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲐᲮᲩᲘᲐ) ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲔᲚ ᲒᲣᲚᲨᲘᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲛᲘ „ᲔᲠᲝᲡᲘ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲘᲡ“ ᲘᲐᲕᲐᲠᲯᲘᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲖᲔ.

„ᲡᲘᲜᲝᲜᲘ“ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲣᲠᲦᲕᲘᲐ ᲡᲐᲓᲔᲛᲐᲠᲙᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲖᲘ „ᲐᲦᲐᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ.

ᲡᲚᲝᲪᲐᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲙᲘᲜᲙᲘᲚᲐ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ „Ა“ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲜᲘᲡᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐᲐ. „ᲙᲝᲙᲐ ᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲛᲝᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ „ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ“ ᲒᲐᲒᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲡᲔᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲐᲛ ᲒᲐᲒᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲪᲐᲚᲝᲡ, ᲜᲣᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲣᲤᲚᲔᲑᲔᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲔᲑᲡ. ᲘᲥ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, „ᲡᲘᲝᲜᲗᲐᲜ“ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲪᲐᲚᲐ. ᲘᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲡᲙᲐᲛᲘ ᲐᲪᲐᲚᲝ, ᲜᲣᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲘᲓᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ...

ᲡᲚᲝᲪᲐᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲙᲘᲜᲙᲘᲚᲐ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲪᲐᲚᲐ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲒᲐᲠᲜᲔᲡᲙᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲣᲗᲝᲕᲐᲚᲝᲗ — „ᲛᲐᲠᲗᲝᲓᲛᲐᲠᲗᲝ ᲙᲐᲪᲘᲭᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ „ᲘᲑᲔᲠᲘᲐᲡ“ ᲜᲘᲜᲘᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲪᲐᲚᲝᲡ, ᲜᲣᲠᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲓᲘᲓᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ...

ᲡᲚᲝᲪᲐᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲙᲘᲜᲙᲘᲚᲐ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐ

REUTERS ლისაბონიდან

ბენფიკა — სეტუბალი 3:0. სეტუბალელი რუი კარლოსი (მარცხნივ) ბენფიკელი ლუის კარლოსის წინააღმდეგ

პორტუგალია

IV ტური

ბელენენსეში 4:2 ალვერკა

1:0 კარლუში (8), 1:1 ნევესი (35), 2:1 სეგა (43), 3:1 სებრალი (71), 3:2 ნევესი (83), 4:2 კარლუში (84)

გიმარაეში 1:0 ვისენტე

1:0 ფერნანდო მეირა (50)

მარიტიმუ 3:0 ფარენსე

1:0 სუნუდცა (29), 2:0 რამონი (56), 3:0 იოკანოვიჩი (90)

სალგეირუში 2:0 სანტა კლარა

1:0 რენატუ სილვა (33პ), 2:0 მანუელ რამოსი (90)

პორტუ 4:1 რიუ ავე

1:0 ჟარდელი (15), 1:1 ვისენტე (27), 2:1, 3:1 ჟარდელი (49, 76), 4:1 რუი ბაროსი (90)

ლიერია 0:0 ბოავიშტა

კამპომაიორენსე 2:4 ბრაგა

0:1 რენე რივასი (5ს.კ.), 1:1 სილვა (51), 1:2 ელპიდიუ სილვა (55), 1:3 ჟოზე ბარუში (84), 1:4 პენაში (89), 2:4 როჟერიუ მატიაში (90პ)

ბენფიკა 3:0 სეტუბალი

1:0 კანდაუროვი (2), 2:0 რიბეირო (33), 3:0 ნუნუ გომეში (88)

სპორტინგი 1:1 ამადორა

0:1 გაუჩო გომეში (8), 1:1 ალბერტო აკოსტა (56)

ორშაბათს მეოთხე ტურის ორი გვიანი მატჩი გაიმართა. ლისაბონში „ბენფიკამ“ „სეტუბალს“ უმასპინძლა 3:0 მოუგო და გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა.

„სეტუბალმა“, რომელმაც გასულ ხუთშაბათს უეფას თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩში იტალიურ „რომასთან“ 0:7 წააგო, მეორე ტაიმი კაცნაკლულმა ითამაშა. 43-ე წუთზე სტუმრებს მცველი მარიო ლოია გაუძევეს. „ბენფიკამ“ თავიდანვე მედგრად შეუტია და უკრაინელმა ნახევარმცველმა სერგეი კანდაუროვმა მეორე წუთზევე გახსნა ანგარიში. ტაიმის დამთავრებამდე თორმეტი წუთით ადრე მანიჩე რიბეირომ მეორეც შეაგდო. საბოლოო წერტილი კი ნუნუ გომეშმა დასვა, რომელიც ამ დღეს 150-ე მატჩს ატარებდა პორტუგალიის ჩემპიონატში. შეგახსენებთ, რომ ნუნუ გომეშმა 1996 წელს თბილისშიც ითამაშა. მაშინ ის „ბოავიშტას“ ღირსებას იცავდა.

კიდევ ერთმა ფავორიტმა, ლისაბონისვე „სპორტინგმა“ უსახური „ამადორას“ გატეხვა ვერ შეძლო. უფრო მეტიც, გაუჩო გომეშის გოლით სტუმრები კარგა ხანს იგებდნენ, თანაც 25-ე წუთზე ისინი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, ორი გაფრთხილების გამო მსაჯმა „ამადორას“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ვერონა ბესერა გაამეცა. 37-ე წუთზე მასპინძლებმა პენალტიც გააცუდეს. რუი ჟორეუს დარტყმული სტუმართა მეკარე ნუნო ვასკუმ მოიგერია. „სპორტინგის“ შეტევებმა ბოლოს ნაყოფი მაინც გამოიღო და არგენტინელმა ალბერტო აკოსტამ ანგარიში გაათანაბრა.

ამ უქმეებზე მომხდარი ამბებიდან კი „პორტუს“ ბრაზილიელი ფორვარდის, მარიო ჟარდელის ჰეთ თრიქია გამოსაყოფი. შაბათს, „რიუ ავესთან“ მატჩის დღეს, ჟარდელს 26 წელი შეუსრულდა.

ბენფიკა	4	3	1	0	8:1	10
სპორტინგი	4	2	2	0	8:4	8
გიმარაეში	4	2	2	0	7:3	8
პორტუ	4	2	2	0	6:2	8
ბოავიშტა	4	2	2	0	3:1	8
ბელენენსეში	4	2	1	1	8:4	7
ჟილ ვისენტე	4	2	1	1	6:2	7
რიუ ავე	4	2	1	1	7:6	7
ალვერკა	4	2	1	1	6:6	7
სალგეირუში	4	2	0	2	4:5	6
მარიტიმუ	4	1	1	2	5:5	4
სეტუბალი	4	1	1	2	6:8	4
ბრაგა	4	1	0	3	6:7	3
ამადორა	4	0	3	1	4:7	3
ფარენსე	4	1	0	3	2:10	3
ლეირია	4	0	2	2	2:5	2
სანტა კლარა	4	0	2	2	2:7	2
კამპომაიორენსე	4	0	0	4	2:9	0

გადამთვრალი ოთხეულის საქმეს 9 ოქტომბერს გაარჩევენ

ოთხი რუსი მსაჯის საქმე, რომელთაც „ჰპოელი“ — „ბრიუგეს“ უეფას თასის პირველი ეტაპის მატჩი უნდა განესაჯათ, ოფიციალურად 9 ოქტომბერს გაირჩევა. რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელი დირექტორის — ალექსანდრ ტუკმანოვის თქმით, ამ დღეებში უეფასა და ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებებს დაელოდებიან, სადაც მომხდარი ფაქტები იქნება აღწერილი, მანამდე კი ოთხეულს რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მსაჯობა აეკრძალა.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება მთავარი მსაჯის სერგეი ჰუსაინოვის, ლაინსმენების — სერგეი მარტინოვისა და პაველ გინზბურგის, აგრეთვე სათადარიგო არბიტრ ფიეზუდინ ერზიმანოვის ნამოქმედარს. გასულ ოთხშაბათს ისინი მთვრალები ჩავიდნენ ისრაელის დედაქალაქში. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის თქმით, მთვრალი რუსები აეროპორტში პოლიციელ, ხოლო რესტორანში ოფიციანტ ქალებს ეღლაბუცებოდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

საინტერესოა, რომ სერგეი ჰუსაინოვი, რომელიც რუსეთის მსაჯთა კოლეგიის ხელმძღვანელიცაა, კატეგორიულად უარყოფს ყველაფერს და მომხდარს პროვოკაციას უწოდებს.

სამხრეთ ამერიკა

ბრაზილია

ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩი „ვასკუ და გამასა“ და „პარანას“ შორის, რომელიც კვირას გაიმართა, 86-ე წუთზე შეწყდა. „ვასკუს“ დირექტორმა ეურიკო მირანდამ თავისი გუნდის მესამე მოთამაშის, ვეტერანი მაურო გალვაოს გაძევება ვეღარ აიტანა და მსაჯს მონდორზე გაეჭრა. დირექტორს ტრიბუნებიდან რამდენიმე ათეული ქომაგიც შეუერთდა. გალვაომდე არბიტრმა მოედნიდან ჟუნინიო (მიდლსბროელ ჟუნინიოში არ აგერიოთ) და ალექს ოლივეირა მიაბრძანა. თანაც ეს ყველაფერი სულ ოთხ წუთში მოხდა...

სატელევიზიო სიუჟეტში კარგად გამოჩნდა, პოლიციელთა გარემოცვაში მყოფი მირანდა როგორ უყვიროდა მსაჯ პაულო სეზარ ოლივეირას: სტადიონი სავსეა, შენ კი უპასუხისმგებლო ხარო. მირანდამ, რომელიც ბრაზილიის პარლამენტის წევრიცაა, უხვად დაარიგა საპროტესტო ინტერვიუები, ხოლო როცა პოლიციელები მოედნიდან გაყვანას უპირებდნენ, საპარლამენტო იმუნიტეტზე, ხელშეუხებლობასა და რაღაც ამდაგვარებზე გაჰყვიროდა.

შეწყვეტის მომენტში ანგარიში 1:1 გახლდათ. „ვასკოს“ მხრიდან გოლის გამტანმა, „ფიორენტინას“ ყოფილმა ფორვარდმა ედმუნდომ ბრაზილიელ მსაჯებს თავისებური განაჩენი გამოუტანა: ისინი ბანკირები და სამოქალაქო მოხელეები ბრძანდებიან, ხოლო მსაჯობისთვის აბსოლუტურად მოუმზადებლები არიანო.

წინა ოთხშაბათს ლიდერ „კორინთიანსისა“ და „პალმეირასის“ მატჩი 10 წუთით შეწყდა. მიზეზი ძველია — ფეხბურთელები ჩხუბობდნენ.

საერთოდ, ბრაზილიური ფეხბურთი, უფრო სწორად ბრაზილიის ჩემპიონატი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უხეშია. დადგინდა, რომ თითო მატჩის განმავლობაში საშუალოდ ორმოცდაათჯერ ირღვევა წესი. წლების მანძილზე ამ სენს ვერაფერი მოუხერხეს და აი, ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ და მისმა გუნდმა სეზონის წინ ახალი კანონი გამოსცეს, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელი თამაშს გამოტოვებს არა სამი, არამედ ხუთი გაფრთხილების შემდეგ... სიახლის ლოგიკურობას კი იმით ხსნიან, რომ დისკვალიფიკაციების გამო წამყვანი მოთამაშეები ხშირად ტოვებენ შეხვედრებს და ამით ჩემპიონატს მომხიბვლელობა აკლდება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ „ვარსკვლავები“ უმეტესად ტრავმების გამო აცდენენ მატჩებს. ისინი გაუთავებლად ჩხუბობენ და ბრაზილიის მინდვრებზე ყველაზე საჭირო ნივთი ბურთის ნაცვლად საკაცე გახდა. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა პირველობა ერთ-ერთი ყველაზე ცინიკურია მსოფლიოში.

მოედნის კიდეზე დამონტაჟებული მიკროფონები და ვიდეოკამერები ხშირად აფიქსირებენ იქაურ მწვრთნელებს, რომლებიც თავის მოთამაშეებს მოწინააღმდეგის „დაჩეხვისკენ“ მოუწოდებენ. „პალმეირასის“ დამრიგებელი ლუიზ ფელიპე სკოლარი, ანუ „დიდი ფილი“ (პორტუგალიურად FELIPAO), როგორც მას სამშობლოში დაარქვეს, აღიარებს, ფეხბურთელებს ვტუქსავ, მეტოქეს საკადრისად თუ არ ეუხეშნენო. „დიდი ფილი“ ამბობს, რომ მისი კოლეგა-მეგობრებიც იმავეს სჩადიან, ოღონდ შეფარულად: „მე ყველაფერს დაუფარავად ვაცხადებ და იდიოტის როლში გამოვდივარ, სხვები კი დუმილს ამჯობინებენ“ — ასეთია სკოლარის ლოგიკა.

სხვათა შორის, „პალმეირასი“ ლიბერტადორესის თასის მფლობელია და ნოემბერში საკონტინენტთაშორისო თასზე „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეხვდება. ამ დღეებში მწვრთნელს დამატებითი თავსატეხი გაუჩნდა. გუნდის კოლუმბიელმა ლეგიონერმა, ცნობილმა ფაუსტინო ასპრილიამ ხელმძღვანელობას სთხოვა, „ოჯახური მდგომარეობის“ გამო ითხი დღით საშშობლოში, ბოგოტაში გაეშვათ. ასპრილია „პალმეირასს“ ორშაბათს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ არ გამოჩენილა. ახლა მას გვარიანი ჯარიმა ელის. დღეისათვის მისი ადგილსამყოფელი არავინ იცის.

დავუბრუნდეთ ისევ უხეშობას. ბრაზილიელი მსაჯები არად დაგიდევენ ფიფას მკაცრ კანონებს. მათ კარგად იციან, რომ კლუბების ხელმძღვანელებზე არიან დამოკიდებული. ისინი განსაზღვრავენ „შავოსანთა“ მომავალს, ამიტომ თავისებური დაუწერელი კანონებიც დაამკვიდრეს. ასე მაგალითად, ყვითელ ბარათებს მხოლოდ მეორე ტაიმში იყენებენ, ამით „ორი გაფრთხილების“ ალბათობა კლებულობს. შემდეგ ფეხბურთელებს „წყვილად“ აძევებენ, ერთს ერთი გუნდიდან, მეორეს მეორედან, რათა უკმაყოფილონი არ იყვნენ. ამიტომ წერს 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი ტოსტაო, რომ „ბრაზილიური ფეხბურთი ყველაზე უხეშია მსოფლიოში“.

წლევანდელი ჩემპიონატის სტრუქტურა შარშანდელის მსგავსია. 22 გუნდი ორ წრედ თამაშობს, შემდეგ საუკეთესო რვა მეოთხედფინალურ წყვილებს შექმნის. თანაც მეოთხედფინალები სამმატჩიანები იქნება. საინტერესოა ქულების დათვლის სისტემაც, რომელიც არგენტინულ-მექსიკური მოდელიდან გადაიღეს. ამ სისტემის თანახმად, გათამაშების ცხრილში ითვალისწინებენ წინა ორ სეზონში მოგროვილ ქულათა საშუალო მაჩვენებელს. ასე რომ, გუნდი, რომელიც წინა ტურნირებში ცუდად ასპარეზობდა, პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერი ვერ გახდება. უფრო მეტიც, შეიძლება გუნდი პლეი ოფში მოხვდეს ან სულაც ჩემპიონი გახდეს და იმავდროულად პირველი დივიზიონიდანაც გავარდეს. ასეთი შემთხვევა მექსიკაში რამდენჯერმე უკვე მოხდა.

დაბოლოს, მკითხველი შესაძლოა დაინტერესდეს, როცა ცხრილში „ვასკუ და გამას“ და „გამას“ ამოიკითხავს. გეტყვით, რომ სახელოვანი „ვასკუსგან“ განსხვავებით, „გამა“ ქვეყნის დედაქალაქის, ბრაზილიას გუნდია და უძლიერესთა შორის წლეულს გამოჩნდა.

მოამზადა
სოლომონ გულისაშვილმა

სანტოსი — ბოტაფოგო 0:1, პორტუგეზა — გრემიო 1:1, ატლეტიკო პარანაენსე — ატლეტიკო მინეირო 2:2, სან პაულუ — ჟუვენტუდე 2:0, კურიტიბა — გუარანი 0:3, ინტერნასიონალი — გამა 0:1, ვასკუ და გამა — პარანა 1:1 (მატჩი 86-ე წუთზე შეწყდა), ვიტორია — პონტე პრეტა 0:0, კრუზეირო — სპორტ რესიფე 1:0

კორინთიანსი	10	8	0	2	28:14	24
ფლამენგო	11	7	1	3	19:13	22
სან პაულუ	12	7	0	5	27:14	21
კრუზეირო	10	6	3	1	21:13	21
გუარანი	12	6	1	5	15:13	19
პონტე პრეტა	11	5	3	3	11:8	18
ატლ. მინეირო	12	5	2	4	22:15	17
ვიტორია	12	5	2	5	13:17	17
ვასკუ და გამა	8	4	3	1	10:5	15
პალმეირასი	10	4	3	3	16:14	15
პარანაენსე	11	4	3	4	16:16	15
სანტოსი	11	4	3	4	11:11	15
გრემიო	10	4	3	3	14:16	15
ინტერნასიონ.	11	4	1	6	10:14	13
სპორტ რესიფე	11	3	4	4	7:8	13
პარანა	8	3	3	2	8:8	12
გამა	11	3	2	6	11:14	11
პორტუგეზა	10	3	2	5	10:13	11
კურიტიბა	11	2	4	5	11:17	10
ბოტ. რიბეირაო	13	2	4	7	16:28	10
ჟუვენტუდე	11	1	5	5	9:16	8
ბოტაფოგო	11	1	2	8	10:28	5

არგენტინა: ველეს სარსფილდი — ბოკა ხუნიორსი 3:1, ფერო კარილი — სან ლორენსო 0:0, ხიმნასია (ლა პლატა) — ესტუდიანტესი 0:0, რასინგი — როსარიო 2:1, ჩაკარიტა — ინსტიტუტო 2:2, უნიონი — ბელგრანო 1:3, ტალერესი — კოლონი 2:0, რივერ პლეიტი — ლანუსი 3:1, ნიუელზ ოლდ ბოიზი — ინდეპენდიენტე 0:0, ხიმნასია (ხუხუი) — არხენტინოს ხუნიორსი 1:1

აპერტურას (ანუ გახსნის) ჩემპიონატს შვიდი ტურის შემდეგ 17 ქულით „რივერ პლეიტი“ ლიდერობს, ამდენივე ქულით, ოღონდ ბურთების უარესი შეფარდებით მეორეზეა „სან ლორენსი“. 14-14 ქულა აქვთ „ბოკა ხუნიორსს“ და „ველეს სარსფილდს“, ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით მესამე ადგილი „ბოკას“ უჭირავს.

შვეიცარია

XII ტური

არაუ 4:1 ცსკა

1:0, 2:0 ივანოვიჩი (30, 49), 2:1 ბიფლი (54), 3:1 ჰელდმანი (77), 4:1 ვოიჩეკოვსკი (90)

ბაზელი 1:0 ლუგანო

1:0 ბარბერისი (32)

ლუცერნი 2:2 სენტ გალენი

1:0 ზელვეგერი (26ს.კ.), 2:0 ვისი (37), 2:1 ამოა (43), 2:2 მიულერი (78)

სერვეტი 1:1 დელემონი

1:0 პეტროვი (73), 1:1 ტომენი (79)

ლოზანა 3:3 გრასჰოპერი

1:0 კუცბა (24), 2:0 გერბერი (31), 2:1 იაკინი (39), 2:2, 3:2 ეკოკუ (50, 55), 3:3 მაცონი (66)

ციურიხი 1:0 ივერდონი

1:0 შასო (69)

ციურიხი: პასკოლო, დელ სინიორი, შტოკლასა, ფიშერი, კვენტინი, ფრიკი (დუგლასი 56), ეიდელი (ჯიანინი 65), სანტანა, ჯამარაული, შასო (ანდრეოლი 81), ბარტლეტი

გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი“ ნელ-ნელა ფორმაში შედის. ციურიხელებმა რვა დღეში ზედიზედ მესამედ მოიგეს — ორჯერ ჩემპიონატში, ერთხელაც უეფას თასზე ბელგიური „ლიერსთან“. გუნდი რომ აღმავლობის გზაზეა და აშკარა პროგრესს განიცდის, ამას უკვე ყველა აღიარებს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ „ციურიხს“ მაღალი კლასის თავდამსხმელი აკლია. ციურიხელები ყველა მატჩში უამრავ სახიფათო მომენტს ქმნიან, მაგრამ ვერ იყენებენ. კლუბის ბომბარდირი ამჟამად გოჩა ჯამარაულია. ჩემპიონატში გატანილი ცხრა გოლიდან სამი ქართველი ნახევარმცველის ანგარიშზე მოდის. ყაველაშვილი კი ვერა და ვერ შეეწყო ახალ გუნდს. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ „ივერდონთან“ მეთორმეტე ტურის შეხვედრაში „ციურიხის“ მთავარმა მწვრთნელმა რაიმონდო პონტემ იგი აღარ ათამაშა. ჯამარაულსაც თანამემამულის გარეშე მოუხდა მინდორზე გასვლა.

შეხვედრა მასპინძელთა სრული ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. თუმცა საბოლოოდ მათ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით 1:0 მოიგეს. ისე, მატჩი შეიძლებოდა ფრედაც დასრულებულიყო, მაგრამ 77-ე წუთზე მსაჯმა მასპინძელთა კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა. ბარტლეტმა ლეანდრო ისე უხეშად წააქცია, ამის დაუნახაობა არაფრით იქნებოდაო, წერს შვეიცარიული პრესა. ერთადერთი გოლი კი 69-ე წუთზე გავიდა. ბურთი შასომ შეაგდო. „ციურიხს“ მანამდეც არაერთხელ შეეძლო გატანა, მაგრამ სტუმართა მეკარე ფლუკიგერი შეუვალი გახლდათ.

ჩემპიონატის ლიდერი „სენტ გალენი“ სტუმრად „ლუცერთან“ წაგების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 37-ე წუთზე მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, თუმცა სენტგალენელებმა შეძლეს მეტოქის უპირატესობის გაბათილება და ქულაც მოიპოვეს, რომელმაც მათ ლიდერობა შეუნარჩუნა.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა „გრასჰოპერი“ „ლოზანასთან“ საგარეო შეხვედრაში. 39-ე წუთამდე ლოზანელები 2:0-ს იგებდნენ, თუმცა 55-ე წუთზე ანგარიში უკვე 3:2 იყო „კალიების“ სასარგებლოდ. საბოლოოდ კი მატჩი ფრედ 3:3 დასრულდა.

შარშანდელმა ჩემპიონმა „სერვეტმა“ შინ ლიგის დებიუტანტ „დელემონს“ ვერ სძლია, „სენტ გალენისა“ და „გრასჰოპერის“ მსგავსად, ფრეს დასჯერდა და პირველ ადგილზე აღზევების კარგი შანსიც გაუშვა ხელიდან.

ვანო ოქროპირიძე

სენტ გალენი	12	6	4	2	21:14	22
ბაზელი	12	5	6	1	15:7	21
სერვეტი	12	6	2	4	22:18	20
გრასჰოპერი	12	4	5	3	22:16	17
ლოზანა	12	4	5	3	17:14	17
ივერდონი	12	4	4	4	17:14	16
ლუცერნი	12	4	4	4	13:15	16
ციურიხი	12	3	5	4	9:14	14
არაუ	12	4	2	6	17:25	14
ქსამაქსი	12	2	6	4	17:23	12
დელემონი	12	3	3	6	15:23	12
ლუგანო	12	2	4	6	14:16	10

მიქაელ ლაუდრუპი დანიის ნაკრებში ბრუნდება

ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილი მწვრთნელი, დანიელი სპეციალისტი მორტენ ოლსენი და იმავე კლუბის მოთამაშე, მისი თანამემამულე მიქაელ ლაუდრუპი 2000 წლის ივლისიდან ერთად გაწვრთნიან საკუთარი ქვეყნის ნაკრებს. დანიის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ბელგია—ჰოლანდიის ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ქვეყნის მთავარ გუნდს მორტენ ოლსენი ავარჯიშებს. ხოლო მას თანაშემწეობას მიქაელ ლაუდრუპი გაუწევს.

ლაუდრუპმა დანიის ნაკრებში კარიერის უკანასკნელი მატჩი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ითამაშა. საერთოდ კი ქვეყნის პირველ გუნდში 104 მატჩი აქვს ჩატარებული.

მიქაელმა უნდა მოიწონოს თავი მსოფლიოს ყველაზე ტიტულიან კლუბებში თამაშით — „იუვენტუსი“, „ბარსელონა“, „რეალი“, „აიაქსი“. აი, მსოფლიო ფეხბურთის ის გრანდები, სადაც ამ ლეგენდარულ ფეხბურთელს უთამაშია.

ჰოდა, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ოლსენ-ლაუდრუპის დუეტი დანიის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს, ბო იოჰანსონს შეცვლის, მიქაელი კი შეეცდება, საკუთარი გამოცდილება მომავალ თაობას გაუზიაროს.

ალბერტო მალესანი



ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი

საათს დასჭდეთ, ბატონებო!

„პარმას“ მწვრთნელი ალბერტო მალესანი და „კალიარის“ თავკაცი ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი გასულ უქმეებზე ნაწვნევი მძიმე მარცხთა გამო სერია A-ს პირველი გაკრიტიკებული მწვრთნელები გახდნენ.

მალესანის „პარმამ“ კვირას მილანის „ინტერთან“ 1:5 წააგო და ცხრა შესაძლებლობიდან ორი ქულით 18 გუნდიან ლიგაში ბოლოდან მესამე ადგილზე ჩაცურდა, ხოლო „კალიარი“, რომელსაც შაბათს „პერუჯამ“ 3:0 მოუგო, რჩება ერთადერთ გუნდად, რომელსაც ქულა არ აქვს.

კაცმა რომ თქვას, სარდინიელებისგან იტალიის პირველობაზე ცეცხლის დანთებას არც ელოდა ვინმე, აი, „პარმას“ საცოდავი სტარტი კი ნამდვილი სურპრიზი გამოდგა.

მდიდარმა „პარმამ“ გასულ სეზონში უეფასა და იტალიის თასები მოიგო, ხოლო ზაფხულზე, „სან სიროზე“, „მილანის“ ძლევით ქვეყნის სუპერთასიც მოიპოვა. მეოთხე ადგილზე გასულმა ევროპის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლებაც მიიღო, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპზე „გლაზგო რეინჯერსთან“ დამარცხებამ უეფას თასის გათამაშებაში გადატყორცნა, სადაც გასულ კვირაში კრიეოი როგის „კრივბასმა“, მის მოედანზე ტოლი არ დაუდო — „პარმამ“ ძლივს გაიმარჯვა 3:2.

სერია A-ს პირველობის მორიგ შეხვედრაში მალესანის გუნდს ვერ დაუმარცხებელ „ლაციოსთან“ უწევს თამაში, შემდეგ კი „კრივბასთან“ საპასუხო მატჩის ჩასატარებლად უკრაინაში უნდა გაემგზავროს. ალბათ, სწორედ ამ ორი მატჩის შედეგი განაპირობებს მწვრთნელის ბედს.

„მხოლოდ და მხოლოდ მე გახლავართ მძიმე დროებაზე პასუხისმგებელი. ბრალის დასადებად სხვა ხალხის ძებნა უაზრობაა“ — უთხრა მალესანიმ ჟურნალისტებს „ინტერთან“ დამარცხების შემდეგ — „სუპერთასის მოგების შემდეგ მოსამზადებელი პერიოდის პროგრამა შევამუშავეთ, რის შედეგადაც ვხედავთ, რომ ყველა მეტოქე, განა მხოლოდ „ინტერი“, გაცილებით უკეთეს ფორმაშია“.

შემდეგ მალესანს ჰკითხეს, ეშინია თუ არა თანამდებობის დაკარგვის, რაზეც მან მიუგო:

„ასეთ კითხვებს არ ვპასუხობ. ერთადერთი, რაც ვიცი, ის გახლავთ, რომ კოლეკიოში, მომდევნო ვარჯიშებს გრაფიკის მიხედვით ჩავატარებ“.

მალესანიმ სამსახური რომც დაკარგოს, მარად დარჩება „პარმას“ ისტორიაში სამი ჯილდოს მომგებად. ტაბარესი კი პირიქითაა, თავს ვერაფრით დაიმშვიდებს.

ურუგვაელი „კალიარის“ სათავეში ახლახან ჩაუდგა. ეს გახლდათ მისი დებრუნება იტალიის სერია A-ში მას მერე, რაც 1996 წელს „მილანმა“ დაითხოვა. „კალიარიმ“ სეზონის პირველ შეხვედრაში „ლაციოს“ წინააღმდეგ ცუდად არ ითამაშა, მაგრამ 1:2 წააგო, შემდეგ, „იუვენტუსთან“ იღბალმა აქცია ზურგი — 0:1 — ხოლო „პერუჯას“ სამაგლად დაუპირისპირდა და პირველსავე ტაიმში გაუშვა სამი გოლი.

„პირველმა ორმა მატჩმა „ლაციოსა“ და „იუვენტუსის“ წინააღმდეგ მომავლის იმედი ჩამისახა, მაგრამ „პერუჯასთან“ შეხვედრამ საპირისპირო განწყობაზე დამაყენა. ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ასეთი საცოდავი გამოსვლის მიზეზებს რომ მივხვდე, რამდენიმე საათი მაინც მჭირდება“ — განაცხადა ტაბარესმა მატჩის შემდგომ, დაუყოვნებლივ გამართულ პრესკონფერენციაზე.

რამდენიმე საათს ტაბარესსა და მალესანის, ალბათ, მართლაც დაუთმობენ, მაგრამ ისეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ჩემპიონატში, იტალიისა რომ არის, მეტის იმედი არც ერთს უნდა ჰქონდეს და არც მეორეს.

გიდეონ ლონგი, როიტერი

ფეხბურთის რუკასთან

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ იბრაჰიმ ბას, რომელიც „მილანიდან“ „პერუჯაში“ სულ ახლახან გადავიდა, მინიმუმ ორი ტურით დისკვალიფიკაცია ემუქრება. იგი გასულ ტურში „კალიარის“ ერთ-ერთ ფეხბურთელს, ფაბიო მასელარის უმსგავსოდ მოექცა. ეს მისი პირველი მატჩი გახლდათ „პერუჯას“ რიგებში. შეხვედრის მთავარმა არბიტრმა პიერლუიჯი კოლინამ ინციდენტი ვერ შეამჩნია, მაგრამ მისი არასპორტული საქციელი ვიდეოფირზე აშკარად გამოჩნდა. ასე რომ, ფრანგის საქმეს ახლა იტალიის ფეხბურთის ფედერაცია განიხილავს.

ხორვატი ფეხბურთის სპეციალისტი ტომისლავ ივიჩი გადადგა ლიეჟის „სტანდარდის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. მიზეზი გუნდის წარუმატებლობაა. კლუბმა უკანასკნელ ტურში შინ 1:3 წააგო „შარლერუასთან“, საერთოდ კი 6 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა. კლუბის დირექციის განცხადებით, ივიჩი გუნდის კონსულტანტად დარჩება. ახალ მწვრთნელს რამდენიმე დღეში შეარჩევენ, მანამდე კი გუნდს ივიჩის ყოფილი მოადგილეები — ჟან ტისენი და ჟელკო მიაჩი უხელმძღვანელებენ.

ისლანდიური საინვესტიციო კომპანია ინგლისის მეორე დივიზიონის გუნდს „სტოუკ სიტის“ აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას აპირებს. გაზეთების ცნობით, კომპანიას ისლანდიის ნაკრების ექსკაპიტანი ასგირ სიგურვინსონი მართავს, რომელიც ადრე გერმანული „შტუტგარტის“ რიგებშიც გამოდიოდა. კომპანია 10 მილიონი დოლარით დაეხმარება გუნდს. ეს ფული ახალი ფეხბურთელების შეძენასა და კლუბის ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება. გუნდის მთავარ მწვრთნელად კი ისლანდიის ნაკრების ახლანდელი თავკაცის, გურინ ტორდარსონის დანიშვნას აპირებენ.

ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კესტუტის ლატოჟა პოსტიდან გადადგა, ეს შოტლანდიელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე სამი კვირით ადრე მოხდა. ლატოჟა იმავდროულად ვილნიუსის „ჟალგირისის“ მთავარი მწვრთნელიც გახლდათ და მისი განცხადებით, დაიღალა ორ გუნდში მუშაობითა და საყვედურების სმენით. ახალი მწვრთნელის ვინაობა ერთ კვირაში გაირკვევა.

საფრანგეთის ნაკრებისა და მარსელის „ოლიმპიკის“ ფორვარდ კრისტოფ დუგარის მუხლის ოპერაცია ელის, მაგრამ მიუხედავად ამისა დუგარი ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩს ხორვატულ „კროაციასთან“ მაინც ჩაატარებს. მან საფრანგეთის ჩემპიონატის წინა ტურში 70 წუთი ითამაშა, თუმცა მუხლი აწუხებდა. დუგარი ოპერაციას სავარაუდოდ თვის ბოლოს გაიკეთებს და ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის გამოტოვებაც მოუწევს. იგი 9 ოქტომბერსაც ვერ ითამაშებს საფრანგეთის ნაკრებში ისლანდიელთა წინააღმდეგ.

წვიმა შოტლანდიაში

შოტლანდიის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩი „მოტერველსა“ და „ჰართსს“ შორის ძლიერი წვიმის გამო პირველი ტაიმის შემდეგ შეწყდა. ამ დროს „მოზერველი“ 1:0-ს იგებდა. თუ როდის ითამაშებენ ეს გუნდები ჯერ ცნობილი არ არის.

ჰაილ ჰიტლერ!

ადოლფ ჰიტლერი

ევროპელებს რას გაუგებ. ორმა გერმანელმა გულშემატკივარმა 1996 წელს, პოლონეთისა და მათი ქვეყნის ნაკრებებს შეხვედრის წინ მარჯვენა ხელი ჰიტლერულად აღმართა, რისთვისაც 1999 წელს დააჯარიმეს.

ბერლინელებს, იან ჰოფმანსა და რენე ვოკეს 4 800 და 8 500 მარკის გადახდა მიუსაჯეს. ეს დოლარებში 2 500 და 4 500 გახლავთ.

ეს ამბავი მართალია, პოლონეთში მოხდა, მაგრამ, ვინაიდან ჰიტლერულმა მისალმებამ სატელევიზიო არხებით გერმანიაში გაჰყო თავი, ამოქმედდა ამ ქვეყნის კანონი, რომლის მიხედვითაც ასეთი სალუტი ისჯება.

როგორც გაირკვა, იმ თამაშის დამსწრე დაახლოებით 500-მა გერმანელმა მაყურებელმა სტადიონზე სკამები ააძრო და გაჰყვიროდა: „პოლონეთში ებრაელების გასაწყვეტად ჩამოვედით“ და „ჩვენ ისევ გიპყრობთ“.

თავიდან, ჰოფმანისა და ვოკეს წინააღმდეგ აღძრულ საქმეს გერმანიის სასამართლო თავს არიდებდა, ვინაიდან ასე იყო თუ ისე, ამბავი საზღვარგარეთ მოხდა, სადაც კანონები არ ვრცელდება, მაგრამ პროკურატურთა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, 1997 წელს, პირველი პროცესი გაიმართა.

იუვე ფორმაში შედის...

შარშან იტალიის სერია B-სა და ჩემპიონთა ლიგაში უხეირო ასპარეზობის შემდეგ, როგორც ჩანს, ტურინის „იუვენტუსი“ კვლავ ჩვეულ ფორმაში შედის. გუნდის უდავო ლიდერებმა — დელ პიერომ და ზიდანმა თითქმის მოიშუშეს ტრავმები და თამაშსაც დღითიდღე უმატებენ. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „იუვე“ საპრიზო სამეულშიც ვერ მოხვდა, მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა და უეფას თასზე საასპარეზოდ ინტერტოტოს საკვალიფიკაციო ტურნირის დაძლევა მოუხდა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გათამაშებიდან იგი შემდგომ უკვე ტრიუმფატორმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გამოთიშა.

გასული სეზონის შუაგულში გუნდი მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმაც დატოვა და მის ადგილას წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კარლო ანჩელოტი დაინიშნა. ჯერჯერობით იგი კმაყოფილია წლევანდელი ჩემპიონატის განვლილ სამ ტურში გუნდის თამაშით, თუმცა „იუვენტუსისგან“ უფრო მეტს მოელის. ამის თქმის საფუძველს მწვრთნელს „იუვეს“ მიერ „უდინეზეს“ განადგურებაც აძლევს. წინა ტურში ტურინელებმა მშობლიურ „დელა ალპეზე“ 4:1 სძლიეს უდინურ გუნდს.

ყოველივე ამას ალესანდრო დელ პიეროს გამოჯანმრთელებაც ერთვის. მას საკმაოდ მძიმე ტრავმა ჰქონდა და ახლა ნელ-ნელა იბრუნებს სათამაშო ფორმას. „იუვენტუსი“ „უდინეზესთან“ სწორედ დელ პიერომ დააწინაურა და წლევანდელ სეზონში პირველი გოლიც გაიტანა. იგი აცხადებს, რომ მოხარულია გუნდში დაბრუნებით და ქომაგებს თამაშის გაუმჯობესებასაც ჰპირდება.

მომჯობინდა ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი და გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანიც, თუმცა, იგი თვლის, რომ იდეალური ფორმიდან ჯერ საკმაოდ შორს არის.

დამჯერებელმა სტარტმა და „უდინეზეს“ დამარცხებამ გუნდზე ფსიქოლოგიურად კარგად უნდა იმოქმედოს, მიაჩნია გუნდის ბევრ წამყვან ფეხბურთელს, მათ შორის დავიდსს, ტაკინარდისა და მონტეროს.

მაშ ასე, სეზონი ახლა დაიწყო. ანჩელოტისა და კომპანიას წინ უდიდესი სამუშაო ელის — „იუვენტუსი“ ხომ მუდამ ჩემპიონობას ისახავს მიზნად.

„იუვენტუსი“ სერია A-ს ერთ ერთი ლიდერია

სარგბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

სხვადასხვა პრობლემა და ერთი ამოცანა

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური

CHAMPIONS LEAGUE

როგორც სლოვენიიდან იტყობინებიან, ლევერკუზენის „ბაიერი“ დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში, A ჯგუფში, მასპინძელი „მარიბორის“ დამარცხებას ასეთი ცნობით გამხნევებული შეეცდება: „მარიბორს“ სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლია. ნახევარმცველი დალიბორ ფილიპოვიჩი და თავდამსხმელი მარინკო სარკეჯი დაშავებულები არიან, ხოლო მცველი ამირ კარიჩი დისკვალიფიცირებულია.

მიუხედავად ამისა, მარიბორელები, რომელთაც სლოვენიის მიმდინარე პირველობაში ჯერჯერობით ყველა საშინაო შეხვედრა მოიგეს, ოპტიმიზმის გრძნობას არ კარგავენ.

„ჩვენი თამაშის ხარისხითა და შედეგებით კმაყოფილი გახლავართ, მაგრამ ტრავმებმა ჩამაფიქრა. მიუხედავად ამისა და მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეს დიდ პატივს ვცემთ, დანებებას არ ვაპირებთ. ის, რომ „ბაიერი“ ევროპულ გრანდებს განეკუთვნება, არაფერს ნიშნავს“ — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ბოჟან პრაშნიკარმა.

ლევერკუზენელებს არ ეყოლებათ ბრაზილიელი ზე რობერტო, რომელმაც მუხლის მყესი გაიწყვიტა და სავარაუდოდ ექვს კვირას მკურნალობაში გაატარებს.

„გასულ კვირას „მარიბორმა“ კიევში გაიმარჯვა, რითაც სიფხიზლისკენ მოგვიწოდა. რაც შეეხება ჩვენს ფრეს „ლაციოსთან“, კარგი შედეგი იყო და გვაჩვენა, რომ უძლიერესებთანაც შეგვიძლია მეტოქეობა. ახლა უკვე გამარჯვება გვჭირდება“ — თქვა „ბაიერის“ თავკაცმა კრისტოფ დაუმმა.

„ლაციოს“ მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი კი კიევის „დინამოსთან“ საშინაო შეხვედრის წინ, არც მეტი, არც ნაკლები, შვიდი ფეხბურთელის შეცვლას გეგმავს კვირას, „ტორინოსთან“ ნათამაშევ მატჩთან შედარებით. თავდასხმაში იგი, ალბათ, რობერტო მანჩინისა და ალენ ბოკშიჩს დაეყრდნობა, ნახევარდაცვაში ატილიო ლომბარდოსა და სინიშა მიხაილოვიჩის, დაცვაში კი ჯუზეპე პანკაროს თამაშია მოსალოდნელი. ეს ის ხალხი ჩამოვთვალეთ, ვინც „ტორინოსთან“ შეხვედრას ტრიბუნიდან უცქირა. რაც შეეხებათ დეიან სტანკოვიჩსა და მატიას ალმეიდას, ისინი „ტორინოსთან“ ცოტა ხნით გამოჩნდნენ მოედანზე, ხოლო კიეველებთან, სავარაუდოდ, თავიდანვე ითამაშებენ.

გაბრიელ ბატისტუტას წინა ტურში „არსენალის“ წინააღმდეგ არაფერი გამოუვიდა, მაგრამ დღეს კარგად დაცდილ „კამპ ნოუზე“ გოლის გატანას იმედოვნებს

B ჯგუფში „არსენალი“ სტოკჰოლმის აიკ-ს მასპინძლობს, ხოლო „ბარსელონა“ „ფიორენტინას“. ლონდონელები შვედებს „უემბლიზე“ ელიან და 73 ათასი ქომაგის მხარდაჭერას იმედოვნებენ. მოგეხსენებათ „არსენალმა“ მშობლიურ „ჰაიბერიზე“ — 38 500 მაყურებელი — ჯერ კიდევ გასულ გათამაშებაში თქვა უარი.

ინგლისის ეროვნული სარბიელი „მეთოფეებმა“ ცუდად დაცადეს. ერთი წლის წინ მათ ფრედ ითამაშეს კიევის „დინამოსთან“, ხოლო ფრანგულ „ლანსთან“ დამარცხდნენ. ზოგი მიმმხილველი ამტკიცებს, რომ „არსენალის“ ცუდი შედეგების მიზეზი ერთობ რეალისტური გახლდათ და „უემბლის“ ფართო მინდორთან იყო დაკავშირებული. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ლონდონელთათვის ხორვატი დავორ შუკერისა და ფრანგი ტიერი ანრის შეძენა შესაძლოა ხსნაც იყოს.

„ჩემთვის „კამპ ნოუ“ საგანგებო მნიშვნელობის სტადიონია“ — თქვა „ფიორენტინას“ ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ — „აქ დაუვიწყარი გოლი მაქვს გატანილი და ამიტომაც სიამოვნებით ვბრუნდები მის მინდორზე“.

ბატისტუტას თანაგუნდელ პრედრაგ მიატოვიჩს კი „რეალში“ თამაშის დროს „ბარსელონას“ წინააღმდეგ „კამპ ნოუზე“ ექვსჯერ უთამაშია და ერთხელაც ვერ დაულაშქრავს მასპინძელთა კარი.

„ეჭვი არ მეპარება, რომ კატალონიელი მაყურებელი დამისტვენს, მაგრამ შეჩვეული ვარ. ის, რომ ესპანეთში ვთამაშობდი, გამარჯვებისკენ კიდევ უფრო მეტად მაქეზებს“ — თქვა მან.

„ბარსელონას“ ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ: „ჩემპიონთა ლიგაში შეცდომის უფლება არავის აქვს. ამიტომაც შინ ყველა შეხვედრა უნდა მოვიგოთ“.

C ჯგუფში ჩემპიონთა თასის 1997 წლის მფლობელი, დორტმუნდის „ბორუსია“ პორტუგალიურ „ბოავიშტას“ მასპინძლობს. გერმანელებს, ამ შეხვედრაში არ ეყოლებათ თავიანთი ქვეყნის ეროვნული გუნდის მცველი კრისტიან ვიორნსი, რომელიც ჯერ კიდევ გაწყვეტილ კუნთს მკურნალობს. გამოჯანმრთელდა იუგოსლავიელი ნახევარმცველი მირსლავ სტევიჩი, მაგრამ იგი, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე დაჯდება. სხვა თუ არაფერი, ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ბორუსიამ“ „მიუნხენ 1860-ს“ 3:0 რომ მოუგო, დიდებულად ითამაშა ლარს რიკენმა, რომელსაც გუნდის მწვრთნელი, მიხაელ სკიბე ნამდვილად არ შეცვლის.

რაც შეეხება „ბოავიშტას“, მას დაშავებული მცველი უილიამ კეველდო და ვეტერანი რუმენელი იონ ტიმოფტე არ ეყოლება. შეგახსენებთ, რომ ტიმოფტე საჯარიმო დარტყმების დიდოსტატია, რომელმაც ლიგის პირველ ტურში, „რუსენბორგთან“ შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე საზარდული დაიზიანა. არ იქნება ახალგაზრდა თავდამსხმელი ალმანი მორეირაც.

„რუსენბორგის“ და „ფეიენოორდის“ მატჩში ვერ ითამაშებს ნორვეგიული გუნდის მცველი კრისტერ ბალმა, რომელსაც ერთი თვის ტრავმა აწუხებს და მეორე, დღე დღეზე მისი მეუღლე ბავშვს ელოდება.

„ფეიენოორდზე“ ამბობენ პოლ ბოსველტს, პატრიკ პაუვესა და პეტერ ვან ფოსენს სათადარიგოთა სკამზე დასვამსო. სხვამხრივ როტერდამის გუნდის თავკაცს, ლეო ბეენჰაკერს, პრობლემა არ აქვს.

D ჯგუფს თავისი სატკივარი აქვს: ზაგრების „კროაციას“ არგენტინელი მწვრთნელი ოსვალდო არდილესი მარსელის „ოლიმპიკთან“ შეხვედრაში, კვლავ დაცვით ტაქტიკას მიმართავს. ეს სწორედ ის ტაქტიკაა, წინა ტურში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ფრე რომ მოუტანა.

„კროაციაში“ ექვსკაციანი ნახევარდაცვის წინ ყმაწვილი ფორვარდი იოსიფ სიმიჩი დაიკავებს ადგილს. გამთამაშებელი რობერტ პროსინეჩკი ჯერ არ მოშუშებულა, აიმტომ მის როლს ერთმანეთს ოთხი მოთამაშე შეეცილება. მათ შორის ყველაზე ალბათური მილენკო მუმლიეკსა და ტომისლავ რუკავინას შორის უმჯობესის გამოჩენაა.

„ოლიმპიკს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული კრისტოფ დიუგარი.

თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი ტრავმირებულთა სიას ავსებს. ამ სიის ბოლო შენამატი რაიან გიგზი გახლავთ. სამაგიეროდ ვარჯიში განაახლა როი კინმა, რომელსაც მუხლი სტკიოდა.

„როი შაბათიდან ისევ ბურთთანაა და საკმაოდ კარგადაც გამოუდის. ჩვენ მას ავსტრიაში წავიყვანთ, დავაკვირდებით. თუ ტკივილმა თავი არ შეახსენა, ვათამაშებთ“ — განაცხადა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

„დროა „შტურმმა“ ხასიათი გამოავლინოს და შიშისგან თვალების დაჭყეტის მაგივრად პატივცემულ მოწინააღმღეეებს დიდი ბრძოლები გაუმართოს“ — ბრძანა ავსტრიელთა თავკაცმა ივიცა ოსიმმა.

მიხეილ სურგულაძე

ტაიბი შმაიხელის დაჩრდილვას აპირებს

მასიმო ტაიბი არც ჯანლუიჯი ბუფონია, არც ჯანლუკა პალიუკა, არც ანჯელო პერუცი და არც ფრანჩესკო ტოლდო. ის მხოლოდ მასიმო ტაიბია, მაგრამ ბედმა და ალექს ფერგიუსონმა ისე ინებეს, რომ ეს მეკარე დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარს იცავს და ვინ იცის, იქნებ ინგლისურმა ფეხბურთმა და პროპაგანდამ მალე საქმე ისე მოატრიალოს, რომ იტალიელ გოლკიპერთა ჩამოთვლა მისით დავიწყოთ. ყოველ შემთხვევაში, ტაიბის ამბიცია არ აკლია.

— ზაფხულზე „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მარკ ბოსნიჩი შეიძინა და თქვენ, ალბათ, იფიქრეთ, რომ ინგლისის ჩემპიონის შემადგენლობაში მოხვედრის ყველა შანსი ამოგეწურათ.

— ველოდი, რომ გარკვეული დროით იტალიურ ფეხბურთში მომიხდებოდა დარჩენა. ჯერ კიდევ პიტერ შმაიხელის წასვლამდე შეიძლებოდა „იუნაიტედში“ აღმოჩენილიყავი, მაგრამ ამ ტრანსფერს იმთავითვე აჭრიდნენ ტოტებს. „ვენეცია“, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, გაშვებას არ მიპირებდა. მდგომარეობა გამოუვალი ჩანდა. მოკლედ, მანჩესტერში გადასვლა ჩამეშალა, რაც ძალიან მეწყინა. ვგრძნობდი, რომ პიტერის გვერდით ყოფნა, თუნდაც შეგირდის სტატუსით, ძალიან წამადგებოდა. კარგად ვიცოდი, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოვხვდებოდი, მაგრამ მიღირდა. ხოლო შემდეგ ისეთი ამბები დატრიალდა, რომ გავოცდი. სიურპრიზი სასიამოვნო გამოდგა და დღეს დიდებული შესაძლებლობა მეძლევა.

— ისე ჩანს, რომ შმაიხელის დიდი ფანი უნდა იყოთ.

— დიახ. და განა მარტო მე ვარ? მას მსოფლიო კლასის რეპუტაცია აქვს, საფეხბურთო საზოგადოებრიობა აღმერთებს. მისი მემკვიდრეობა ძალზე ძნელია, ამიტომაც კარგად მესმის იმ ხალხის, ვინც მის ბუცებში ფეხის ჩაყოფა არ ისურვა. იცით, მისი თვისებებიდან ყველაზე მეტად რა მომწონს? მას მოვლენებზე, კრიტიკაზეც კი, მაღლა დგომა ეხერხება. მისი თამაშის ანალიზი ბევრს ვერაფერს მოგვცემს, ვინაიდან, ფაქტობრივად, უშეცდომოა. მან, ფაქტობრივად, ყველა ტიტული მოიგო და იშვიათი ხანგრძლივობის კარიერა შეიქმნა. იგი ერთერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელთაც ვეთაყვანები.

— მართლაც, შმაიხელი „იუნაიტედისთვის“ იმხელა პიროვნება იყო, რომ მისი შეცვლა იოლი არ იქნება. ამაზე ღელავთ?

— ყველაფერი გამოწვევაა. გამოწვევის გარეშე ფეხბურთის თამაშს აზრი არ ექნებოდა. აქ ჩუმად დგომას არ ვაპირებ. ჩემი მიზანია, შმაიხელზე უკეთესი გავხდე. კლუბის ისტორიაში ერთი თავი დამთავრდა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, „მანჩესტერ იუნაიტედში“ მე რას მივაღწევ. არ ვნერვიულობ. კრიტიკას ვუძლებ და ცხოვრების მიერ მოცემული შანსის გამოყენებას ვაპირებ. იცით, „იუნაიტედს“ ჩემი შეძენა გვარიანი თანხა დაუჯდა. ასე რომ, სერ ალექს ფერგიუსონის მოვალე ვარ, მისი იმედის გამართლება მმართებს.

— რას იტყვით ინგლისურ ფეხბურთზე? აქამდე პრემიერლიგაზე ბევრი იცოდით?

— მანჩესტერში გადასვლით აღფრთოვანებული ვარ. მე ევროპის უძლიერეს კლუბში ვთამაშობ და მნიშვნელობა არ აქვს, რომ ზოგი იტალიურ ფეხბურთს აქებს — „იუნაიტედის“ პირველობა ეჭვგარეშეა. გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ორი დიდი იტალიური გუნდი დაამარცხა. რაც, მგონი, მტკიცებაა იმისა, რომ ინგლისური ფეხბურთი იტალიურის სწორია. მართალია, ინგლისში სხვანაირად თამაშობენ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ანგარიშია. მანჩესტერში გადასვლაზე არ მიყოყმანია. იცით, მე „მილანში“ მითამაშია და როგორც ზეწოლას, ასევე რეალიზმს მოკლებულ მოთხოვნებს ნაჩვევი გახლავართ. ინგლისური ფეხბურთი მეტისმეტად ძალისმიერი და სწრაფი, მაგრამ დიდებულია და ყოველ წუთს სიამოვნებას ვაპირებ — ფანები, ატმოსფერო, ალბათ, შედეგად მოყოლილი წარმატებაც.

— ბოსნიჩის ყიდვის მიუხედავად, ნათელია, რომ თქვენ „იუნაიტედში“ მთავარ მეკარედ მიგიჩნევენ. გვეთანხმებით?

— მგონი, ძირითად შემადგენლობაში ავტომატურად არავინ შეჰყავთ. მეც არ მგონია, რომ პირველი პოზიცია გარანტირებული მაქვს. გუნდში ჩემს გარდა სხვა, ანგარიშგასაწევი მეკარეები არიან და მათი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა-არმოხვედრა, სატრანსფერო თანხაზე სულაც არ არის დამოკიდებული. კარიერის განმავლობაში ხშირად გაუწევიათ ჩემთვის კონკურენცია, ამიტომაც არაფრის მეშინია. საკუთარი შესაძლებლობისა მწამს და მხოლოდ ჩემი თამაშის ხარისხი მაღელვებს, სხვა ხალხის გამო კი არ ვნერვიულობ.

— ინგლისური ენის საქმე როგორ არის? გასახდელში რას შვებით?

— თარჯიმნის გარეშე ორ სიტყვასაც გაჭირვებით ვამბობ, მაგრამ გაკვეთილებზე უკვე დავდივარ. რადგან სხვა ფეხბურთელებთან ურთიერთობა მჭირდება. რაღაცეები მესმის. ის, რაც ფეხბურთმა მასწავლა, თუმცა, ასე დიდხანს გაგრძელება არ შეიძლება. ბეჯითად ვმეცადინეობ, რადგან რაც შეიძლება სწრაფად ვისწავლო ინგლისური. ხშირად მინახავს იმ მოთამაშეთა პრობლემები, რომელთაც იმ ქვეყნის ენა არ იციან, რომელშიც თამაშობენ. არანაირი სურვილი არ მაქვს მათი ბედი გავიზიარო.

— თქვენი ოჯახიც მანჩესტერში დასახლდება?

— ისინი უკვე მანჩესტერში არიან. მხოლოდ ჩემი მეუღლე, ჯოვანა შეყოვნდა იტალიაში, რაღაც ფორმალობების მოსაგვარებლად. ჯერჯერობით სასტუმროში ვართ, სახლს ვარჩევთ. ორი შვილი მყავს, ხუთი წლის ლუიჯი და სამის ელეანორა, რომელთაც ინგლისი ძალიან მოეწონათ. იტალიის შემდეგ მათთვის ბევრი რამ ახალია. მე თუ მკითხავთ, სხვათა კულტურის გაცნობა ბავშვებისთვის ფრიად სასარგებლოა. ინგლისურ სკოლებს ხომ ჩინებული რეპუტაცია აქვთ.

— მომავალ სეზონზე რაღას იტყვით? როგორ ფიქრობთ, შეძლებს „იუნაიტედი“ გასული სეზონის შედეგების გამეორებას?

— „იუნაიტედმა“ ახალი ჩემპიონატი უკვე ძალიან კარგად დაიწყო. ჩემპიონთა ლიგა ცოტა მძიმე იქნება, რადგან შეჯიბრებაში ძალიან ბევრი გუნდი ჩართეს, ხოლო ბრაზილიაში, კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა იძლევა შანსს, ყველამ ნახოს, რა ძლიერ ფეხბურთს თამაშობენ ევროპაში და როგორ ეთამაშებიან ისინი დანარჩენი მსოფლიოს წარმომადგენლებს. პრემიერლიგით კი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე უამრავი რამ გამეგო და მენახა, აღფრთოვანებული გახლავართ. მართალია, ეს სეზონი დიდი გამოცდაც იქნება, მაგრამ მე შევუერთდი ევროპის უდიდეს და ყველაზე წარმატებულ გუნდს და ეჭვი არ მეპარება, რომ მის მომავალ წარმატებებს გავიზიარებ.

365-დან თარგმნა
პაპუნა კედია

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გათამაშების წესები

ჩემპიონთა ლიგა. II ტური

22 სექტემბერი

509	მარიბორი (სლოვენია) — ლევერკუზენი (გერმანია)	3,6	2,9	1,9
510	ლაციო (იტალია) — დინამო (უკრაინა)	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5
511	არსენალი (ინგლისი) — აიკ (შვედეთი)	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
512	ბარსელონა (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია)	1,7	3,0	4,7
513	დორტმუნდი (გერმანია) — ბოავიშტა (პორტუგალია)	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
514	რუსენბორგი (ნორვეგია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)	2,2	2,9	3,0
515	შტურმი (ავსტრია) — მანჩესტერი (ინგლისი)	7,5	4,0	1,3
516	კროაცია (ხორვატია) — მარსელი (საფრანგეთი)	2,5	2,9	2,5

შვეიცარია. გადადებული მატჩი

23 სექტემბერი

001	ქსამაქსი — ბაზელი	2,4	2,8	2,7

ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი. საპასუხო მატჩები

22 სექტემბერი

019	ბლექბერნი — პორტსმუთი	1,4	3,5	7,0
020	ბრისტოლი — ნოტინგემი	2,9	2,8	2,3
021	ქოვენთრი — ტრანმერი	1,2	5,0	9,0
022	დერბი — სუონსი	1,2	5,0	9,0
023	ევერტონი — ოქსფორდი	1,1	6,0	12,0
024	ლესტერი — კრისტალ პალასი	1,3	4,0	7,5
025	რედინგი — ბრედფორდი	3,0	2,9	2,2
026	უენსდი — სტოკი	1,4	3,8	6,0

ჰოლანდია. თასი

22 სექტემბერი

027	უტრეხტი — დენ ბოსხი	1,6	3,2	5,0

პოლონეთი. სუპერთასი

22 სექტემბერი

028	ვისლა — ამიცა	1,5	3,4	5,6

კალათბურთი. ევროლიგა. I ტური

22 სექტემბერი

805	პივოვარნა (სლოვენია) — ვარეზე (იტალია)	2,0	12,0	1,5
806	ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — პო ორტეზი (საფრანგეთი)	1,35	12,0	2,5

23 სექტემბერი

807	ულქერი (თურქეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი)	1,4	12,0	2,3
808	შოლე (საფრანგეთი) — ბენეტონი (იტალია)	2,3	12,0	1,4
809	ჟალგირისი (ლიტვა) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	1,8	12,0	1,6
810	კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ეფეს პილსენი (თურქეთი)	1,7	12,0	1,7
811	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — პაოკ (საბერძნეთი)	1,5	12,0	2,0
812	ოლიმპია (სლოვენია) — რეალი (ესპანეთი)	1,5	12,0	2,0
813	ბარსელონა (ესპანეთი) — ცსკა (რუსეთი)	1,35	12,0	2,5
814	თოფაში (თურქეთი) — ალბა (გერმანია)	1,4	12,0	2,3
815	ტიმსისტემი (იტალია) — ციბონა (ხორვატია)	1,25	12,0	3,1
816	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)	1,3	12,0	2,8

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ევროპული ტრანსფერები

ჯორჯევიჩი ლაუდრუპის ნაკვალევზე ბარსელონა — რეალი

იუგოსლავიელმა გამთამაშებელმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა ორი სეზონი ესპანეთის „ბარსელონაში“ გაატარა და გუნდის უცილობელი ლიდერი იყო. ჯორჯევიჩმა არაერთი ტიტული მოიგო „ბარსას“ შემადგენლობაში, მათგან სულ ბოლო, წინა სეზონის ესპანეთის ჩემპიონობა და კორაჩის თასი იყო.

შარშანდელი სეზონის გასრულებისთანავე ჯორჯევიჩი თავისუფალი აგენტი გახდა, ხოლო „ბარსელონამ“ იგი ვერ შეინარჩუნა. ივნისიდან მოყოლებული კალათბურთელი გუნდს ეძებდა. უფრო ზუსტად, სხვადასხვა გუნდების წინადადებების განხილვით იყო დაკავებული. და, აი, 20 სექტემბერს იუგოსლავიელმა გადაწყვეტილება მიიღო...

ჯორჯევიჩმა გაიმეორა დიდი დანიელი ფეხბურთელის მიქაელ ლაუდრუპის საქციელი: „ბარსელონადან“ პირდაპირ, სხვა გუნდში გაუვლელად, მისი მოსისხლე მტრის, მადრიდის „რეალის“ რიგებში გადავიდა. ამ ტრანსფერის მთავარი ინიციატორი „რეალის“ ახალი მწვრთნელი სერჯო სკარიოლია, რომელიც იტალიურ „ტიმისიტემში“ იყო ჯორჯევიჩის დამრიგებელი.

32 წლის კალათბურთელმა „ერთს პლუს ერთი“ პრინციპით გაუფორმა კონტრაქტი „რეალს“, რომელმაც მოასწრო და ჯორჯევიჩი შეიყვანა საევროლიგო განაცხადში. მადრიდელების თქმით, იუგოსლავიელი დაიკავებს ამერიკელი კიტ ჯენინგსის ადგილს, რომელიც მეტად არადამაჯერებლად თამაშობს.

ჯორჯევიჩმა უკვე ჩაბარა ფიზმომზადების ტესტები და პრესკონფერენციის გამართვაც მოასწრო. კალათბურთელმა თქვა, რომ მოხარულია ამ დიდ გუნდში მოხვედრით. ამ სეზონში მთავარ მიზნად ესპანეთის ჩემპიონატის და ევროლიგის მოგება აღიარა და აღნიშნა, შინ მთავარ კონკურენტად „ბარსელონა“ გვეყოლება, ევროპაში კი ბერძნული კლუბები, იტალიის „ფორტიტუდო“ (ყოფილი „ტიმისიტემი“) და... ისევ „ბარსელონაო“. სხვათა შორის, ჯორჯევიჩის „ბარსადან“ არავითარი წყენა არ გამოყოლია და არც მისი მწვრთნელისთვის, აიტო გარსია რენესისთვის ვაპირებ რამის დამტკიცებასო — დააყოლა.

კონტრაქტის ხელმოწერიდან რამდენიმე საათში ჯორჯევიჩი შინ, ბელგრადში გაფრინდა პირადი საქმეების მოსაგვარებლად. იქიდან კი მეზობელი სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში ჩავა, სადაც მისი ახალი გუნდი ხვალ ევროლიგის სასტარტო მატჩში ეთამაშება ადგილობრივ „ოლიმპიას“. მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯევიჩის ევროლიგაში ასპარეზობის უფლება აქვს, ხვალ მისი თამაში საეჭვოა. სხვა თუ არაფერი, მას გუნდთან ერთად ჯერ არცკი უვარჯიშია.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდრ ჯორჯევიჩი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონია, მოუგია ევროპის ორი ჩემპიონატი (1995, 1997), ხოლო ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალს დაეუფლა.

თურქეთი

I ტური

ტელეკომი — ეფესი 61:62, ფენერბაჰჩე — ოიაქი 84:51, ითუ — ქარშიაქა 62:72, ბუშიქთაში — მიდონსე 94:78, ტროი — დარუშაფაკა 72:78, თოფაში — ულქერი 52:44, გალათასარაი — ქომბასანი 62:53

თურქეთის ჩემპიონატის პირველი ტურის უმთავრესი მატჩი უდავოდ ბურსაში გაიმართა, სადაც შარშანდელმა ჩემპიონმა „თოფაშმა“ შარშანწინდელი ჩემპიონი, სტამბოლის „ულქერი“ მიიღო.

„ულქერს“ 12-კაციან განაცხადში 8 ახალწვეული ჰყავდა. მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში მისი მოთამაშეები ერთმანეთს კარგად უგებდნენ და შესვენებაზეც სამქულიანი უპირატესობით (27:24) წავიდნენ. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, „ულქერი“ უყოჩოდ დარჩენილ ცხვრის ფარას დაემსგავსა: კალათბურთელებმა ერთმანეთთან კავშირი დაკარგეს და ცალ-ცალკე თამაში დაიწყეს. სტამბოლელებმა 15 სამქულიანი ესროლა, რომელთაგან კალათში ერთადერთი ჩაეშვა (!).

„თოფაშმა“ კი მეორე ტაიმში გუნდური თამაშის შესანიშნავი ნიმუში წარმოადგინა. ბურსელებმა ძალიან ხისტად ითამაშეს დაცვაში, ხოლო შეტევების ორგანიზება ამერიკელ დევიდ რივერსს (10 ქულა) მიანდეს. ამის შედეგად „თოფაშმა“ მეორე ტაიმში მხოლოდ 17 ქულა გაუშვა და ჩემპიონატი გამარჯვების დაიწყო.

დიდი ბრძოლა გაიმართა ანკარაში, სადაც ერთ დროს თბილისის „ვითას“ დამმარცხებელმა „ტელეკომმა“ შემადგენლობაგადახალისებულ სტამბოლის „ეფესს“ უმასპინძლა. მატჩი თანაბარი იყო, თუმცა ამჟამად ტელეკომელ, წინა სეზონში კი ეფესელ მურათ ევლიაოღლუს (13 ქულა) შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა. სტამბოლელთა გასახარად და ანკარელთა გულის გასახეთქად ევლიაოღლუმ ბოლო წამზე ორი საჯარიმო აიცილა, რამაც „ეფესს“ 62:61 გამარჯვება მოუტანა.

დანარჩენ მატჩებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ფავორიტებმა ძალების დიდი დაძაბვის გარეშე გაიმარჯვეს.

ფენერბაჰჩე	1	1	0	84:51	2
ბეშიქთაში	1	1	0	94:78	2
თოფაში	1	1	0	52:44	2
გალათასარაი	1	1	0	62:53	2
ქარშიაქა	1	1	0	72:62	2
დარუშაფაკა	1	1	0	78:72	2
ეფესი	1	1	0	62:61	2
ტელეკომი	1	0	1	61:62	1
ტროი	1	0	1	72:78	1
ითუ	1	0	1	62:72	1
ქომბასანი	1	0	1	53:62	1
ულქერი	1	0	1	44:52	1
მიდონსე	1	0	1	78:94	1
ოიაქი	1	0	1	51:84	1

სლოვენია

II ტური

ზაგორიე — სლოვანი 61:73, როგლა ატრასი — სავინსკი 74:84, ტრიგლავი — კრკა 63:80, ჰელიოსი — კრაშკი ზიდარი 80:79, ოლიმპია — ლოკა კავა 104:46, პივოვარნა ლაშკო — მარიბორი 104:62

რბევა! მხოლოდ ეს სიტყვა შეიძლება ეწოდოს იმას, რაც ლიუბლიანის „ოლიმპამ“ დამართა „ლოკა კავს“. ვლადიმერ სტეფანიას ყოფილმა გუნდმა 57 ქულით მოიგო, მეორე ტაიმში კი მისმა უპირატესობამ 70 ქულასაც (!) მიაღწია. „ლოკა კავამ“ პირველ ტაიმში 15 ქულა ჩააგდო. ასეთი რამ სლოვენიის ჩემპიონატების ცხრაწლიან ისტორიას არ ახსოვს. „ოლიმპია“ ჩინებულად მოითელა ევროლიგისთვის, რომლის სასტარტო მატჩში ხვალ უმასპინძლებს მადრიდის „რეალს“.

არც ევროლიგის მეორე ბინადარმა, ლაშკოს „პივოვარნამ“ დააკლო მეტოქეს გვემა — „მარიბორს“ 42 ქულით აჯობა. „პივოვარნას“ არ ჰყავდა ლისიცა და ნახბარი, რომელთაც გრიპი შეეყარათ. ლაშკოელთა ცენტრმა, 26 წლის ალეშ კუნცმა (24 ქულა), კარიერაში პირველად ჩააგდო სამქულიანი.

ქართველების „სლოვანმა“ კი იმარჯვა, მაგრამ იოლი მატჩი სულაც არ ჰქონდა. ლიუბლიანელებმა ტაიმი შვიდი ქულით მოუგეს „ზაგორიეს“ (38:31), მაგრამ მატჩის ბედი მეორე ტაიმის შუაწელში გადაწყდა: „სლოვანმა“ ზედიზედ გააკეთა რვა ქულა და ანგარიში 51:42 გახადა. ამის მერე ჩვენებურების გუნდს უპირატესობა აღარ დაუკარგავს.

სხვათა შორის, „სლოვანი“ დღედღეზე გაძლიერებას აპირებს: მასთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებას 26 წლის უკანახაზელი (195 სმ) ბორის გორენცი. ეს სლოვენიელი კალათბურთელი ადრე „ოლიმპიაში“ თამაშობდა, ერთი თვის წინ იტალიურ „კინდერშიც“ აიყვანეს, მაგრამ მერე დაითხოვეს და გორენციც, ალბათ, „სლოვანში“ ითამაშებს.

დიდი ბრძოლა გააჩაღეს აუტსაიდერებმა „ჰელიოსმა“ და „კრაშკი ზიდარმა“. ტაიმი „კრაშკი ზიდარმა“ 43:37 მოიგო. „ჰელიოსი“ მატჩში პირველად 26-ე წუთზე დაწინაურდა (46:45), ხოლო გამარჯვება რადო ტრიფუნოვიჩმა (34 ქულა) მოუტანა: დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე გადამწყვეტი საჯარიმო ჩააგდო.

„სავინსკიმ“ 30-დან 33 წუთამდე 15:2 მოუგო „როგლა ატრასს“, 65:59 დაწინაურდა და მეტოქე ახლოს აღარ გაიკარა, ხოლო ირაკლი კეიდიას „ტრიგლავს“ არავითარი შანსი არ ჰქონდა „კრკას“ წინააღმდეგ. ქართველ კალათბურთელს არ უთამაშია.

ოლიმპია	2	2	0	190:113	4
კრკა	2	2	0	166:113	4
პივოვარნა	2	2	0	176:124	4
სავინსკი	2	2	0	167:141	4
სლოვანი	2	1	1	135:133	3
ტრიგლავი	2	1	1	143:150	3
ზაგორიე	2	1	1	126:135	3
ჰელიოსი	2	1	1	130:165	3
როგლა ატრასი	2	0	2	136:149	2
კრაშკი ზიდარი	2	0	2	146:167	2
მარიბორი	2	0	2	132:184	2
ლოკა კავა	2	0	2	113:186	2

ესპანეთი

IV ტური

ტდკ — კასერესი 74:67, ფორუმი — ესტუდიანტესი 77:64, კანარიასი — ბრეოგანი 91:86, ბარსელონა — კანტაბრია 69:57, ტაუ — ხიხონი 77:65, კახა სან ფერნანდო — ლეონი 75:52, ბადალონა — უნიკახა 75:69, ფუენლაბრადა — პამესა 65:72, რეალი — ხირონა 78:71

ვალენსიის „პამესას“ წაუგებელი სვლა ვერც „ფუენლაბრადამ“ შეაფერხა. ამასობაში „რეალმა“ დაამარცხა აქამდე დაუმარცხებელი „ხირონა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალენსიური გუნდი, სულ მცირე, ერთი კვირის განმავლობაში, განმარტოებით იჯდება ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის სახურავზე. როგორც იქნა, მოიგო ევროლიგის ბინადარმა „კახა სან ფერნანდომ“, მოგებების გრაფაში „ერთიანი“ ჩაიწერა „ბადალონამ“.

საერთოდ, ეს ტური დიდი მოულოდნელობების გარეშე წარიმართა. ამის გამო მისი მნიშვნელობა დაჩრდილა იუგოსლავიელი გამთამაშებლის საშა ჯორჯევიჩის „რეალში“ გადასვლამ. აწ უკვე ჯორჯევიჩის თანაგუნდელი, ფრთა ალბერტო ერეროსი მეოთხე ტურის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს — ეს ფაქტი „ხირონასთვის“ 27 ქულის ჩაგდებამ განაპირობა.

პამესა	4	4	0	322:291	8
ფორუმი	4	3	1	309:227	7
ბარსელონა	4	3	1	294:263	7
ხირონა	4	3	1	312:296	7
კანარიასი	4	3	1	312:309	7
ტდკ	4	2	2	306:284	6
რეალი	4	2	2	312:301	6
ტაუ	4	2	2	304:297	6
კასერესი	4	2	2	311:308	6
უნიკახა	4	2	2	270:267	6
ხიხონი	4	2	2	261:265	6
ფუენლაბრადა	4	2	2	305:310	6
ესტუდიანტესი	4	2	2	291:306	6
სან ფერნანდო	4	1	3	272:272	5
ბადალონა	4	1	3	302:320	5
ლეონი	4	1	3	261:309	5
კანტაბრია	4	1	3	267:320	5
ბრეოგანი	4	0	4	279:345	4

იტალია

II ტური

ვიოლა — კინდერი 77:75, იმოლა — აეროპორტი 71:66, ფორტიტუდო — პეპსი 69:59, ძუკეტი — ოლიმპია 69:66, რეჯანა — ბენეტონი 92:76, ტრიესტი — სიენა 70:73, ვარეზე — კანტუ 83:70, მიულერი — სკავოლილი 69:58

VI ტური (ვადმოტანილი მატჩი)

ვარეზე — მიულერი 66:64

მეორე ტურში რამდენიმე ფავორიტის თავი გაგორდა. პირველ რიგში ეს ტრევიზოს „ბენეტონზე“ ითქმის, რომელიც ხვალ ევროლიგაში დაიწყებს ასპარეზობას. ბენეტონელები „რეჯანას“ ეწვივნენ და უმედოდ, 16 ქულით დამარცხდნენ. გამარჯვებულთაგან დავოლიო (23 ქულა) და ინგლისელი ბეტსი (18 ქულა) გამოირჩეოდნენ.

პროვინციულმა „იმოლამ“ არანაირი შანსი არ დაუტოვა დედაქალაქის „აეროპორტი დი რომას“, პირველი ტაიმიც მოუგო (36:28) და თამაშიც. იმოლელთა ვინჩენცო ესპოზიტო (30 ქულა) კი ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელეს. სხვათა შორის, ამ მატჩში თბილისში ნამყოფი ორი კალათბურთელი ასპარეზობდა — „იმოლაში“ დანიელ იერიხოვი (4 ქულა), ხოლო „აეროპორტში“ ამერიკელი იუზოლინი (11 ქულა). ისინი 1995 წელს ვერონას „რიელოს“ რიგებში თბილისის „ვითას“ დუპირისპირდნენ.

ბოლონიის „კინდერს“ ძლიერი მოთამაშეები ჰყავს. გუნდს დაუბრუნდა ფრანგი გამთამაშებელი ანტუან რიგოდო, ტრავმა მოიშუშა იუგოსლავიელმა პრედრაგ დანილოვიჩმა, ახალწვეულებიც სანაქებონი არიან — ლიტველი ადომაიტისი და ბერძენი ეკონომუ. აი, ასეთი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ეწვია რეჯო კალაბრიას და იქაურ „ვიოლასთან“ 75:77 წააგო. მოგებულ გუნდში სახელგანთქმული არავინაა, ყველაზე კარგად კი არგენტინელებმა მონტეკიამ (11 ქულა) და ჯინობილიმ (23 ქულა) ითამაშეს. „ვიოლა“ ცდილობს, რომ დაისაკუთროს უკრიანელი იაილო, რომელსაც ოქტომბრის დასაწყისში საბერძნეთის მოქალაქის პასპორტი ეძნება და იტალიურ გუნდში ბოსმანიის წესით, არაუცხოელის სტატუსით ჩაირიცხება.

პირველ ტურში მილანის „ოლიმპიასთან“ მარცხის შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა შარშანდელმა ჩემპიონმა „ვარეზემ“. ანდრეა მენეგინის გუნდმა „კანტუს“ მეორე ტურის, ხოლო ვერონის „მიულერს“ კი მეექვსე ტურიდან გადმოტანილი მატჩი მოუგო. ეს შეხვედრა 16 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმ დღეს „ვარეზე“ მილანში დაგეგმილ „მაკდონალდსის თასის“ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ამ ტურნირში კი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი „სან ანტონიო სფურზიც“ ითამაშებს.

ჩემპიონატს კი ორი დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს. თუკი „სიენას“ ცხრილის სათავეში ყოფნა შემთხვევითობას შეგვიძლია მივაწეროთ, ამას ვერ ვიტყვით ბოლონიის „ფორტიტუდოზე“ (ყოფილი „ტიმისიტემი“). გუნდში მაღალი კლასის მოთამაშეებს მოუყრიათ თავი და ერთმანეთთანაც კარგად არიან შეთამაშებულნი. მიუხედავად ამისა, „ფორტიტუდოს“ შინ, რიმინის „პეპსისთან“ იოლი გასვირნება სულაც არ ჰქონია: სტუმრებმა პირველი ტაიმი ოთხი ქულით მოუგეს ბოლონიელებს (32:28) და მეორეშიც ერთხანს წინ იყვნენ. მერე კი გაილაღეს „ფორტიტუდოს“ ლიდერებმა მაიერსმა (26 ქულა), კარნიშოვასმა (15 ქულა) და ფუჩკამ (14 ქულა) და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ვარეზე	3	2	1	210:206	5
სიენა	2	2	0	154:130	4
ფორტიტუდო	2	2	0	159:138	4
მიულერი	3	1	2	193:191	4
კინდერი	2	1	1	150:137	3
ოლიმპია	2	1	1	138:130	3
აეროპორტი	2	1	1	145:138	3
იმოლა	2	1	1	137:135	3
პეპსი	2	1	1	126:129	3
რეჯანა	2	1	1	152:157	3
კანტუ	2	1	1	143:148	3
ვიოლა	2	1	1	144:154	3
ბენეტონი	2	1	1	145:158	3
ძუკეტი	2	1	1	129:143	3
ტრიესტი	2	0	2	135:146	2
სკავოლინი	2	0	2	137:159	2

საფრანგეთი

II ტური

ბეზანსონი — გრაველინი 86:57, ბაონი — სტრასბური 59:67, შოლე — ლიმოჟი 60:73, ვილერბანი — პარი სენ ჟერმენი 72:66, ევრე — ნანსი 76:51, ანტიბი — მონპელიე 79:69, ლე მანი — შამპანი 80:60, პო ორტეზი — დიჟონი გაიმართება 12 ოქტომბერს.

საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ტური განსაკუთრებით რთული გამოდგა „ვილერბანისთვის“. საკუთარი მაყურებლის თვალწინ მას ძალიან გაუჭირდა „პარი სენ ჟერმენის“ დამარცხება. „ასტრობალის“ დარბაზში პირველ გამარჯვებას მასპინძლებმა მხოლოდ შეხვედრის დასასრულსღა მიაღწიეს. მათ რიგებში ყველაზე ძლიერად საფრანგეთის ნაკრების წევრი მუსტაფა სონკო ირჯებოდა. თამაში დაძაბულად დაიწყო. „ვილერბანმა“, რომელიც დაცვაში მშვენივრად თამაშობდა, მალე მიაღწია მცირე უპირატესობას, მაგრამ მეტოქეც ძალიან ცოტა შეცდომას უშვებდა საკუთარ ფართან და ამიტომ ანგარიშში დიდი სხვაობა არ დფიქსირებულა. შესვენებაზე მოწინააღმდეგეები 36:33 ანგარიშით გავიდნენ.

განახლდა თუ არა მატჩი, პარიზელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. ცოტა ხანში კი მათ აშკარად დაბნეულ მეტოქეს ათი ქულითაც გადაასწრეს — 50:40. ეს უკვე დიდი მოულოდნელობა იყო. თუმცა, სენსაცია მაინც არ შედგა. მოედანზე სონკოს (რომელმაც ჯამში თავისიანებს 18 ქულა შესძინა) დაბრუნებამ მასპინძლებზე სასიკეთოდ იმოქმედა და მათაც ნელ-ნელა გააბათილეს ანგარიში ჩამორჩენა და პარიზელებს „დაუგეგმავი გამარჯვება“ არ მოაპოვებინეს.

ზედიზედ მეორედ მოიგო „ლიმოჟმაც“. ამჯერად მან სტუმრად სძლია „შოლეს“, რომლისთვისაც ეს მეორე მარცხი იყო. პირველმა ტაიმმა შედარებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. მასპინძლები საშუალო მანძილიდან სროლისას საკმაოდ უზუსტონი იყვნენ, ფარქეშ კი ბატონობდა „ლიმოჟის“ და საფრანგეთის ნაკრების ცენტრი ფრედერიკ ვეისი, რომლის ამერიკული ვოიაჟიც უბრალო ტურისტული გასეირნება გამოდგა. ასე რომ, პირველი ოცწუთეული თუ „ლიმოჟმა“ ორ ქულაზე მეტით (36:34) ვერ მოიგო, ამაში „დამნაშავენი“ „შოლეს“ უკანახაზელები არიან, რომლებიც ჩინებულად ესროდნენ სამქულიანებს. შესვენების შემდეგ კი სტუმართა რიგებში ბონატომ გაიბრწყინა და მისი მშვენიერი თამაში მალე ანგარიშიც აისახა.

მესამე დაუმარცხებელი გუნდი „ევრეა“, რომელმაც „ნანსი“, ფაქტობრივად, გაანადგურა. მისი წარმატების მთავარი საწინდარი დაცვაში თითქმის უშეცდომო თამაში იყო. ნანსელებს ძალიან უჭირდათ არათუ ზუსტი ტყორცნის განხორციელება, არამედ სასროლ პოზიციაზე გასვლაც კი. მათ პირველ ნახევარში მხოლოდ 17 ქულის მოხვეჭა შეძლეს. შესვენების შემდეგ მასპინძლები ცოტათი მოეშვნენ და მეტოქემაც ორჯერ მეტი ქულა აართვა, ვიდრე პირველ ტაიმში, მაგრამ მატჩის ბედზე ამას არანაირად უმოქმედია — 76:51.

ევრელებზე ოდნავ მეტი გასაქანი მისცეს მოწინააღმდეგეს საწყის ოცწუთეულში ბეზანსონელებმა. მათ გრაველინელებს „მთელი“ 19 ქულის მოპოვება დაანებეს, თუმცა საბოლოოდ იმაზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე, ვიდრე „ევრეშ“ — 86:57.

ევრე	2	2	0	155:122	4
ლიმოჟი	2	2	0	156:136	4
ვილერბანი	2	2	0	143:130	4
ბეზანსონი	2	1	1	151:131	3
სტრასბური	2	1	1	141:135	3
შამპანი	2	1	1	132:128	3
ლე მანი	2	1	1	120:123	3
პსჟ	2	1	1	139:143	3
ანტიბი	2	1	1	127:141	3
გრაველინი	2	1	1	133:160	3
დიჟონი	1	1	0	63:40	2
პო ორტეზი	1	1	0	74:65	2
საონი	2	0	2	135:150	2
შოლე	2	0	2	131:146	2
მონპელიე	2	0	2	140:158	2
ნანსი	2	0	2	115:147	2

დაიწყება თბილისში ევრობასკეტ-2003?

გასულ გაზაფხულს შვეიცარიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დამარცხდა, ჯგუფიდან ვერ გააღწია და ევრობასკეტ-2001-ის მიღმა დარჩა.

ამის შემდეგ ეროვნული გუნდის აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი ზურაბ ტომარაძემ შეცვალა, რომელიც მომდევნო, ანუ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატზე და ნაკრების მოღონიერებაზე ზრუნვას ამთავითვე შეუდგა.

სწორედ მისი ინიციატივით და კალათბურთის ფედერაციის მხარდაჭერით, სულ ახლახან ფიბა-ში თხოვნის წერილი გაიგზავნა. ქართველები ევროპული კალათბურთის შეფებს ევრობასკეტ-2003-ის შესარჩევის წინა ეტაპის თბილისში ჩატარების პერსპექტივას სთავაზობენ და თვის ბოლომდე საბოლოო პასუხს ელიან.

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ტურნირში დამარცხებული გუნდები მაისში შესარჩევ ეტაპზე მოსახვედრი ორი საგზურისთვის შეეჯიდებიან ერთმანეთს.

იქნებ ფიბა-მ ჩვენებურთა თხოვნას დადებითად უპასუხოს, მანამდე კი საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობას გაეცანით: კვიპროსი, ირლანდია, დანია, რუმინეთი, ნორვეგია, ლუქსემბურგი.

გიორგი ბიძაშვილი

ქართველ მწვრთნელებს უცხოელები გაანათლებენ

კალათბურთის ფედერაციამ ქართველ მწვრთნელთა კვლიფიკაციის ამაღლება განიზრახა და არც ფიბა-ს შეწუხებას დაერიდა. შედეგად 1 ოქტომბერს თბილისში ორი უცხოელი სპეციალისტი ჩამოვა, რომლებიც ქართველ კოლეგებს ცოდნას გაუღრმავებენ და ამის შემდეგ ატესტაციასაც მოუწყობენ.

თუ ქართველები გამოცდებს ჩააბარებენ და შესაბამის ლიცენზიებსაც მიიღებენ, მათ უცხოურ სემინარებზეც წარგზავნიან. ამას იუწყება ფიბა, რომელიც მწვრთნელთა ასაკობრივ ლიმიტსაც აწესებს 18-დან 35 წლამდე.

თურმე ფიბა ისედაც აპირებდა მსგვსი პროგრამის განხორციელებას, სახელწოდებით — „მწვრთნელი 2000“.

მაშ ასე, თბილისში უნგრელი და იტალიელი სპეციალისტების ჩამოსვლით ქართველი მწვრთნელები განათლდებიან. მათი რაოდენობაც შეზღუდული ყოფილა — 30.

საბა ესებუა

თავისუფალი აგენტების ბაზარი

NBA

20 სექტემბერი

დეტროიტ პისტონზი: აიყვანა „მაიამის“ ყოფილი ფორვარდი ტერი მილზი

ორლანდო მეჯიკი: აიყვანა უგუნდო უკანახაზელი ჩაკი ატკინსი; აიყვანა უგუნდო ცენტრი ჯონ ამაჩი

პოტაპენკო დეზოზისთვის დაკავეს



სარბიელის არქივიდან

ვიტალი პოტაპენკოს „ბოსტონის“ გარდა „კლივლენდშიც“ უთამაშია

ამერიკული თუ სხვა საინფორმაციო წყაროების ცნობით, ორშაბათ ღამეს მასაჩუსეტსის შტატის პოლიციამ დააკავა „ბოსტონ სელტიქსის“ უკრაინელი ცენტრი ვიტალი პოტაპენკო.

ნაშუადამევს ბოსტონის საერთაშორისო აეროპორტის — „ლოგანის“ თანამშრომლების ყურადღება ხმამაღალმა საუბარმა მიიქცია. მათ შეამჩნიეს, რომ ვიღაც ახმახი ქალს ეჩხუბოდა, რის შემდეგაც მომსახურე პერსონალმა სასწრაფოდ გამოიძახა პოლიცია. აეროპორტის ერთ-ერთი ტერმინალის შენობაში (სადაც ჩხუბი, თუ შელაპარაკება მოხდა) მოსულ სამართალდამცავებს არავინ დახვედრია, წყვილი პოლიციამ „დანაშაულის ადგილიდან“ მოშორებით აღმოაჩინა, ავტომანქანების გაჩერებაზე. აქ გაირკვა, რომ ის ახმახი, თურმე „სელტიქსის“ ცენტრი ვიტალი პოტაპენკო ყოფილა, ქალი კი მისი მეგობარი გოგონა. პოლიციის სერჟანტ ედვინ ანდერსონის თქმით, თავიდან მათ უკრაინელს განყოფილებაში თავისი ნებით წაყოლა შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. პოლიცია იძულებული გახდა, ძალით ჩაესვა იგი მანქანაში (საინტერესოა, როგორ მოახერხეს ეს. ვიტალი პოტაპენკო 208 სანტიმეტრია და 130 კილოგრამს იწონის. ალბათ იარაღით თუ დააშინეს) და ისე წაეყვანათ განყოფილებაში, საიდანაც მალე გამოუშვეს.

წესრიგის დამცავების გრძელი ხელებისგან დროებით თავდახსნილი უკრაინელი სასწრაფოდ უკან, აეროპორტში დაბრუნდა, რათა წაჩხუბებული მეგობარი გოგონა ენახა, მაგრამ აქ პერსონალის წინააღმდეგობას წააწყდა, იგი აეროპორტში არ შეუშვეს. იმავე დღეს, საღამოს, პოტაპენკო ვალდებული იყო, გამოცხადებულიყო სასამართლოში და პასუხი ეგო უღირსი საქციელისთვის.

ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიის შენობაში

☎ 23 20 05

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.

2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?

3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

პეტრე მუსვენიერაძე

წყალბურთი

დაიბადა 1929 წლის 24 მარტს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი (1952, 1955-63), საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი (1950-60), ევროპის ვიცე-ჩემპიონი (1962) და ბრინჯაოსმედალოსანი (1958), რომის ოლიმპიადის (1960) ვიცე-ჩემპიონი და მელბურნის ოლიმპიადის (1956) ბრინჯაოსმედალოსანი

1. როცა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩემმა ვაჟმა-გიორგიმ ჩემპიონობა მოიპოვა, ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული. ამ ოქროს მედლისკენ ხომ მშვენიერაძეების მთელი ოჯახი მივისწრაფოდით და ბოლოს ჩემმა უმცროსმა შვილმა მიაღწია საწადელს. ყველაზე მეტად კი შარშან მოსკოვში წაკითხულმა დავით ციმაკურიძის ინტერვიუმ დამწყვიტა გული, სადაც ივი გივი კარტოზიას შეჭირვებაზე წუხდა. ამაზე მძიმე მომენტი სპორტულ ბიოგრაფიაში არ მქონია.

2. სპორტის ასაღორძინებლად მე ორი გზა მესახება. ერთია ის, რომელსაც დაადგა ცივილიზებული სამყარო. ადრე ჩვენთან სპორტი იდეოლოგიის მძლავრი იარაღი იყო. ღღეს ეს სისტემა დაიშალა და მის ნაცვლად ახალი კანონზომიერება დამკვიდრდა — საბაზრო ეკონომიკა. ბიზნესმენები, რომლებიც სპორტში დაბანდებენ თანხებს, გადასახადებისგან უნდა გათავისუფლდნენ. ეს უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება სწრაფად, რათა რუსეთმა საქართველოს არ დაასწროს. იქ კი უკვე მიმდინარეობს ამ მხრივ მუშაობა და კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი მეც ვარ. სპორტის ზოგიერთ სახეობაში დაიწყო კიდეც ამის განხორციელება. ოღონდ ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ. იქ გადასახადისგან ათავისუფლებენ მოგების მარტო იმ ნაწილს, რასაც ბიზნესმენი სპორტში აბანდებს. იტალიაში კი, ვინც ფულს სპორტში, კულტურაში და სხვა საქველმოქმედო საქმეში დებს, მთლიანად თავისუფლდება ბეგარისგან. რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია სპორტის დაფინანსება, მან უნდა იზრუნოს სპონსორთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე. საამისოდ კი გარკვეული პირობებია საჭირო. ადამიანს სტიმული უნდა ჰქონდეს, სპონსორობა რომ გადაწყვიტოს. იგი სიხარულით უნდა აკეთებდეს ამ საქმეს.

ეს უმთავრესია. მეორე პირობა კი ბავშვთა სპორტის განვითარებაა, რაც გარკვეულწილად სპონსორებზეცაა დამოკიდებული. ბავშვთა სპორტის განვითარება კომპლექსური საკითხია. ეს არაა მარტო სპორტი. ეს არის ერის სიჯანსაღე, კრიმინოგენური პრობლემების გადაწყვეტა, არმიის სიძლიერე, გენეტიკური ფონდის გაძლიერება... ამიტომ ბავშვთა სპორტის განვითარება სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს, თანაც მაქსიმალურად. ჩვენ ხომ ჩვენი შვილებისთვის ვზრუნავთ. ასე უნდა იქცეოდეს სახელმწიფოც. მისთვის ეს უპირველესი საფიქრალი უნდა იყოს. ამ ორი პრობლემის მოგვარება სპორტს კრიზისიდან გამოიყვანს და არა მარტო საქართველოში.

3. არსენ მეკოიშვილი, ვიქტორ სანეევი, ოთარ ქორქია.

ნინო დუმბაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე



დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც *საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია* აწყობს *კომპანია „მეგაკომთან“* ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული“.

სარეფერენდუმო კომიტეტი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა





პეტრე მშვენიერაძე წყალბურთელთა დინასტიის მესაძირკვლე

ფლეულს მოსკოვში დაისტამბა რუსეთის ენციკლოპედია, რომელშიც, ცხადია, გამოჩენილ სპორტსმენებზეც ამოიკითხავთ მონაცემებს. ჩვენთვის ეს ენციკლოპედია იმითაცაა საყურადღებო, რომ წყალბურთი ერთადერთი გვარით, მშვენიერაძეების ოჯახითაა წარმოდგენილი.

წყალბურთში ამ გვარის დინასტიას სათავე დაუდო მელბურნის და რომის ოლიმპიური თამაშების, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორმა მოსკოველმა პეტრე მშვენიერაძემ, რომელიც ამ დღეებში თბილისში ბრძანდებოდა და „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო აუზში ვესაუბრეთ.

— მოდით, თქვენ რომ არ შეწუხდეთ, ჩრდილში დაბრძანდით, მე კი მზეს მივეფიცხები, რადგან ამგვარ სიამოვნებას მოსკოვში დანატრებული ვარ, — გვითხრა პეტრე მშვენიერაძემ და ჩვენი საუბარიც დაიწყო.

— ბატონო პეტრე, თქვენგან ინტერვიუ 20 წლის წინათაც ავიღეთ. მას შემდეგ გარეგნულად თითქოს არც შეცვლილხართ. 70 წლის კვალობაზე გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებით, მაგრამ რა შეიცვალა თქვენს პირად ცხოვრებაში?

— შვილიშვილები შემეძინა. სამნი არიან, სამივე — ბიჭი. მე კვლავ ძველ სამსახურში ვარ, ოღონდ მაშინ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ერქვა, ახლა იურიდიული ინსტიტუტი ეწოდება და კარგა ხანია სისხლის სამართლის პროფესორის რანგში ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას.

სხვათა შორის, ამგვარი გამოცდილება დიდად დამეხმარა შვილების წყალბურთელებად აღზრდაში. უფროსმა შვილმა, ნუგზარმა, თუ თანაგუნდელებთან ერთად დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონთა თასი, თუ გახდა ევროპის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ეს მთლიანად ჩემი დამსახურებაა. ასევე ჩემი დამსახურებაა უმცროსი შვილის, გიორგის კარგი წყალბურთელობაც, რომელმაც ამ სახეობაში მოიპოვა ყველა უმაღლესი ტიტული, თუ კი რამ მოსაპოვებელი იყო. იგი გახდა ოლიმპიური თამაშების, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის სამგზის ჩემპიონი. ამასთან ამ შეჯიბრებებზე არაერთხელ დაიმსახურა საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი.

— შვილების თამაშში თუ ამჩნევდით იმ თვისებებს, რომლებიც თქვენ გაგაჩნდათ სარბიელზე?

— რა თქმა უნდა, იმთავითვე ვცდილობდი მათთვის იმპროვიზაციის სურვილი ჩამენერგა, შემდეგ კი სურვილი საქმედ ექციათ. ეს მაშინაა შესაძლებელი, თუ წყალბურთელს ძლიერი ფეხები აქვს. ამას, სამწუხაროდ, მწვრთნელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. წყალბურთელი ისე მაგრად უნდა „იდგეს“ წყალზე, როგორც დედამიწაზე. თორემ რა გამოდის, ვისაც სუსტი ფეხები აქვს, მეტოქის ყოველ დაწოლაზე და დაჭაჭვაზე უმწეო ნაფოტივით იძირება. ამას ვინ ჩივის, მწვრთნელები წინათაც და ახლაც აღსაზრდელებს ურჩევენ მეტოქეს არ გაუძალიანდნენ და მცირეოდენ დაწოლაზეც კი სიმულაციის მიზნით ჩაიძირონ.

— გაგვიგონია, მეტოქეები ამბობდნენ, აბა, პეტრე მშვენიერაძე როგორ უნდა ჩაძირო, როცა მაღალია და აუზის ფსკერზე დადისო...

— ბევრს მართლაც ასე ეგონა. სხვათა შორის, როცა შვილებს მხრებზე შემომდგარი შტანგით წყალზე „დგომაში“ ეკვარჯიშებდი, ეს სხვებს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ და მეუბნებოდნენ, ნეტა ბავშვებს რატომ ტანჯავო. შვილებს იმთავითვე ისეთ ცურვასაც ვასწავლიდი, როგორიც მერე წყალბურთში გამოადგებოდათ და მთელი ყურადღება ტექნიკაზე, იმპროვიზაციის უნარზე მქონდა გადატანილი, რაც მით უფრო ძნელი ასათვისებელი ხდება, რაც წლები ემატება. სხვები კი აღსაზრდელებს ცურვაში მოცურავეებივით ავარჯიშებენ. ამიტომ ჩემი შვილები როცა თხუთმეტთექვსმეტი წლისანი იყვნენ, ყველაზე ცუდად ცურავდნენ. ბოლოს სწრაფად ცურვაც ისწავლეს, სხვებმა ტექნიკურ მომზადებაში დაკარგული წლები ვეღარ აინაზღაურეს. მაგრამ წყალბურთელის მომზადებაში ბევრი ნიუანსია, რაზეც საუბარი შორს წაგვიყვანს. ისე კი ჩემს დამსახურებად ვთვლი, რომ წყალბურთელის აღზრდის პედაგოგიკაში რევოლუციური გარდაქმნები შევიტანე.

— და მაინც, საკუთარ თავს რომელი შვილის თამაშში ხედავდით?

— გიორგის თამაშში. ძმებს შორის ასაკში სხვაობა რვა წელია და გიორგი სულ ცდილობდა ნუგზარისთვის ეჯობნა. გიორგი მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა, ნუგზარი — მოსკოვის „უნივერსიტეტში“. როცა ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, როგორც იტყვიან, თავს იგიჟებდა და გააფთრებით იბრძოდა. თავისი ძმის გუნდის კარში ბურთის გატანა კი ყველაზე მეტად ახარებდა.

— თქვენ საბჭოთა წყალბურთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი იყავით.



პეტრე მშვენიერაძე დღეს და გუშინ — 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე იუგოსლავიელთა წინააღმდეგ მებრძოლი



მერე ასეთი გახდა გიორგიც. ნუგზარსაც პანტა-პუნტით გაჰქონდა ბურთები.

თქვენცა და თქვენს შვილებსაც თბილისის „დინამოსა“ თუ საქართველოს ნაკრების კარშიც არაერთი ბურთი გაგიტანიათ, მათ შორის გადამწყვეტიც. თქვენს მიერ ჩვენს კარში გატანილი ბურთებიც ისევე გახარებდათ, როგორც სხვათა კარში შეგდებული?

— მე მინახავს პელეს, პუშკაშისა და სხვა ფეხბურთის ვარსკვლავთა თამაში. მათ თითოეული ბურთის გატანა სიგიჟემდე უხაროდათ. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ მე ბურთის გატანა სხვებივით არ მიხაროდა. იქნებ იმიტომ, რომ ბევრი გამქონდა და მივეჩვიე. ეგ კი არა, ბურთის გატანისას მაყურებელიც აღარ მიკრავდა ტაშს. ისინიც მიეჩვივნენ ამას. ამბობდნენ, რა მოხდა, ეგ პეტრე მშვენიერაძეა და ბურთი უნდა შეაგდოს, აბა, რაო.

თავი შევადარე გინეკოლოგს, რომელიც მასთან მისულ ქალში უემოციოდ მხოლოდ პაციენტს ხედავს და მეტს არაფერს. მე უფრო ჩემს მიერ ჩაწოდებული ბურთის გატანა მიხაროდა, ან ჩემი მონაწილეობით მახვილგონივრული კომბინაციის მერე ბურთის შეგდება.

— თქვენზე ლეგენდებს ჰყვებიან. ამბობენ, არ არსებობდა მცველი, თუნდაც მთელი გუნდი, რომელიც პეტრე მშვენიერაძეს შეაჩერებდა და ბურთს არ გაატანინებდაო.

— მართალი რომ გითხრათ, თავდაპირველად იოლად გამქონდა ბურთები. ბოლოს, კარიერის მიწურულს, გამოჩნდა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც ალღო იყვნენ თბილისელი ჩიქვანაია, უნივერსიტეტელები კურნიკოვი და კუზნეცკი.

ისე, ერთი კურიოზული შემთხვევაც მახსენდება. აღმოსავლეთ გერმანიის გუნდს ვეთამაშებოდით. დიდი ვერაფერი იყო და ძალდაუტანებლად 12:1 მოვიგეთ. ამ თორმეტიდან მე- ერთიც ვერ გავიტანე. თურმე მათ მწვრთნელს ერთი მცველისთვის დაუვალია, მშვენიერაძეს მხრებზე ჩამოეკიდე. განძრევის საშუალება არ მისცე, თუნდაც 100:0 წაგაგო, ოღონდ მაგ პეტრეს ერთიც არ გაატანინოო. ასეც მოიქცა. მაშინაც კი არ მეხსნებოდა, როცა ბურთი გაგვქონდა და თამაშის გასაახლებლად ცენტრისკენ მივცურავდით. არც მაშინ დამეხსნა, როცა გამწარებულმა მისმა თანაგუნდელმა სხვისი მოსახვედრი მუშტი ამ ჩემს ტომარას ცხვირპირში თხლიშა და სისხლი ადინა. რაკი აღარც მაშინ დამეხსნა, ავდექი და ზურგზე აკიდებულმა აუზის კიდესთან ექიმთან მივცურე. ექიმი რომ ექიმობდა, იმ გერმანელს მეორე მკლავი ჩემს კისერზე ჰქონდა მოხვეული და არ მიშვებდა.

— თქვენ სულ მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდით და მასთან ერთად 1955-დან 1963 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა არ დაგითმიათ. ერთხელ კი, 1952 წელს „დინამოს“ განუდგეთ და სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდთან ერთად მოიპოვეთ საკავშირო ჩემპიონობა. საინტერესოა, მფრინავთა გუნდში როგორ მოხვედით?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ვასილ სტალინის მეორე თუ მესამე ცოლი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე კაპიტალინა ვასილიევა იყო. მაშინ მთელს ქვეყანაში ზამთრის 50-მეტრიანი საცურაო აუზი არ არსებობდა. ამიტომ კაპიტალინას ქრისთვის უთქვამს, მოცურავეები მხოლოდ ზაფხულობით რომ ვვარჯიშობთ, რა გახდა ერთი ზამთრის აუზის აშენებაო. ვასილი ადგა და მეორე დღესვე ჯარისკაცები განგაშით წამოყარა, ხელში ნიჩბები და წერაქვები დაჭერინა და იქ, სადაც ახლა მოსკოვში საჰაერო ვაგზალია, ანგარიდან თვითმფრინავები გამოაგორებინა, მათ სადგომზე კი მიწა ამოათხრევინა და საოცრად სწრაფად აუზი ააშენებინა.

ასე აიგო მთელს საბჭოთა კავშირში პირველი ზამთრის 50-მეტრიანი აუზი. მერე საუკეთესო წყალბურთელები შეკრიბა. მის თხოვნაზე მე ან სხვა უარს როგორ ვიტყოდით და ასე მოვხვდი მფრინავთა გუნდში. მე, ვითომ როგორც მფრინავს, ხელფასი დამინიშნეს. სხვებიც ზოგი მფრინავად გააფორმეს, ზოგი მექანიკოსებად.

ვასილი სტალინმა ასე ჩამოაყალიბა ფეხბურთელთა და ჰოკეისტთა გუნდებიც, რომლის წევრებს, უკლებლივ ყველას, ხელფასები დაუნიშნა. ბევრს გავიძახოდით, რომ საბჭოთა კავშირში მხოლოდ სამოყვარულო სპორტიაო, მაგრამ ასე არ ყოფილა. სწორედ ვასილი სტალინმა დაუდო სათავე, არაოფიციალურად, ჩვენთან პროფესიულ სპორტს. მერე „დინამომ“ აიტაცა ეს საქმე და სხვა სპორტსაზოგადოებებიდან მიმდევრებიც მალე გამოჩნდნენ.

ასე რომ, ვასილი სტალინმა პროფესიონალიზმის შემოტანით სპორტის განვითარებას დიდი ბიძგი მისცა.

— გვინდოდა გვეკითხა თბილისის „დინამოში“ გადმოსვლა არ გიფიქრიათ-მეთქი, მაგრამ თავს ვიკავებთ, რადგან საკუთარი შვილები სხვადასხვა გუნდში იყვნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, თანაც უფრო გამეტებით, ვიდრე სხვასთან...

— ისინი ერთ გუნდში ვერც იქნებოდნენ, რადგან ორივენი ეგრეთწოდებულ ბოძს თამაშობდნენ. მთელი გუნდი ერთი „ბოძის“ ირგვლივ თამაშობს და მას ემსახურება, ორი „ბოძით“ თამაში მეტად ძნელია. ამიტომაც ძმები სხვადასხვა გუნდებში იყვნენ.

— ასეა თუ ისე, თავად წყალბურთის თამაში მაინც თბილისში დაიწყეთ. საინტერესოა, თქვენ თვითონ ქართული წყალბურთის სკოლის წარმომადგენლად მიგაჩნიათ თავი თუ რუსულისა?

— წყალბურთის ამგვარად დაყოფა არასწორად მიმაჩნია. იქნებ არსებობს ქართული საფეხბურთო სკოლა, რუსული საკალათბურთო სკოლა და მისთანანი, მაგრამ წყალბურთში ასე არ არის. ჩვენ ყველანი საბჭოთა წყალბურთის წარმომადგენლები ვიყავით. ერთი ხელწერა გვქონდა, ერთი სისტემა იყო და განსხვავება არ ყოფილა, თუმცა თავად მოთამაშეები, ცხადია, ინდივიდუალურად მეტნაკლებად გამოვირჩეოდით.

— პეტრე, ნუგზარი და გიორგი მშვენიერაძეების მშვენიერი წყალბურთელობა ისტორიის ჩაბარდა. ახლა მშვენიერაძეების მეორე საკუთული ოჯახი ებრძვის მამა-პაატარა ტრადიციების გაგრძელებას?

— სამაგინი თამაშობენ წყალბურთს, მაგრამ რუსეთში ამ საქმეზე და საერთოდ სპორტზე ისე როგორც საქართველოში, ძველებურად აღარ ზრუნავენ. იქაც და აქაც ერთნაირი პრობლემებია. როგორ შეიძლება ბავშვს სპორტში მეცადინეობისთვის ფული გადაახდევინო? ამით ხომ ჩვენს გენეტიკურ ფონდს ვკლავთ? როგორ შეიძლება სპორტული ბაზა ისევე დაბეგრო, როგორც ვთქვათ ღვინის ქარხანა? როგორ შეიძლება სპორტის მეცენატი და სპონსორი მეწარმე ისევე დაბეგრო, როგორც ამ საქმისგან შორს მდგომი ბიზნესმენი. ამიტომაც ჩაკვდა მწვრთნელთა ენთუზიაზმიც. ეს ყველაფერი სახელმწიფო დანაშაულად მიმაჩნია. მოსკოვში რომ გავიგე, ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონს დავით ციმაკურიძეს გაჭირვების გამო იმ ოლიმპიური ოქროს გაყიდვა გადაუწყვეტია, ლამის გული გამისკდა.

— ჩვენი ინტერვიუთი ძველ თაობას ვახსენებთ, ახალს კი თქვენ თავს ვაცნობთ, რადგან მათ არც გაუგონიათ, ვინ იყო პეტრე მშვენიერაძე. ამიტომ იქნებ ისიც გვიამბოთ, როგორ მოხვედით წყალბურთში. ეს ამბავი ხომ საერთოდ საქართველოში წყალბურთის პირველ ნაბიჯებს უკავშირდება და ამდენად უფრო საინტერესოა.

— ჩემზე რუსეთის ახალგაზრდა თაობას არ სმენია არაფერი და საქართველოში რომ არ მიცნობდნენ, რაღა საკვირველია. ეგ კი არა, რუსეთში ლევ ტოლსტოისა და დოსტოევსკის არ იცნობენ და პეტრე მშვენიერაძე ვიღას ეხსომება?

რაც შეეხება ჩემს პირველ ნაბიჯებს წყალბურთში, აქ ცურვიდან მოვედი, ცურვაში კი სრულიად შემთხვევით, ქუჩიდან მოვხვდი.

მაშინ ბავშვები სანაპიროზე იქ, სადაც ახლა მშვენიერი ლუდი „ყაზბეგი“ ისხმება, აუზში დავდიოდით. ის 3X4 მეტრზე აუზები გამოხარშული ლუდის გასაცეცებლად იყო და ცურვაც იქ ვისწავლე. ერთ მშვენიერ დღეს იქვე მტკვარზე გამოვცადე თავი. ოღონდ მაშინ მტკვარი ასეთი განიერი არ იყო და იქ ბორანი დაცურავდა. სწორედ იმ ადგილზე ჩემი გადმოცურვა იმით დასრულდა, რომ საცურაო აუზში გადმოვიპარე. იქ ცხონებულმა ლუკა იოკიბიდმ, ჩემმა მომავალმა მწვრთნელმა დამიჭირა. სასჯელი წინასწარ ვიცოდი — მაზუთში უნდა ამოვესვარე, მაგრამ მოულოდნელად მითხრა, აბა, ერთი ბაყაყივით გაცურეო. ასე დავიწყე ცურვაში ვარჯიში. ერთი წლის მერე საქართველოს ჩემპიონი გავხდი. მერე ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე გავიმარჯვე, ბოლოს კი რესპუბლიკურ პირველობაზე ცურვის ყველა სახეობაში ჩემპიონობა მოვიპოვე, მაგრამ გული უფრო სათამაშო სახეობებისკენ მიმიწევდა, განსაკუთრებით წყალბურთისკენ, რასაც მეც და სხვებიც გასართობად ვთამაშობდით. მაშინ წყალბურთი რიგიანად დანერგილი არც იყო და მას მოცურავეები საწყლისნო ზეიმებზე საჩვენებელი გამოსვლებისას თამაშობდნენ. თბილისის „დინამოსთან“ ერთად, რომელიც საქართველოს ნაკრებიც იყო, მეორე მსოფლიო ომის მერე საკავშირო პირველობის წინასწარ შეხვედრებში VII თუ VIII ადგილზე გავედით, 1948 წელს, ბაქოში საკავშირო თასზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონს მოსკოვის „ტორპედოს“ პირველად მოვუგეთ. მის რიგებში გამოდიოდნენ მოცურავეები, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის წყალბურთელები იყვნენ: უშაკოვი, მეშკოვი, კაზაკოვი და სხვები. ეტყობა, იქ დამადგეს თვალი და მოსკოვის „დინამოში“ გადამბარეს. უარს ვერც ვიტყოდი.

საქმე ის იყო, რომ მაშინ „დინამოში“ თამაშობდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე, იმდროინდელი უშიშროების მინისტრის ამაკუმოვის შვილობილი კრუკოვი, რომელმაც ჩემი გადაბირება მოინდომა. მისი მამობილის გადამკიდე, უარს როგორ ვიტყოდი. მართალია, თბილისში ვსწავლობდი, ახლობლებიც აქ მყავდა, მაგრამ მოსკოვში ვთამაშობდი. პირველივე წელს მოსკოვის დინამოელებთან ერთად ბაქოში საკავშირო თასი მოვიგე. ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ თითოეულმა წყალბურთელმა გუნდის კაპიტნად ამირჩია. ასე იყო საკავშირო ნაკრებშიც, სადაც 1960 წლამდე მისი უცვლელი კაპიტანი ვიყავი.

ავთანდილ გურასაშვილი

ათენი — სიდნეის შანსი

ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრები გუშინ გაფრინდა ათენში, სადაც 23-26 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და რვა საუკეთესო ფალავანზე ოლიმპიური ლიცენზიებიც გაიცემა. მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ საბერძნეთში წაიყვანა ალექსანდრე ცერცვაძე (54), კობა გულიაშკილი (58), აკაკი ჩაჩუა (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ტარიელ მელელაშვილი (76), მუხრან ვახტანგაძე (85), გენადი ჩხაიძე (97), დავით ენდელაძე (მძიმე).

როგორც ვხედავთ, მწვრთნელმა გუნდი გამოცდილი სპორტსმენებით დაკომპლექტა, თუმცა სიახლეებიც საგრძნობია. გუნდში ორი დებიუტანტია და ორივე ქუთაისიდან — ცერცვაძე და ენდელაძე. ტექნიკურმა და სწრაფმა ცერცვაძემ ეს ადგილი თანაქალაქელ ნიშნიანიძეს კონკურენციით წართვა. მან ეს კარტოზიას ტურნირის მოგებით შეძლო. ენდელაძეს კი ბედმა გაუღიმა. ამ წონაში ლიდერი ყოველწლიურად იცვლება. ახლაც მირიან გიორგაძე და თამაზ გოგელია ეცილებოდნენ ერთმანეთს სანაკრებო ადგილს, მაგრამ პირველს წელი ასტკივდა, მეორეს — ხელი. მწვრთნელი არავის წაყვანას არ აპირებდა, მაგრამ ენდელაძემ თავი დაიფინანსა.

ცვლილებაა 85 კგ-შიც, თუმც ვახტანგაძეს ახალბედა ნამდვილად არ ეთქმის, აი, 76-ის მდგომარეობა კი მოულოდნელი უკვე აღარაა. მელელაშვილმა საევროპო ნაკრებიდანაც ამოაგდო კონტინენტის გასული წლის ვიცე-ჩემპიონი ხვიჩა ბიჩინაშვილი და თავისი შანსი ახლაც გამოიყენა. ისე, მას ურიგოდ არც იმ ევროპის ჩემპიონატზე უჭიდავია — მეოთხე ადგილზე გავიდა. მაშინ უნგრელ ტომაშ ბერშიცასთან ნახევარფინალში რომ წაგო, ეს მსაჯებს დაბრალდათ. იმედია, ახლა ამოიყრის ამის ჯავრს.

რადგან სიდნეის ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა ამ ჩემპიონატზე გადის, ამიტომ იგი თითოეულისთვის მნიშვნელოვანია. მომავალი ოლიმპიადისთვის ნაკრები უეჭველად გადახალისდება. ამის თქმის საბაბს ზოგიერთის „საპენსიო“ ასაკი და ნიჭიერი, თანაც უაღრესად ამბიციური მომავალი თაობა იძლევა. ამიტომ ეს ტურნირი ზოგისთვის ოლიმპიადაზე მოხვედრის ბოლო შანსია. სავარაუდოდ, ეს ფაქტორი ბიჭებს (იმ ზოგიერთს მაინც) დამატებით სტიმულს მისცემს.

დარჩიას თქმით, 3-4 ლიცენზიის მოპოვებას გეგმავენ. სავარაუდო კანდიდატთა ნუსხა მძიმე წონის ლიდერთა ტრავმებმა ერთით შეამცირა. ისინი მედლებზეც ფიქრობენ, მთავარი იმედები კი ევროპაზე თავგამოჩენილ ტრიოს უკავშირდება — ვიცე-ჩემპიონი ჩაჩუა, მელელაშვილი და ჩხაიძე (მეხუთე ადგილი). თუმცა განთესვის ახალი წესების გამო გეგმებზე ძნელია ლაპარაკი. ვგულისხმობთ ქვეჯგუფებში მოჭიდავეთა განაწილებას, რაც ყოველგვარი განთესვის გარეშე ხდება. აქ არც კლასიფიკაცია მიიღება მხედველობაში და არც სხვა რამ. ყველაფერს ბრმა კენჭისყრა წყვეტს. ამიტომ შეიძლება წონის ყველა [illegible] ერთ [illegible] ჯგუფში მოხვდეს, — მეტოქეთა სიის ბრძოლას კი მხოლოდ [illegible] ვაძარებულ [illegible] აგრძელებს. ეს [illegible] [illegible] ბრმად ძლევს [illegible] ატოვებინებს ტურნირს, სუსტს კი მედლისკენ უხსნის გზას. ასეთ პირობებში გამოსავალი ერთია — იყო ყველაზე ძლიერი. ამისი იმედი კი ტურნირებსა და შეკრებებს მოკლებული ჩვენი ბიჭებისგან არ უნდა გვქონდეს. ევროპის ჩემპიონატის მერე (მაისში რომ ჩატარდა სოფიაში) ნაკრების წევრებმა მხოლოდ კარტოზიას ტურნირზე იჭიდავეს და სულ ეს იყო. მხოლოდ მელელაშვილი გამოვიდა პოლონეთში. ნორმალურ სავარჯიშო პირობებს მოკლებული ქართველი მოჭიდავეებისთვის მთავარი კოზირი ისევ ნიჭი იქნება.

ირაკლი თავაძე

ტომას ენკვისტი

წვიმასა და სიბნელეში

ბორნმუტი. ინგლისი. „სამსუნგის ღია პირველობა“. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

მეოთხედფინალი: **ტომას ენკვისტი** (1, შვედეთი) — ქარიმ ალამი (8, მაროკო) 6:3, 7:5; **იუნეს ელ აინაუი** (3, მაროკო) — ჰენდრიკ დრეიმანი (გერმანია) — ტრავმა; **შტეფან კუბეკი** (5, ავსტრია) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 6:2; **ადრიან ვოინეა** (რუმინეთი) — მარკკევინ გელნერი (გერმანია) 6:3, 2:6, 6:2

ნახევარფინალი: **ვოინეა** — აინაუი 6:3, 6:4; **კუბეკი** — ენკვისტი 6:4, 2:6, 5:5 — ტრავმა

ფინალი: **ვოინეა** — კუბეკი 1:6, 7:5, 7:6 (7:2)

ბორნმუტის ტურნირს წლეულს ნაღდად არ გაუმართლა: ქარიშხალმა „ფლოიდმა“, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩრდილოეთ ამერიკას დაატყდა თავს, ამ უქმეებზე ატლანტიკა გადმოსერა და ზღვისპირა ინგლისურ ქალაქსაც მოუსინჯა გემო.

ბორნმუტის თიხნარის კორტები შაბათ-კვირას განუწყვეტელი წვიმისგან დაიტბორა და ნახევარფინალების დასრულება, მერე კი ფინალის გამართვაც ორშაბათ საღამოსღა მოხერხდა. არადა, მატჩების დაწყება ერთი საათითაც რომ დაგვიანებულიყო, პირველად ბოლო 12 წლის მანძილზე, ATP-ის ტურნირი დაუთავრებელი დარჩებოდა.

თითქოს ამინდის ჭირვეულობა არ კმარიყო, ორგანიზატორები ორშაბათს პირველად განთესილმა ტომას ენკვისტმაც დაღალატა. ავსტრიელ შტეფან კუბეკთან შვედის ნახევარფინალური შეხვედრა გადამწყვეტ ხელში, 5:5-ზე იყო შეწყვეტილი და სულ რამდენიმე წუთიც ეყოფოდა მოსაგებად თუ წასაგებად, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა ზურგის ტრავმა მოიმიზეზა და თამაშზე უარი განაცხადა.

„ტკივილები ისე მაწუხებდა, გარისკვას და ტრავმის გაუარესების შიშით თამაშს აზრი არ ჰქონდა. ახლა სტოკჰოლმში დავბრუნდები და ექიმებს გავესინჯები“ — განაცხადა ენკვისტმა, რომელსაც სეზონის შესანიშნავად დაწყების შემდეგ თავი აღარაფრით გამოუჩენია.

ორშაბათის გმირი კი კლასიფიკაციით 133-ე რუმინელი ადრიან ვოინეა შეიქნა. ვოინეამ ჯერ მაროკოელ იუნეს ელ აინაუისთან 6:3, 4:2-ზე შეწყვეტილი მატჩი მოიგო 11 წუთში, მერე კი, თითქმის შეუსვენებლად, კუბეკს შეება.

გრძელთმიან ავსტრიელს ფინალში თავიდან დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ბორნმუტში თანდათან ბნელდებოდა, მალე ბურთის დანახვაც გაჭირდა და აგრესიულად მოთამაშე კუბეკმაც შეცდომებს უმატა, გამარჯვება კი უფრო სტაბილურ რუმინელს დარჩა.

„ეს სასწაულის ტოლფასია, არაჩვეულებრივი რამ არის ჩემთვის. როგორც იქნა, ოცნება ავიხდინე“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ინგლისურთან მწყრალად მყოფმა ვოინეამ, რომლისთვისაც ეს კარიერაში პირველი ტიტული იყო.

ავთანდილ სვანიძე

ფორცა, სინიორიტა!

Campionato Europeo Pallavolo femminile ITALIA '99

ევროპის უძლიერესი ფრენბურთელ ქალთა გუნდები ამ დღეებში იტალიაში კონტინენტის ჩემპიონატის ოქროს მედლებს შეეცილებიან ერთმანეთს. ამ პრესტიჟულ ტურნირში ასპარეზობის უფლება რვა ნაკრებს ხვდა წილად. ორგანიზატორებმა გუნდები ორ ჯგუფში გაანაწილეს. წილისყრამ A ჯგუფში რუსები, რუმინელები, ჰოლანდიელები და იტალიელები მოახვედრა, ესენი რომში ითამაშებენ. B ჯგუფის გუნდები — ხორვატია, გერმანია, პოლონეთი და ბულგარეთი კი პერუჯაში იასპარეზებენ.

ჩემპიონატების ისტორია 1949 წლიდან იღებს სათავეს და იქედან მოყოლებული ევროპელი ქალები კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელისთვის ოცჯერ გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ამ ხნის მანძილზე საბჭოელი დიაცები მძლავრობდნენ და რუსებს არც საბჭოთა კავშირის დაშლის მერე დაუთმიათ პირველობა. საერთო ჯამში მათ თხუთმეტჯერ იმარჯვეს, ჩემპიონის ტიტული ორჯერ გერმანელებმა, თითოჯერ ჩეხოსლოვაკელებმა, ბულგარელებმა და ჰოლანდიელებმა ირგუნეს.

ამიტომაც არის იტალიაშიც ფავორიტებად რუსებს რომ მიიჩნევენ, თუმცა იმასაც ამბობენ, ტემპერამენტიანი მასპინძლები ცივსისხლიან ჩრდილოელებს არაფერს დაუთმობენო. მით უფრო იტალიელმა ქალებმა წლეულს ორჯერ შეძლეს რუსთა დამარცხება.

რომსა და პერუჯაში უკვე პირველი მატჩები გაიმართა და ფავორიტებმაც პირველი გამარჯვებები მოიპოვეს.

კახა ხურციძე



იტალიელ ქალებს სხვა ქვეყანაში გამართულ ევროპის ჩემპიონატშიც დაასახელებდნენ ფავორიტებად, შინ კი — მითუმეტეს

A ჯგუფი. რომი

ჰოლანდია — რუსეთი 0:3 (24:26, 11:25, 20:25)
იტალია — რუმინეთი 3:1 (21:25, 25:20, 25:17, 25:20)

	მ	წ	ქ	პარტიები
1 რუსეთი	1	0	2	3:0
2 იტალია	1	0	2	1:3
3 რუმინეთი	0	1	0	1:3
4 ჰოლანდია	0	1	0	0:3

B ჯგუფი. პერუჯა

ხორვატია — ბულგარეთი 3:0 (25:21, 25:19, 25:17)
პოლონეთი — გერმანია 2:3 (25:21, 14:25, 19:25, 25:16, 13:15)

	მ	წ	ქ	პარტიები
1 ხორვატია	1	0	2	3:0
2 გერმანია	1	0	2	3:2
3 პოლონეთი	0	1	0	2:3
4 ბულგარეთი	0	1	0	0:3

რეპორტაჟი ტრაგიკული გამოდგა



მრისხანე კანჩენჯანღამ კიდევ ორი კაცი იმსხვერპლა

სამხრეთკორეული ტელეკომპანია „კეიბი ეს“ სურდა მეორე ათასწლეულის დასასრული ჰიმალაის და საერთოდ დედამიწის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის კანჩენჯანლას (8585 მ) დაპყრობით აღენიშნა, რაც პირდაპირი რეპორტაჟით უნდა-გადაცემულიყო.

ამ მეტად სახიფათო ექსპედიციაში მთამსვლელებთან ერთად დაახლოებით 20 რეპორტიორი და ტელეოპერატორი გაემგზავრა, მაგრამ ყველაფერი ტრაგედიით დასრულდა. ექსპედიციის ორი პროფესიონალი ალპინისტი — 36 წლის ხან დო გიუ და ტელეკომპანიის რეპორტიორი, 31 წლის ხენ მენ გუნი დაიღუპნენ, ერთი მთამსვლელი კი დაშავდა.

უბედურება მწვერვალის დაპყრობის მცდელობისას დატრიალდა. მიზეზი ტონობით თოვლი იყო, რომელიც ზვავად დაეცა ექსპედიციის მონაწილეებს მაშინ, როდესაც 6400 მეტრზე მდებარე კარვებიდან 7000 მეტრის სიმაღლეზე გაშლილ საშუალედო ბანაკისკენ მიემართებოდნენ.

გიგა გურასაშვილი

ოქროს ბიჭს სადავე ამოსდეს



REUTERS ფალუნბიოდან

ალექს კრივილე შინ და ისეთი ხალხის თვალწინ შერცხვა...

ამბობენ, ესპანეთში ტორეადორების შემდეგ ყველაზე პოპულარული მოტომრბოლები არიანო. ხელაღებით ამის მტკიცება ალბათ ძნელია, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ ესპანეთის ავტოდრომებზე მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე ეტაპი იმართება, უკვე რამედ ღირს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ამ შეჯიბრებებს არც სამეფო ოჯახი აკლებს ყურადღებას, ქომაგებს კი ნუღარ იკითხავთ — რბოლის დღეებში, — კვალიფიკაციაზეც კი — ავტოდრომის ახლომახლო ბორცვები ხალხითაა დახუნძლული.

რაღა თქმა უნდა, ქომაგები არც ვალენსიის დიდ პრიზს აკლდა. დიდი აჟიოტაჟი იმანაც განაპირობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის სამი ტიტულიდან (125; 250; 500) ესპანელ მრბოლებს ორის მოპოვების დიდი შანსი აქვთ. უწინარეს ყოვლისა, ალექს კრივილეს (500 კუბ, სმ) და ვალენსიის დიდი პრიზის შემდეგ ემილიო ალზამორასაც (125). საქმე ის არის, რომ ამ კლასში ჩემპიონატის უცვლელი ლიდერი იაპონელი მასაო აზუმა ფინიშამდე ვერ მივიდა და ალზამორას მეორე ადგილმა და, შესაბამისად, ოცმა ქულამ ჩემპიონატის ლიდერად იგი აქცია.

წაიფორხილეს დანარჩენი ორი კლასის ლიდერებმაც, თუმცა მათ საჩემპიონო შანსებზე ამას არსებითი გავლენა არ მოუსდენია. კრივილე ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე დავარდა (ეტყობა, წვიმამ თავისი ქნა), ვალენტინო როსის კი არც უცდია ვალენსიის დიდი პრიზისთვის მებრძოლთა დავაში ჩარეულიყო. ამგვარი პასიურობა „ოქროს ბიჭისთვის" მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის, როგორც ჩანს, ეს უფრო მწვრთნელთა მითითება იყო — ჩემპიონატის ფინიშზე, როცა გამარჯვება თითქმის ჯიბეში გიდევს, ზედმეტი რისკი „აპრილიას" ბოსებს, რაღა თქმა უნდა, ხელს არ აძლევთ.

საბოლოოდ კლას 125-ში გაიმარჯვა იტალიელმა სკალვინიმ, 250-ში იაპონელმა ტორუ უკავამ, ხუთასიანებში ფრანგმა რეჯი ლაკონიმ.

ირაკლი ბერიაშვილი

საერთო ჩათვლა

125 კმ/სთ

1 ემილიო ალზამორა (ესპანეთი, ჰონდა) — 190 ქ
2 მასაო აზუმა (იაპონია, ჰონდა) — 167
3 ნობირუ უედა (იაპონია, ჰონდა) — 146

250

1 ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) — 218
2 ტორუ უკავა (იაპონია, ჰონდა) — 192
3 ლორის კაპიროსი (იტალია, ჰონდა) — 172

500

1 ალექს კრივილე (ესპანეთი, ჰონდა) — 219
2 კენი რობერტსი (აშშ, სუზუკი) — 173
3 ტადაუკი ოკადა (იაპონია, ჰონდა) — 164

ხიხონი
დეანგლირუ
ლას კორალესი
ალა დეტალერა
ლეონი
უესკა
ლას როზასი
სარაგოსა
ლოს ბრონხალესი
ტერუელი
ლა სენია
ბადალასარა
მადრიდი
ფუენლაბრადა
ბესარი
ვალენსია
ელ ესკორიალი
ლა როდა
ალბასეტე
ბენიდორმი
ელ ტი



REUTERS ვილნიუსიდან

ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲛ ᲮᲘᲓᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲐᲤᲠᲘᲜᲐ

თუ გგონიათ, რომ ასეთი რამ მხოლოდ ჰოლივუდურ სათავგადასავლო ფილმებში შეიძლება მოხდეს, ძალიან ცდებით: ფოტოზე ლიტველი თავგადასავლებული პილოტი იურგის კაირუსი თავისი სუ-26-ით ვილნიუსში, მდინარე ნერის ზე გადაღებულ „ზვერინოს“ ხიდის ქვეშ მიფრინავს. თუმცა ეგ კიდევ არაფერი — კაირუსმა დედაქალაქში ზედიზედ 10 ხიდის ქვეშ მოახერხა გაძვრომა, საშუალო სიჩქარე 300 კმ/სთ იყო, ერთგან კი წყალსა და ხიდს შორის მანძილი სულ 6 მეტრი გახლდათ.

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ





1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ×d7+ ლ×d7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. მ×d4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლ×e4 12. მc7+ მფd7 13. მ×a8 ლ×c4 14. მb6+ a×b6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მ×e4 ლ×e4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ე×a4 22. ე×a4 ლ×a4 23. ლ×h7 კ×b2 24. ლ×g6 ლ×e4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლ×e6+ მფ×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ×d4 e×d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. II ᲔᲢᲐ�პᲘ.

საპასუხო მატჩები

ასტონ ვილა — ჩესტერი 5:0; *ბოლტონი* — ჯილინგემი 2:0; *ბორნმუთი* — ჩარლტონი 0:0 (დ.დ.); *როვერსი* — *ბირმინგემი* 0:1; *ფულემი* — ნორვიჩი 2:0; *იფსვიჩი* — *ქრიუ* 1:1; *ლეიტონი* — *გრიმსბი* 1:0; *ლიკერსული* — *ბალი* 4:2; *მიდლსბრო* — ჩესტერფილდი 2:1; *ნოტსი* — *პადერფილდი* 2:2; *პრესტონი* — *შეფილდ იუნაიტედი* 3:0; *საუთჰემპტონი* — *მანჩესტერ სიტი* 4:3 (დ.დ.); *სტოკპორტი* — *პარნსლი* 3:3 (დ.დ.); *უოლსოლი* — *სანდერლენდი* 0:5; *უიკომბი* — *ჯუტ ბრომვიჩი* 3:4 (დ.დ.); *უიგანი* — *უოტფორდი* 3:1 (დ.დ.); *უიმბლდონი* — *კარდიფი* 3:1



REUTERS ვალენსიიდან

ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡᲢᲘᲠᲘᲜᲒᲘ

ეს ორი ველომრბოლი, ფოტოაპარატს ჩიტის გამოფრენის ლოდინში რომ მისჩერებიან, სახელოვანი შვეიცარიელი ალექს ცულე (მარჯვნივ) და მისი თანაგუნდელი, ესპანელი „ჩენტე“ გარსია აკოსტა არიან. „ბანესტოს“ წევრები ამჟამად ესპანეთის ტურზე — „ვუელტაზე“ ასპარეზობენ და ჯერჯერობით ბევრით ვერაფრით დაიკვეხნიან, მაგრამ, როგორც ეტყობა, იხტიბარს სულაც არ იტეხენ.



REUTERS მილანიდან

ᲘᲥᲝ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ

ᲘᲥᲝ დრო, ბრაზილიელი ფენომენი რონალდო ფეხბურთის მინდვრებზე გრიგალივით დაჰქროდა და მეტოქეებს თავზარს სცემდა. ახლა რონალდო ნაირნაირი ნაწარმის რეკლამირებით მილიონობით უზრუნველ დოლარს იჯიბავს, კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობს და თავისი გუნდის, მილანის „ინტერის“ თამაშებს მორიგი გელფრენდის — მილენას კომპანიაში ტრიბუნიდან ადევნებს თვალს.

ᲡᲐᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ...

როგორც წესი, დიპლომატიური ვიზიტები ათასგვარი წეს-ტრადიციის დაცვით, ნაძალადევ ღიმილში, არაფრისმთქმელ განცხადებებსა და მოსანყენ ატმოსფეროში მიმდინარეობს. აი, კანადის პრემიერ მინისტრმა ჟან კრეტიენმა კი იაპონიაში თავისი მოგზაურობა მნიშვნელოვნად გაიმრავალფეროვნა და ტოკიოს „კოკუგიკან ჰოლში“ სუმოს ტურნირის სანახავად შეიარა. მოგვიანებით გადამთიელ ჩინოსანს სულ დარჩეული ბაყბაყ-დევები, დიდი ჩემპიონ-იოკოძუნები მუსაშიმარუ (მარჯვნივ) და ვაკანოჰანა მიეახლნენ და ეროვნული ჭიდაობის რამდენიმე ილეთის სწავლებასაც შეპირდნენ... დიპლომატმა კრეტიენმა გაიღიმა და ზრდილობიანი უარი შეაგება.

REUTERS ტოკიოდან

ᲐᲠ ᲔᲜᲓᲝ ᲡᲞᲘᲓᲝᲛᲔᲢᲠᲡ, ᲠᲘᲩᲐᲠᲓ!

ინგლისელ რიჩარდ „როკეტმენ“ ბრაუნს მეტისმეტად სდომებია ხმელეთზე მოძრაობის სისწრაფის რეკორდის დამყარება. ამ რამდენიმე დღის წინ იგი იუტას შტატს, ბონევილ სოლთ ფლეთს ენვია, თავისი სუპერ-მოტოციკლი გემოზე გააჭენა და რაკიღა სპიდომეტრმა 330 მილი/საათში უჩვენა, სიხარულით ცასაც ეწია. ოღონდ ეგ იყო, ძველი რეკორდის 322 მილ/საათის გაუმჯობესება ბრაუნს არ ჩაუთვალეს: ოფიციალურ წამზომს თურმე გაცილებით ნაკლები სიჩქარე — 298 დაუფიქსირებია.

REUTERS ბოლტ ლეიკიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, �პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@ iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli